ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი №2 (14), 2012, თებერვალი ფასი 2 ლარი

# ისტორიანი

## ბუხალები და დედოფალი ვიქტორია

## ჯატინში დასვრეტილი ქართველი ოფიცრები

## ხალდეს აჯანყება
## დღემდე უცნობი დეტალები

## თანამედროვე ფენგბუითის ნინაჯიები



## ომბრის ისესენებენ
## ბიბლიოთეკა ჩასუფთავებს
## ქართველები

ქართველების გმირული ეპოქა
ლევან გოთუა
გმირთა ვარამი
8 წიგნად
ნიგნი IV
ფასი 3 ლარი
წიგნი „ისტორიანთან“ ერთად – 5 ლარი

## დავით ალმაშენებლის „ძლევა სასვ�eველი“

## ბაბილეს III-ის ფილესა 2005 წელს ბანადაშილა...

## ქართველთა თავგადასავალი ოთხ წიგნად

## სარჩევი


**ახალი ამბები**

ბაგრატ III-ის ფრესკა 2005 წელს განადგურდა... ..... 6

მორიგ გამყინვარებას სათბურის გაზები აჩერებს ..... 9

უძველესი მომდერალი ქალი მეფეთა ველზე ..... 10

ციმბირული დინოზავრის „მკვლელი ნათესავი“ ბრაზილიიდან ..... 11

**დიდი ბრძოლები**

დავით აღმაშენებლის „ძლევამი საკვირველი“ ..... 12

**ქართველები უცხოეთში**

„უაილდ უესტის“ მხედრები ..... 18

**გენდერის ისტორია**

განქორწინება ანგარებით ..... 26

**დიდი ავანტიურისტები**

„მამა“ გრიგორი ..... 32

**ქართველები პოლონეთში**

კატინის ტყეში დახვრეტილი ქართველი ოფიცრები ..... 36

**XIX საუკუნის ჩრონიკები**

ხალდეს ავზანყება ..... 40






## სარჩევი


ახალი მატიანე

ქართველთა თავგადასავალი ოთხ წიგნად ..... 48

საქართველოს ისტორიის ოთხტომეულიდან

ეგრისისა და აფხაზეთის გაერთიანება ..... 51

დავით აღმაშენებლის ურთიერთობა ჯვაროსნებთან ..... 55

ძებნები

ჯრუჭის მონასტრის ისტორიისთვის ..... 57

უპასუხო კითხვები

სტოუნჰენჯის აგების საიდუმლო ..... 62

სპორტის ისტორია

მისი უდიდებულესობა ფეხბურთი და მისი წინაპრები ..... 67

სხოვრება

მიშა გომიაშვილის ცხოვრების ლაბირინთი ..... 72

ეხედიტი

თომა ჩაგელიშვილი: ამ რუბრიკის სტუმრობა ადვილი საქმე არ არის... ..... 78

„ისტორიანი“ ბავშვებისთვის

500 ფაქტი ისტორიიდან ..... 82

სკანვორდი ..... 90

# ᲩᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘ

ბედიის ტაძრის „რესტავრაციამ“ კიდევ ერთხელ აგვაფორიაქა. როგორც აღმოჩნდა, აფხაზმა და რუსმა არქიტექტორ-რესტავრატორებმა ისე აღადგინეს (პროცესი ახლაც მიმდინარეობს) კათედრალი, რომ ამ სამუშაოებს მაინცდამაინც ქართული კვალი შეეწირა.

2005 წელს თსუ-ის სტუდენტმა თეა შარიამ და კინოდოკუმენტალისტმა ტარიელ სოხაძემ შეაღწიეს ბედიის ტაძარში. ეს იმ დროისთვის საკმაოდ გაბედული ნაბიჯი გახლდათ. მათ ჩამოიტანეს ფოტო და ვიდეომასალა, რომლებზედაც ასახული იყო ტაძრის მაშინდელი საგალალო მდგომარეობა. მანამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ბედია, საომარი მოქმედებების დროს, ჭურვების აფეთქებას შეეწირა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კათედრალი არ დანგრეულა და ეს მართლაც სასიხარულო ცნობა იყო. თუმცა ჩამოტანილ მასალებზე ასევე კარგად ჩანდა, რომ ტაძრის იატაკი აეყარათ, ხოლო ბაგრატ III-ის ფრესკა საგულდაგულოდ გაენადგურებინათ. ამ ექსპედიციას მოჰყვა დოკუმენტური ფილმი „ბედია“. ამის შემდეგ ეს ამბავი მივიწყებას მიეცა. არავის გახსენებია, რომ 2003-2004 წლებში (შესაძლოა უფრო ადრეც) ვანდალები, რომელთაც ეროვნება არ გააჩნიათ, ბედიის ტაძარში მიზანმიმართულად სპობდნენ ყოველივე ქართულს.

ეს ინფორმაცია, სამწუხაროდ, არავის მიუწოდებია საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის. ეს რომ გაგვეკეთებინა, იქნებ დღევანდელი „რესტავრაცია“ თავიდან აგვეშორებინა.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ როგორღაც ბოლო პერიოდში ჩვენ ვსაუბრობთ მხოლოდ ილორისა და ბედიის „რესტავრაციაზე“, მაგრამ აფხაზეთში ასობით ტაძარი და ციხესიმაგრეა, რომლებიც ქართულ ისტორიულ მემკვიდრეობას წარმოადგენს. მათ მდგომარეობაზე კი ალბათ მაშინ დავიწყებთ საუბარს, როდესაც „ურემი გადაბრუნდება“ და ამ ძეგლებს არსებობის საფრთხე შეექმნება. სახელმწიფო უწყებებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა დროულად უნდა მიაწოდონ ინფორმაცია საერთაშორისო ორგანიზაციებს და მოახერხონ მათი ჩართვა აფხაზეთში არსებული ისტორიული მემკვიდრეობის დაცვაში. ამ ეტაპზე ყველაზე საშური საქმე ამის მიღწევაა. ბაგრატ III-ის ფრესკის გაქრობა მის ღვაწლს ოდნავადაც არ აკნინებს. ეს ფაქტი თანამედროვე ქართველობას უფრო აყენებს ჩრდილს, რომ ვერ მოვუარეთ ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ერთადერთ ფრესკას.

ბაბრატ III-ის ფრესკის გაქრობა მის ღვაწლს ოდნავადაც არ აკნინებს. ეს ფაქტი თანამედროვე ქართველობას უფრო აყენებს ჩრდილს, რომ ვერ მოვუარეთ ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ერთადერთ ფრესკას


ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი
**„ისტორიანი“**

მთავარი რედაქტორი
**ჯაბა სამუშია**

რედაქტორი
**გელა გურგენიძე**

სტილისტი-რედაქტორი
**ელენე სალარიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა
**რეზო თხილიშვილი**

სარედაქციო კოლეგია:
**ალექსანდრე ბოშიშვილი**
**ოქროპირ ჯიქური**
**ნინო ჯაფარიძე**

კორექტორები:
**ნანა მაჭავარიანი**
**ნინო აბესაძე**

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49
**ტელ.: 238-13-72, 238-02-45**

სარეკლამო განყოფილება
**ტელ.: 237-78-07, 238-78-70**

e-mail: istoriani@palitra.ge

**ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ**

რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამოწერისთვის მიმართეთ პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტოს **„ელვა.ჯი“**.
**ტელ.: 238-26-73, 238-28-74, 214-09-91**



*ბედიის ტაძარი*

*ბაგრატ III-ის ფრესკის ორი ათწლეულის წინანდელი ფოტოგრაფია*

# ᲑᲐᲒᲠᲐᲢ III-ᲘᲡ ᲤᲠᲔᲡᲙᲐ 2005 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲓᲐ...

ბაგრატ III კურაპალატის ფრესკა ბედიის მონასტერში განადგურებულია. ინფორმაცია ამის შესახებ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა გიორგი გაგოშიძემ გაავრცელა, მაგრამ არ დაუზუსტებია თარიღი, კონკრეტულად როდის მოხდა ფრესკის განადგურება.

მომხდარის გამო ოფიციალურმა თბილისმაც და ქართულმა მედიასაშუალებებმაც განგაში იანვრის პირველ ნახევარში ატეხეს. თუმცა როგორც ირკვევა, ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ერთადერთი გამოსახულება, რომელიც ბედიის მონასტრის კედელზე იყო შემორჩენილი, გაცილებით ადრე გაქრა და ეს ოფიციალური სტრუქტურებისთვისაც ცნობილი იყო.

ბაგრატ III კურაპალატის ფრესკის განადგურების შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ 2005 წელს გავრცელდა, მას შემდეგ, რაც ჟურნალისტმა თეა შარიამ და რეჟისორმა ტარიელ სოხაძემ აფხაზეთის ტერიტორიაზე შეღწევა და ბედიის მონასტრის მონახულება მოახერხეს (ისინი იმ დროისთვის არასამთავრობო ორგანიზაცია „შემოქმედებით სალონს“ წარმოადგენდნენ).

2006 წლის მარტში ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე კიდევ რამდენიმე ტაძარი გადაიღეს, რაც თავისუფლების ფასად დაუჯდათ. 3 მარტს ქართველი ჟურნალისტი და რეჟისორი სოხუმში, აფხაზ გიდთან და თეა შარიას სიძესთან ერთად დააკავეს.

„ბედიის მონასტერი 2005 წელს მოვინახულეთ. 1-ელ მაისს, აღდგომა დღეს. წინასწარ გვქონდა ინფორმაცია, რომ ტაძარში რაღაც სამუშაოებს აწარმოებდნენ. 2004 წელს გათხარეს მონასტრის შიგნით მდებარე სამარხები, რადგან ბაგრატ III-ის საფლავს ეძებდნენ.

სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ქართული სახელმწიფოს კონტროლს მიღმა დარჩენილ ტერიტორიაზე მდებარე

ტაძრების გადაღება გადავწყვიტეთ. მოვახერხეთ ბედიის მონასტრის, ასევე მის ეზოში მდებარე ეპისკოპოსთა სასახლის ქვედა სართულის სრულად გადაღება. სწორედ ჩვენ მიერ გადაღებული კადრებით სარგებლობს დღეს ტელეკომპანია „იმედი“, როდესაც ამ თემაზე მასალებს ამზადებს.

ბაგრატ III-ის ფრესკა 2005 წელს უკვე აღარ არსებობდა. ამას გარდა, დამწვარი იყო ის ქვა, სადაც იყო წარწერა ტაძრის აღმშენებლებისა და აშენების ისტორიის შესახებ.

2006 წელს, სოხუმში ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ კიდევ ერთხელ ვცადე ამ თემის წამოწევა, მაგრამ არავინ მიაქცია ყურადღება. მხოლოდ იმ ფოტოთი დაინტერესდნენ, რომელიც თეა შარიასთან ერთად ბედიის მონასტერში გადავიღეთ გაშლილი ქართული დროშით ხელში. ამ ფოტოს გამოქვეყნება უნდოდათ“, — იხსენებს „ისტორიანთან“ საუბრისას ტარიელ სოხაძე.

რეჟისორი აღნიშნავს, რომ 2005 წელს რუსულ მხარეს უკვე დაწყებული ჰქონდა ილორის ტაძრის ე.წ. რესტავრაციაც და ამ თემაზე თეა შარიამ, ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, 2006 წელს რამდენიმე განცხადება გააკეთა.

**ტარიელ სოხაძე:** „ტაძრებთან რუსი სამხედროების საგუშაგოები იყო და ისინი აკონტროლებდნენ, ვინ შედიოდა და გამოდიოდა ამ ტერიტორიაზე. ე.წ. სარესტავრაციო სამუშაოებზე იძულების წესით იქ დარჩენილ ქართველებსაც ამუშავებდნენ. სწორედ მათი დახმარებით ვიღებდით ინფორმაციას, რომ ილორის ტაძარზე რუსული გუმბათის დადგმას გეგმავდნენ. ამაზე განვაცხადეთ, ბევრიც ვიყვირეთ, თუმცა მაშინ არავინ დაინტერესდა“.

რეჟისორი იხსენებს ნიკა ვაჩეიშვილის მიერ (რომელიც იმ პერიოდში კულტურის მინისტრის მოადგილე იყო) „კვირის პანორამასთან“ 2005 წლის ივლისში გაკეთებულ განცხადებასაც, რომელშიც აღნიშნულია: „ცოტა ხნის წინ, აფხაზეთის კულტურის სამინისტროს დახმარებით, სტუდენტებმა აფხაზეთში მდებარე რამდენიმე ხუროთმოძღვრული ძეგლი მოინახულეს. მოძრაობას თან ახლდა გულის ამაჩუყებელი შეხვედრები აფხაზებთან. გაგიკვირდებათ და მაგალითად, ბედიის ტაძარსა და სხვა ძეგლებს ადგილობრივი მოსახლეობა უვლის. ეს ბუნებრივი პროცესია, რადგანაც აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ხუროთმოძღვრულ-კულტურული მემკვიდრეობა ერთობლივი ქართულ-

*ამ ადგილას ბაგრატ III-ის ფრესკასთან ერთად გამოსახული იყო უცნობი პირის ფრესკა წარწერით. დღეს ეს მხოლოდ მცირე ფრაგმენტია დარჩენილი*

აფხაზური ფენომენია. ასე რომ, ამ ორი ერის გაყოფა და თქმა იმისა, რომ ეს მხოლოდ ჩვენი ძეგლებია და აფხაზებმა მათ ხელი არ უნდა ახლონ, არასწორია“.

დღეს კი, ოფიციალური ინფორმაციით, ერთადერთი რამ, რაც ქართული მხარისთვის ცნობილია, არის ის, რომ ბაგრატ III-ის გამოსახულება რუსული მხარის მიერ მონასტერში „კედლების გამაგრების მიზნით“ წარმოებული სამუშაოებისას განადგურდა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკა ვაჩეიშვილი ვერ იხსენებს, რომ ინფორმაცია ბაგრატ III-ის ფრესკის განადგურების შესახებ უკვე 2005 წელს ჰქონდა.

„ჩვენი ინფორმაციით, ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა ვანდალიზმს. ბაგრატის ფრესკაზე რუსული წარწერები იყო გაკეთებული ან ამოკაწრული. თუმცა, ამის მიუხედავად, ის მაინც შენარჩუნებული იყო. ფრესკა სადღაც 2007-2009 წლებში განადგურდა“, — განაცხადა ნიკა ვაჩეიშვილმა.

შეკითხვაზე, — რატომ არ მიაქცია კულტურის სამინისტრომ ყურადღება 2005 წელს გადაღებულ მასალას, სადაც ფიქსირდებოდა, რომ ბაგრატის ტაძარში ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ფრესკა განადგურებული იყო და განგაში რატომ არ ატეხეს, — ნიკა ვაჩეიშვილმა განაცხადა, რომ ინფორმაცია, თითქოს ფრესკა უკვე 2005 წელს იყო განადგურებული, მისთვის უცნობია.

*ეპისკოპოსების სასახლის შესასვლელში ნაპოვნი ქართული წარწერები*

„რუსული მხარე წერს, რომ კედლის მოჭარბებული და არალოგიკური ინიექტირება გააკეთეს, რამაც გამოიწვია ფრესკის ჩამონგრევა. წერენ, რომ ეს იყო დაახლოებით 8 წლის წინ, ანუ 2004 წელს. 2005-2006 წლებში კი გაჩნდა მინაწერები, ხოლო 2007-2009 წლებში კედლის სარემონტო სამუშაოებისას მოხდა ფრესკის ჩამონგრევა“, — განმარტა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა.

ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ფრესკა ბედიის ტაძარში, შიდა ინტერიერში, სამხრეთის კედელზე იყო შემორჩენილი. ის X-XI საუკუნის მიჯნაზე მოუხატავთ, შემდეგ XIV საუკუნეში განუახლებიათ. ბაგრატ III-ის ფრესკა და წარწერა XX საუკუნის 30-იან წლებში ზედმიწევნით ზუსტად აღწერა ცნობილმა ფერმწერმა, გრაფიკოსმა და კარიკატურისტმა, ოსკარ შმერლინგმა. მაშინ ფრესკაც და წარწერაც სრულად იყო შემონახული.

როგორც ისტორიკოსი ლია ახალაძე იხსენებს, ბაგრატ III კურაპალატის ფრესკა გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსაც კარგად იყო დაცული. ასევე იკითხებოდა სამი გრაფემა – რატ – რაც კურაპალატის სახელის – ბაგრატის – ფრაგმენტს წარმოადგენდა და ზემოდან ქვემოთ თეთრი საღებავით იყო შესრულებული. ლია ახალაძე იმ ექსპედიციის წევრი იყო, რომელიც 1988-1989 წლებში ბედიის მონასტრის გაწმენდით და სარესტავრაციო სამუშაოებს აწარმოებდა.

მაშინ ექსპედიციის წევრთა ამოცანას ირგვლივ მდებარე ჯაგნარისგან ბედიის ტაძრის გაწმენდა წარმოადგენდა. არქეოლოგიურ გათხრებს კი რეზო ხვისტანი ხელმძღვანელობდა. 1988-1989 წლებში ბედიის ტაძარი დროებითი გუმბათით გადაიხურა, გაიწმინდა მიმდებარე ტერიტორია, ასევე საკათოლიკოსო პალატა, რომელიც XVI საუკუნეს განეკუთვნება, ხოლო ტაძრის პერანგის გასამაგრებლად, რომელიც XIX საუკუნისაა, მონასტერს ხარაჩოები შემოეწყო.

სარესტავრაციო სამუშაოებს ბედიის მონასტერში ამჟამად რუსული კომპანია „ტექტონიკი“ აწარმოებს. ლია ახალაძის ინფორმაციით, კომპანიამ სარესტავრაციო სამუშაოები „აფხაზეთის ეკლესიის“ თვითგამოცხადებული მეთაურის, ბესარიონ აპლიას ინიციატივით დაიწყო 2010 წელს. ისტორიკოსის განმარტებით, სქემა, რომლის მიხედვითაც რუსული კომპანია რესტავრაციას ატარებს, კრიტიკას ვერ უძლებს. ბედიის სამონასტრო კომპლექსი წარმოადგენს ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ უნიკალურ ძეგლს და შესაბამისად, სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების პროცესში, ძეგლის ავთენტიკურობის შენარჩუნებისა და დაცვის მიზნით, აუცილებელია სარესტავრაციო სამუშაოებში ჩართული იყვნენ ძველი ქართული ხუროთმოძღვრების სპეციალისტები და ქართული მხარე.

ისტორიკოსი ასევე აღნიშნავს, რომ ტაძრის ინტერიერის რესტავრაციის დროს, აუცილებელია შემორჩენილი ფრესკული მოხატულობის კონსერვაცია-რესტავრაცია, რაც ქართული ფრესკული ხელოვნების სპეციალისტისა და რესტავრატორის ადგილზე მუშაობას მოითხოვს.

**ᲜᲘᲜᲝ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ**

*ტარიელ სოხაძე ბედიის ტაძრის საკურთხეველთან. 2006 წელი*

# მორიგ გამყინვარებას სათბურის გაზები აჩერებს

***სათბურის გაზების გამოტყორცნა მომდევნო გამყინვარების დადგომას აფერხებს. ამ დასკვნამდე ბრიტანელი მეცნიერები მივიდნენ. გამყინვარების უკანასკნელი პერიოდი დაახლოებით 11,5 ათასი წლის წინათ დასრულდა და მეცნიერები დღემდე კამათობენ, როდის დაიწყება შემდეგი.***

ბრიტანელ მკვლევართა ჯგუფმა სამეცნიერო ჟურნალ Nature Geoscience-ში გამოაქვეყნეს სტატია, რომელშიც მოცემულია ახალი მონაცემები კლიმატის ცვლილებებზე დედამიწის ორბიტის ვიბრაციისა და სხვა მრავალი ფაქტორის ზემოქმედების შესახებ.

მათი დასკვნები მოწმობს, რომ გამყინვარების მომდევნო პერიოდი უახლოესი 1500 წლის განმავლობაში უნდა დადგეს, მაგრამ ეს არ მოხდება სათბურის გაზებით დედამიწის ატმოსფეროს გაჯერების გამო.

ბრიტანული სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელის, კემბრიჯის უნივერსიტეტის დოქტორ ლიუკ სკინერის განცხადებით, „სათბურის გაზების გამოტყორცნის საერთოდ შეწყვეტის შემთხვევაშიც, გამყინვარებათაშორისი პერიოდი დედამიწაზე მაინც გახანგრძლივდება. მისი ხანგრძლივობა კი იმ ბუნებრივი პროცესებით განისაზღვრება, რომელიც ატმოსფეროში ნახშირორჟანგის დონის შემცირებაზეა პასუხისმგებელი“.

უკვე განიხილება ვერსია, რომ ანთროპოგენური ფაქტორები, მათ შორის ატმოსფეროში სათბურის გაზების გამონაბოლქვის ზრდა, რომელიც ხელს უშლის გამყინვარების პერიოდის დადგომას, დადებითი ზემოქმედებაა.

ჯერ კიდევ 1999 წელს ცნობილი ასტრონომები სერ ფრედ ჰოილი და ჩანდრა ვიკრამასინგჰი მიუთითებდნენ, რომ გამყინვარების ახალ პერიოდს ხალხის მასობრივი განადგურება მოყვებოდა, თუნდაც იმის გამო, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები დედამიწის მეტად დიდ ტერიტორიაზე შეუძლებელი გახდებოდა.

***მომზადებულია BBC-ის მასალების მიხედვით***

# ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲕᲔᲚᲖᲔ

ეგვიპტელმა და შვეიცარიელმა არქეოლოგებმა მეფეთა ველზე მომღერალი ქალის საფლავს მიაკვლიეს, რომელიც კარნაკის სამონასტრო კომპლექსში გამოდიოდა.

ეგვიპტის სიძველეთა სამინისტროს ხელმძღვანელ მანსურ ბორაიკას განცხადებით, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მეფეთა ველზე მიაკვლიეს ქალის სამარხს, რომელიც ფარაონთა ოჯახის წევრი არ არის.

აღმოჩენილი მასალების თანახმად, მომღერლის სახელი იყო ნემეს ბასტეტი, რომელსაც ქალისთვის ქალღმერთ ბასტეტის მფარველობა უნდა მოეტანა. ბასტეტი ძველ ეგიპტურ პანთეონში ქალური სილამაზის ქალღმერთი იყო, კატის სახით.

*ნემეზ ბასტეტის სარკოფაგი*

როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, მომღერალი კარნაკის სამონასტრო კომპლექსში გამოდიოდა. ეს კომპლექსი დაახლოებით 3500 წლის წინ აშენდა უძველესი ეგვიპტური ღმერთის, ამონის სახელზე.

არქეოლოგებმა ნემეს ბასტეტის სარკოფაგი 22-ე დინასტიის მმართველობის პერიოდით (ძვ.წ. 945-715 წწ.) დაათარიღეს. მომღერალი ქალი სავარაუდოდ ღვთაება ამონ-რას ქურუმის ქალიშვილი იყო და ამ ღმერთის სადიდებელ სიმღერებს ასრულებდა.

ნემეს ბასტეტის სარკოფაგს არქეოლოგებმა შემთხვევით, მეზობელი საფლავის გათხრებისას მიაკვლიეს. მეცნიერთა აზრით, ეს სამარხი მომღერლის დაბადებამდე 400 წლით ადრე აშენდა, თუმცა უცნობია, ვისთვის იყო განკუთვნილი.

მეფეთა ველი ეგვიპტის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული არქეოლოგიური ძეგლია. 1922 წელს სწორედ აქ მიაკვლიეს ფარაონ ტუტანჰამონის საფლავს.

***მომზადებულია Associated Press-ის მასალების მიხედვით***

# ციმბირული დინოზავრის „მკვლელი ნათესავი“ ბრაზილიიდან

მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფმა ბრაზილიაში ანთეოზავრის „ნათესავებს“ მიაკვლია, — უძველეს ხვლიკებს, რომელთა ნაშთებიც ადრე მხოლოდ რუსეთში, აფრიკასა და ჩინეთში იყო აღმოჩენილი. მეცნიერებმა აღმოჩენის შესახებ სტატია ჟურნალ National Academy of Sciences-ში გამოაქვეყნეს.

გიგანტური ხვლიკის ნამარხი (თავის ქალა და ქვედა ყბის ნაწილი) ბრაზილიის სამხრეთში აღმოაჩინეს. ახალ სახეობას Pampaphoneus biccai-ი უწოდეს, რაც „პამპელ მკვლელს“ ნიშნავს. პამპა ველია სამხრეთ ამერიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით. Pampaphoneus biccai-ი მეცნიერებმა აღმოჩენილი თავის ქალისა და ქვედა ყბის ძვლის წყობის მიხედვით აღწერეს. ნამარხის ასაკი 250 მილიონი წელიწადია.

მკვლევართა აზრით, „პამპელი მკვლელი“ შხამიანი იყო. ახალი აღმოჩენა იძულებულს ხდის მეცნიერებს, გადახედონ სამხრეთ აფრიკის კონტინენტის დასახლების სქემას. კერძოდ, ვარაუდობენ, რომ ძველმა გიგანტურმა ხვლიკებმა გაცილებით ადრე დაიწყეს მიგრაცია სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე ციმბირთან დამაკავშირებელი სახმელეთო ყელით, ვიდრე ამას აქამდე ვარაუდობდნენ.

*მომზადებულია sciencenewsblog-ის მასალების მიხედვით*

talizi

თმის გაფანერგვის ცენტრი

ტაშკენტის 27. ტელ: 2141515

WWW.TALIZI.GE

# დავით აღმაშენებლის „ძლევაი საკვირველი“

*დიდგორის ბრძოლას გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოს ისტორიაში. ეს გამარჯვება დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის, ერთიანობის, ქვეყნისთვის თავდადების სიმბოლოა. იმავდროულად, დიდგორი ქართული სამხედრო წარმატებების ნიშანსვეტია.*
*არ იქნებოდა დიდგორი, რომ არა დავით IV აღმაშენებლის 32-წლიანი მოღვაწეობა. არ დაუდგებოდა საქართველოს „ოქროს ხანა“, დიდგორზე ბრწყინვალე გამარჯვება რომ არ მოგვეპოვებინა.*

*დავით აღმაშენებლის ფრესკა გელათში*

მსოფლიოს ნებისმიერი ერი ამაყობს თავისი სამხედრო წარმატებებით. ხშირად პომპეზურობით აღნიშნავენ გამარჯვების დღეს. ბუნებრივია, ქართველებსაც გვმართებს, მოვუფრთხილდეთ ჩვენს ისტორიულ მეხსიერებას და სათანადო პატივი მივაგოთ სამშობლოსთვის თავდადებულ გმირებს.

1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ვიწროებში მდგარ ქართველ მეომრებს გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ ეს დღე მათი სამშობლოსა და მათი ოჯახებისთვის შეიძლებოდა გადამწყვეტი გამხდარიყო. ერი და ბერი საგანგებოდ ემზადებოდა. სამეფო კარი ჯარს საბრძოლველად ამზადებდა. ეკლესიებში ქართველთა გამარჯვების ლოცვას აღავლენდნენ. სამწუხაროდ, წერილობით წყაროებს არ შემოუნახავთ ცნობები, როგორ ემზადებოდა ქართველობა დიდგორის ბრძოლისთვის, ეს ამბები სამუდამოდ ჩაიკარგა ისტორიის ქარტეხილებში. რამდენ უძილო ღამეს გაატარებდა დავით აღმაშენებელი ბრძოლის საბოლოო გეგმის შემუშავებისას. მტერი საკმაოდ გამოცდილი იყო და ამიტომაც ყოველივე გათვლილ-დაანგარიშებული უნდა ყოფილიყო.

მუსლიმთა კოალიციური ლაშქარი ნელ-ნელა მოიწევდა საქართველოს სიღრმისკენ. მტერი დიდ იმედს ამყარებდა ამ ლაშქრობა-ზე. ერთხელ და სამუდამოდ „ჭკუა უნდა ეს-წავლებინათ“ ქართველთათვის, რომლებმაც არა მარტო შეავიწროეს თურქ-სელჩუკები, არამედ ამიერკავკასიაში პირველობისთვის დაიწყეს ბრძოლა. 1120-1121 წლები ქართველ-თათვის მეტად წარმატებული გამოდგა. დავით აღმაშენებელმა რამდენიმე დიდ გამარჯვებას მიაღწია თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში. 1120 წლის 14 თებერვალს ქართველებმა ბოტორას-თან დაამარცხეს თურქები. მალე ქალაქი ყა-ბალაც აიღეს და შირვანიდან განდევნეს მტე-რი. იმავე წლის ნოემბერში დავითმა აშორნი-ასთან სასტიკად დაამარცხა სელჩუკები. ქარ-თველთა ეს წარმატება 1121 წელსაც გაგრძელ-და. ამიერკავკასიაში ქართველთა სამხედრო უპირატესობა აშკარა შეიქნა. ამით შეშფო-თებულმა განძელ-თბილელ-დმანელმა ვაჭრებ-მა და ადგილობრივმა მუსლიმმა მმართველებ-მა სპარსეთის სულთანს სთხოვეს დახმარება საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში. სულ-თანმა მაჰმუდ მუჰამედის ძემ მთელ მუსლიმა-ნურ სამყაროს მიმართა თხოვნით, დიდი კოა-ლიციური ლაშქარი შეეკრიბათ ქართველთა წინააღმდეგ. სულთნის ამ თხოვნას ბევრი გა-მოეხმაურა. უმოკლეს ხანში შეიკრიბა 300-400-ათასიანი არმია. მას მაჰმუდ მუჰამედის

*გუსტავ დორეს გრაფიკული ნახატი: „ილლაზი ათავისუფლებს გოტიეს“*

*თრიალეთის ზეგანის ხედი, სადაც, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, მტერი თავდაპირველად დაბანაკდა*

*დიდგორის სანახები, სადაც ბრძოლა გაიმართა*

ძემ სარდლად ნეჯმ ად-დინ ილღაზი დაუყენა. აღმოსავლეთში ილღაზის სახელი იმ დროისთვის დიდების შარავანდედით იყო მოსილი. იგი ფლობდა ბაღდადის, მარდინისა და ალეპოს ციხე-ქალაქებს. ილღაზმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ევროპელ რაინდებთან ბრძოლაში. 1119 წელს მან მდინარე ორონტის ნაპირებთან ე.წ. „სისხლიან ველზე“ სასტიკი დამარცხება აგემა ჯვაროსნებს. ამ გამარჯვების გამო ილღაზს „ნეჯმ ად-დინი“ — „სარწმუნოების ვასკვლავი“ უწოდეს.

ნეჯმ ად-დინ ილღაზთან ერთად ლაშქრობაში მონაწილეობდნენ დუბაის ემირი იბნ-სადაყა, თოღრულ მოჰამედის ძე, თუღან არსლან კუზიანი, განძის ათაბაგი და სხვა მუსლიმი მმართველები.

აგვისტოს დასაწყისში მუსლიმანური კოალიცია საქართველოსკენ დაიძრა. ილღაზი ჯერ არზრუმში მოვიდა. სწორედ აქ უნდა მოეყარათ თავი სხვადასხვა მხრიდან წამოსულ ილღაზის მოლაშქრეებს. თოღრულ მოჰამედის ძე განძის მხრიდან, ხოლო თუღან არსლან კუზიანი დვინის მხრიდან მოემართებოდა. „პაემანი“ თრიალეთში იყო დათქმული. დავით აღ-

*დავით აღმაშენებლის ხელრთვა*



მაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, მტერი „მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელიც თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა“. დავით აღმაშენებელი დიდგორის ვიწროებში ელოდებოდა მტერს, რომელიც იყო „სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღვისა“. სავსებით სამართლიანად მიუთითებს აკადემიკოსი როინ მეტრეველი, რომ დიდგორის მდებარეობის სტრატეგიულმა მნიშვნელობამ განაპირობა დავით აღმაშენებლის მიერ მისი ბრძოლის ადგილად შერჩევა. დიდგორის ვიწრობები მტერს საშუალებას არ მისცემდა, გაშლილიყო და თავისი რიცხობრივი უპირატესობა გამოეყენებინა.

მაგრამ მუსლიმური კოალიციის დიდგორზე შემოტყუება არც ისე ადვილი იყო. ილღაზს ჰქონდა თბილისამდე მისაღწევი სხვა გზაც. დავითის წინაშე იდგა ერთი ამოცანა, მას სამხედრო ეშმაკობის წყალობით უნდა მოეტყუებინა მტერი და ისე მიეყვანა ის ქართველებისთვის მომგებიან პოზიციებზე, რომ ისინი ვერ მიმხვდარიყვნენ. სხვაგვარად გეგმა ჩაიშლებოდა. მუსლიმ ავტორ ქემალ ადდინს აქვს ერთი ცნობა, რომელიც ნათელს ფენს ქართველთა სამხედრო ხრიკს. ისტორიკოსი მოგვითხრობს: „მუსლიმანებმა, რომლებმაც თავდაპირველად დაამარცხეს ისინი (ე.ი. ქართველები), მისდიეს მტერს და მოექცნენ მათ ზურგში მთის გადასასვლელზე“ (თარგმანი გურამ კუტალიასი). როგორც ვხედავთ, დიდგორი არ ყოფილა ქართველებისა და მუსლიმური კოალიციის დაპირისპირების პირველი პუნქტი. ამ სამხედრო კამპანიის მიხედვით, მათ მანამდეც ჰქონიათ შეტაკება, მაგრამ ქართველები დამარცხებულან. აქ ერთი რამ არის გასარკვევი, ქართველები მართლა დამარცხდნენ თუ სტრატეგიული მიზნების გამო გაითამაშეს დამარცხების სცენა. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო მისაღებია, რადგანაც სწორედ ამ სამხედრო ხრიკის წყალობით დავითმა მტერი საფარში შეიტყუა. ვინც დიდგორზე ყოფილა, დამეთანხმება, ჭკვიანი და გამოცდილი სარდალი აქ ჯარს ნამდვილად არ შემოიყვანდა, მით უმეტეს, თუ აქცენტი მის რიცხობრიობაზეა გადატანილი. ილღაზი საკმაოდ გამოცდილი იყო იმისთვის, რომ სამხედრო სტრატეგიის ეს ელემენტარული დეტალი არ სცოდნოდა. ჩვენი აზრით, ილღაზს ქართველები უკვე „დამარცხებული“ ეგონა, როდესაც დიდგორზე მივიდა. სწორედ ამის იმიტაცია შეუქმნა მას დავითმა. ამდენად, საქართველოს საზღვრის გადმოლახვიდან მოყოლებული ილღაზს ეგონა, რომ საკუთარი სამხედრო გეგმის მიხედვით მოქმედებდა, არადა ეს იყო ქართველ მხედართმთავართა მიერ წინასწარ შემუშავებული სტრატეგია.

1121 წლის 12 აგვისტო, გარიჟრაჟი. დიდგორის ველზე ჯერ კიდევ სიწყნარეა, მხოლოდ აბჯრის ჟღარუნი და ცხენების ფრუტუნი ისმის. აქა-იქ მეომრები გადაუძახებენ ერთურთს. დავითმა ჯარის საბრძოლო მზადყოფნა ბრძანა. ხუცესები მეომრებს ლოცავენ. ანტიოქიის სამთავროს კანცლერ გოტიეს ცნობით, ბრძოლის დაწყების წინ დავით აღმაშენებელს მგზნებარე მოწოდებით მიუმართავს თავის მეომრებისთვის: მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკ-

საც ადვილად დავამარცხებთ. და ერთს რასმე გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისთვის კარგი იქნება. ჩვენ ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისთვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდეც რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკარით და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტიოთ.

ბრძოლის წინ დავითმა საგანგებოდ შეარჩია 200 მეომარი. მათ უდიდესი მისია დაეკისრათ. ბრძოლის ბედი ბევრად იყო იმაზე დამოკიდებული, როგორ შეასრულებდნენ ისინი მეფის დავალებას. ამ მეომრებმა თავიდანვე იცოდნენ, რომ სამშობლოს, რწმენისა და მეფის ერთგულებისთვის სიკვდილზე მიდიოდნენ. რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ ამ 200 გმირი ქართველის არც სახელი და არც ოჯახური წარმომავლობა არ ვიცით.

გათენდა. უეცრად ქართველთა ლაშქარს 200 მეომარი გამოეყო და ილღაზის ბანაკისკენ დაიძრა. მორჩილების ნიშნად ხმლები მაღლა ჰქონდათ აწეული. მტერმა იფიქრა, დანებებას აპირებენო და კარგა ღრმად შეუშვეს ბანაკში. უეცრად ქართველებმა იარაღი იშიშვლეს და მოწინააღმდეგეს დაერივნენ. ილღაზის მეომრები დაიბნენ. სანამ გონს

*დიდგორის ბრძოლის ასპარეზი. რეკონსტრუქცია*

მოვიდოდნენ, დავით აღმაშენებელმა შეტევა წამოიწყო და მტერს რამდენიმე მხრიდან შეუტია. ლაშქრის ცენტრს დავითი ედგა სათავეში. ფლანგებზე ყივჩაღთა და დემეტრე უფლისწულის ჯარები იყო განლაგებული. ბრძოლის დაწყებისთანავე დემეტრე უფლისწული დიდგორის ერთ-ერთი მთიდან დაეშვა და ილღაზის არმიას გვერდიდან შეუტია. პირველივე შებრძოლებისას მტრის ბანაკი შეირყა. სარკინოზები არ ელოდნენ ქართველთა ასეთ სწრაფ და ფართომასშტაბიან იერიშს. დავითმა მართლაც გენიალური სამხედრო გეგმა დაუპირისპირა ილღაზს. მტერი 300-400 ათასამდე იყო, ხოლო ქართველთა ლაშქარი 55 600 მოლაშქრისგან შედგებოდა. სარკინოზთა რიცხობრივი უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ ხანგრძლივ ომს ქართველთა ლაშქარი ვერ გაუძლებდა. ამიტომაც, პირველ მასობრივ შეტევას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა. ბრძოლა სამ საათამდე გაგრძელდა. მტერმა ვერ გაუძლო ქართველთა ასეთ იერიშს და უკუიქცა. ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი იყო. ილღაზის არმიას ქართველებმა დიდგორიდან 70 კილომეტრზე სდიეს. ტყვე და ალაფი აუარებელი იყო. მართლაც, დიდგორზე ქართველობამ შეუძლებელი შეძლო. შემთხვევითი არ არის, რომ დავითის ისტორიკოსი დიდგორის გამარჯვებას „ძლევაი საკვირველს“ უწოდებს.

ქართველი ერი ყოველთვის დიდი მოწიწებით იხსენიებდა დიდგორის გმირებს. მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად კი ხალხმა ეროვნული დღესასწაული „დიდგორობა“ დააწესა.

**ჯაბა სამუშია**

# „უაილდ უესტის“ მხედრები

*გურიასა და გურულებთან დაკავშირებულ თემაზე კვლევა-ძიების შედეგად მივედი დასკვნამდე, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე გურულები ერთ-ერთი „პირველი ვიოლინოს“ პარტიას ასრულებდნენ: ისინი ან ჯანყდებოდნენ, ან რევოლუციონერობდნენ, ან მთავრობაში ისხდნენ, ან ტყეში იყვნენ გაფარდნილი ან კიდევ ამერიკაში ჯირითობდნენ.*

*ქართველი მხედრები ლონდონში, 1892 წ.*

აქაურ მოჯირითეთა თავგადასავალს გურიაში არდადეგებზე ჩასულს მეზობლის მოხუცები ასე მიამბობდნენ, — ბაბუა, გურულებმა ამერიკა სუნთლა გადარიენ, მარა თვითონაც გადარეულები ჩამევიდენო. სერიოზულად ამ თემაზე მუშაობა თითქმის თოთხმეტი წელიწადია, რაც დავიწყე. ამ ხნის განმავლობაში უამრავი ახალი მასალა, საინტერესო და სახალისოც მოვაგროვე როგორც საქართველოში, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების არქივებსა და მუზეუმებში.

გურულ მოჯირითეთა განსაცვიფრებელი (და ტრაგიკულიც) ისტორია 1892 წლიდან დაიწყო, როდესაც ისინი ინგლისში პირველად შეუერთდნენ ცნობილი ამერიკელი შოუმენის, ბაფალო ბილ კოუდის ველური დასავლეთის შოუს (Wild West Show), 1893 წელს კი გურულები აშშ-ში ჩავიდნენ. „რუსი კაზაკების“ სახელით გურულები 30 წელიწადზე მეტხანს გამოდიოდნენ ბაფალო ბილისა და არაერთი სხვა ცირკისა თუ შოუს არენაზე. მათ საყოველთაო აღიარება მოიპოვეს და დიდი გავლენა იქონიეს კოვბოებზე. ქართველი ცხენოსნების გამოსვლა „უაილდ უესტ შოუს“ მთავარ წარმოდგენად ითვლებოდა. ასეთივე ინტერესს მხოლოდ ინდიელები და კოვბოები იმსახურებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ იქ მათ გარდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. ცირკისა და შოუს მეპატრონეებმა გურული მხედრების სახით მიაგნეს ნამდვილ ოქროს საბადოს — არტისტებს, რომელთა სანახავად უამრავი ხალხი დადიოდა. საყურადღებო ფაქტია, რომ ყოველი რესპექტაბელური შოუს მფლობელი თუ მენეჯერი თავს მოვალედ მიიჩნევდა, აუცილებლად ჰყოლოდა ე.წ. კაზაკთა ჯგუფი. გურულებს სხვადასხვა მიზეზის გამო ეძახდნენ კაზაკებს. უმთავრესი ის გახლდათ, რომ საქართველო მაშინ რუსეთის იმპერიაში შედიოდა და აქედან გამომდინარე, ყოველი მისი მოქალაქე რუსი ეგონათ. ეს სამწუხარო შეცდომა ნელ-ნელა სწორდება. მივაღწიე იმას, რომ ბაფალო

*ბაფალო ბილი კოუდი, 1875 წ.*

ბილის სახელობის ორ ყველაზე მნიშვნელოვან მუზეუმში, ვაიომინგსა და კოლორადოში, გურულების ფოტოსურათებზე შეეაცვლევინე წარწერები და ახლა მათ არა რუსი კაზაკები, არამედ ქართველი მოჯირითეები აწერია.

პირველად გურული მოჯირითეები საზღვარგარეთ, კერძოდ კი ინგლისში, გამოჩნდნენ 1892 წელს (ჩვენში მხედრების პირველი გამგზავრების თარიღად მიჩნეული იყო 1887 წელი, რაც არ დასტურდება). იმ დროს ლონდონის Earl's Court-ში მიმდინარეობდა მებაღეობის საერთაშორისო გამოფენა, სადაც სხვადასხვა სახის ღონისძიებებთან ერთად, ბაფალო ბილ კოუდის „უაილდ უესტ შოუს“ წარმოდგენებიც გაიმართა. სერა ჯეი ბლექსტონი წერდა (წიგნში Buckskins, Bullets and Business, A History of Buffalo Bill's Wild West): „რუსი კაზაკები პირველად ბაფალო ბილის „უაილდ უესტ შოუს“ ლონდონში 1892 წელს შეუერთდნენ. ჯგუფი შედგებოდა 18-დან 25 წლამდე ათი მამაკაცისაგან. მათი ლიდერი...

*გურულ მხედართა პირველი გუნდი: ბესარიონ ცინცაძე, ლუკა ჩხარტიშვილი, მოსე გიგინეიშვილი, ლევანტი ჯორბენაძე, ვასო ჭყონია, ირაკლი ჭყონია, დათა ჭყონია, ივანე მახარაძე, მელიტონ ცინცაძე და დიმიტრი მგალობლიშვილი*

იყო პრინცი ივანე მახარაძე...“ ასე მოიხსენიებდნენ სხვა გუნდების მეთაურებსაც, მათი წარმომავლობის მიუხედავად. მოჯირითეები კი უმთავრესად გლეხები იყვნენ (ეს, რაღა თქმა უნდა, კეთდებოდა მაყურებელთა ინტერესის გასაღვივებლად. — ი. მ.). არსებობდა სხვადასხვა ვერსია და ასევე თარიღი, როგორ და როდის მოხვდნენ გურულები უცხოეთში. ყველაზე სანდო, რომელსაც ისტორიული წყაროებიც უმაგრებენ ზურგს, ასე გამოიყურება: 1891 წლის მიწურულს ან 1892 წლის დასაწყისში ბათუმში მოჯირითეების შესარჩევად ჩამოვიდა ამერიკული ცირკის წარმომადგენელი თომას ოლივერი (მოჯირითე ველიკო კვიტაიშვილის ცნობით, ამერიკელთა წარმომადგენელი ქალი იყო, თუმცა ამის დამადასტურებულ საბუთს ვერსად მოვაკვლიე). იგი ინგლისელ კონსულ ჯეიმს ჩემბერსთან დაბინავდა. კონსულთან იმხანად მსახურობდა (მდივნის მოვალეობასაც ასრულებდა) ზემო ჩიბათელი კირილე ჯორბენაძე. კირილე გურული ნაყმევის ოჯახში იყო დაბადებული, ბათუმს საარსებო წყაროს საშოვნელად ეწვია (მომდევნო წლებში ჯორბენაძე ფინანსურად ისე მომაგრდა, რომ ბათუმში რესტორანი „ფლორიდა“ გახსნა. ის იყო მეწილე სასტუმრო „ლონდონისა“, რომელიც გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკებმა ჩამოართვეს). ჯორბენაძემ როცა საქმის ვითარების შესახებ შეიტყო, ოლივერს განუცხადა, რომ ცხენოსანთა შეგროვებაში დაეხმარებოდა. თანხმობის შემდგომ ჯორბენაძე ოლივერსა და ვიცე-კონსულ ჰარი ბრიგსთან ერთად სოფელ ბახვში, მთელ გურიაში ცხენოსნობით განთქმულ ივანე (დიდი) როსტომის ძე მახარაძის (1866-1921), მეტსახელად „მათრახას“ ოჯახში მივიდა. გადაწყდა, რომ ივანე გუნდს შეკრებდა. აქედან დაიწყო გურულ მოჯირითეთა მრავალწლიანი საზღვარგარეთული ტურნე.

პირველი საგაზეთო ცნობა „კაზაკების“ შესახებ დაიბეჭდა 1892 წლის 8 მაისის Weekly Dispatch-ში, მას ეხმიანება „ივერიაში“

(19 ივნისი, №127, 1892) გამოქვეყნებული ცნობა: „ბათუმი: აი სახელი და გვარი იმ ქართველებისა, რომელნიც ამას წინად წაიყვანა აქედამ ერთმა პარიჟის თეატრის აგენტმა ლონდონში ბარნუმის ცირკისათვის: ივანე მახარაძე, დიმიტრი მგალობლიშვილი, ვასო ჭყონია, დათა ჭყონია, ლევანტი ჯორბენაძე, ლუკა ჩხარტიშვილი, მოსე გიგინეიშვილი, ირაკლი ჭყონია, ბესარიონ ცინცაძე და მელიტონ ცინცაძე“.

რჩეული ახალგაზრდებისგან შემდგარმა ათკაციანმა გუნდმა, რომელთა შორის „ევერიის“ განცხადებით: „სოფელ ჩიბათს და ლანჩხუთში მცხოვრებელნი, სხვა-და-სხვა წოდებისა, მომეტებულად აზნაურობა“ იყო, სათანადო წვრთნა გაიარა, ქუთაისში შეაკერინა ექვს-ექვსი წყვილი სხვადასხვა ფერის ჩოხა-ახალუხი, მოიწესრიგა იარაღი, ცხენის აღკაზმულობა და ბათუმში გაემგზავრა (ჩოხები მყვირალა ფერის: ყვითელი, მწვანე, ვარდისფერი, ნარინჯისფერი და ა. შ. იყო. სავარაუდოდ, ეს შოუს ორგანიზატორთა მოთხოვნა გახლდათ, თორემ როგორც ვიცით, მსგავსი ფერის ჩოხებს ჩვენში არ ატარებდნენ). უნდა აღინიშნოს, რომ გურულ მხედართა უმრავლესობა მომცრო ტანის, ძარღვიანი ახალგაზრდები იყვნენ, როგორც Wisconsin State Journal-ი (24 ივლისი, 1901) წერდა „ისინი უმეტესწილად პატარა ტანის ბიჭები არიან. მათ გვერდს ულამაზო ხმლები უმშვენებთ და ყველა სიგარეტს ეწევა“. ხოლო Monday Morning-ი (27 ივლისი, 1896) აღნიშნავდა: „მათი ბელადი დაახლოებით 140 ფუნტს (დაახლოებით 60 კილოგრამს. — ი. მ.) იწონიდა“, რაც არ უნდა იყოს გასაკვირი, რადგან ურთულესი ტრიუკების შესრულება დიდი აღნაგობის კაცს გაუძნელდებოდა (რა თქმა უნდა, გამონაკლისებიც არსებობდა, მაგალითად კირილე ხოფერია, რომელიც გადმოცემით ლამის ორ მეტრამდე სიმაღლისა იყო).

ბათუმში შეყრილმა ქართველებმა სამხედრო გუბერნატორისგან საზღვარგარეთული პასპორტები აიღეს (ხანდახან გურულებს პრობლემებიც ექმნებოდათ ხოლმე: ერთხელ ლუკა ჩხარტიშვილმა ვიღაც რუსს ხელი გაარტყა და ნაცემმა მას ყოველნაირად შეუშალა ხელი პასპორტის აღებაში, რის გამოც ლუკა ერთ სეზონში შოუში ვერ გამოჩნდა). ამერიკული პრესა წერდა: „სპილოსთვის კბილის ამოღება უფრო ადვილია, ვიდრე კაზა-

*ბაფალო ბილის შოუს არაბი, კაზაკი (ქართველი) და იაპონელი მონაწილეები. სარეკლამო პოსტერი*



*გურული მხედარი წარმოდგენისას*

კების გამოგლეჯა რუსეთის ყბებიდანო“ (Collier‘s Weekly, 13 აპრილი, 1901). გემ „მარიათი“ ბოსფორ-დარდანელის გავლით მარსელს მიადგნენ, აქედან პარიზზე გავლით ჰავრში ჩავიდნენ, საიდანაც „ორთქლის“ გემით ამერიკისკენ გაემგზავრნენ. გურულების პირველი ნაკადის საიმიგრაციო დეკლარაციებში მითითებული არ არის, რა თანხა მიჰქონდა თან თითოეულ მოჯირითეს, მაგრამ 1905 წლის დეკლარაციაში უკვე აღნიშნულია, რომ ყოველ მათგანს ჯიბეში 20 დოლარი ედო. 1912 წლის დეკლარაციაში კი ჯორჯ ჯორჯიანს (მისი ნამდვილი სახელი უცნობია) ხელზე 500, ვასო წულაძეს 200, ხოლო პლატონ მურვანიძეს 215 დოლარი ჰქონდა.

ლონდონში გურულთა გამოჩენამ დიდი ალიაქოთი გამოიწვია — მანამდე კაზაკები იქ არავის ენახა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ხმალ-ხანჯალი და მასრები, რომლებიც ინგლისელებს მინიატიურული დინამიტები ეგონათ. ინგლისური ჟურნალი The Illustrated London News-ი (18 ივნისი, 1892) იუწყებოდა: „საერთაშორისო მებაღეობის მშვენიერი გამოფენა მოწყობილია ერლს კორტ სტეიშენსა და უესტ ბრომპტონს შორის... აქ კვლავ საშუალება გეძლევათ იხილოთ ბაფალო ბილის უაილდ უესტი ჩრდილოეთ ამერიკის პრერიებიდან... აგრეთვე კაზაკები რუსეთის კავკასიიდან, ცნობილი სამხედრო კავალერისტები მათი ჰეტმანის, პრინც ივანე მახარაძის ხელმძღვანელობით, რომლებიც წარმოაჩენენ ცხენოსნობის უმაღლეს ხელოვნებას“. რა შთაბეჭდილება მოახდინეს „კაზაკებმა“ ინგლისელებზე, ამას მოწმობს თუნდაც 1892 წლის 15 ივნისის The London Serio-Comic Journal-ში დაბეჭდილი ვინმე სუზენ სპრეგის სიზმარი, რომელიც მან ნახა ერლ კორტში „კაზაკების“ შოუს შემდეგ. სიზმარში კაზაკმა სცემა მის სატრფოს, თვითონ კი მოიტაცა და წაიყვანა სტეპებში, სადაც ბოლოს იგი მშვენიერ მეფე მაზეპას გაჰყვა ცოლად. კაზაკთა პოპულარულობაზე ერთი საყურადღებო ფაქტიც მეტყველებს — იმ წელს ქალთა შორის დიდი მოწონებით სარგებლობდა ე.წ. კაზაკური ჩაცმულობა, ჩოხა-ახალუხის მსგავსად შეკერილი ტანსაცმელი.

გუნდის ლიდერი ივანე მახარაძე ინტერვიუში (Pen & Pencil-ი, 16 ივლისი, 1892) აცხადებდა: „ჩვენ მოგვწონს ლონდონი. მატარებელი მიწის ქვეშ რომ დადის, ეს გასაოცარია და ქალაქიც დიდია. ჩვეულებრივი მატარებელი ჩვენ ვიცით, ერთი ასეთი ჩვენს სამშობლოშია, ბათუმში... ჩვენ იმიტომ ჩამოვედით, რომ აქ უფრო ბევრ ფულს ვიშოვით, ვიდრე სახლში. აქ მხოლოდ ექვსი თვით ჩამოვედით... ამის შემდეგ ჩვენს ცოლებსა და შვი-

ლებს დავუბრუნდებით“. ჟურნალი „კვალი“ (№34, 11 აგვისტო, 1896) წერდა: „ბევრ საწყალ გურულ გლეხს გამოაჭყეტინა თვალები ლუკაიას (ჩხარტიშვილი. — ი. მ.) ამერიკაში მოგზაურობამ. ზოგმა, ლუკაიას მიერ იქ წაყვანილმა კაცებმა, რომელთაც შინ ლუკმაპურა და არც სახლ-კარი მოეძეოდათ, მისი შემწეობით და გზის გასწავლებით სახლ-კარიც აიშენეს, ლუკმაპურიც იშოვეს და მუდამ შიმშილისგან მტირალ ბავშვებს ცრემლი შეუშრეს თვალებზე“.

კაზაკების ჩამოსვლის ამბავმა დიდ ბრიტანეთის სამეფო კარამდეც მიაღწია. სულ მალე შოუს გენერალურმა მენეჯერმა ნეიტ სოლსბერიმ შეტყობინება მიიღო დედოფალ ვიქტორიას მეჯინიბეთუხუცესისგან, რომ მისი აღმატებულება დიდად ნასიამოვნები იქნება, თუ „უაილდ უესტის“ მენეჯერები მოახერხებენ კაზაკთა ჩაყვანას უინძორში და მშვენიერი ჯირითის ჩვენებას. როგორც ისტორიული დოკუმენტებიდან და წიგნებიდან ირკვევა, შოუს ნახვა დედოფალს მხოლოდ და მხოლოდ კაზაკთა გამო უნდოდა, რომელთა თაყვანისმცემელი სიცოცხლის ბოლომდე იყო.

1892 წლის 25 ივნისს გურულები ივანე მახარაძის თავკაცობით მისი აღმატებულების წინაშე წარდგნენ და დედოფლის, მისი შვილებისა და წარჩინებულ პირთა წინაშე ჯირითს. ჯირითი სულ თორმეტ წუთს გაგრძელდა. წარმოდგენის დროს პრინცმა ჰენრიმ დედას, დედოფალ ვიქტორიას გერმანულად ჰკითხა: „დედა, თქვენ ფიქრობთ, რომ ისინი ნამდვილი კაზაკები არიან?“ იქვე მდგომმა სოლსბერიმ პრინცს უპასუხა: „მომიტევეთ, სერ, მაგრამ რასაც და ვისაც აქ ხედავთ, ყველაფერი ნაღდია“. რა იცოდა მისმა აღმატებულებამ, რომ რუსი კაზაკები კი არა, მის წინაშე უბრალო ბახველი და ლანჩხუთელი გლე-

*ინგლისის სამეფო კარი წარმოდგენას სასახლის ტერასიდან უცქერს*

*აშშ-ში ბაფალო ბილის შოუში გურული ქალებიც მონაწილეობდნენ*

ხები ჯირითობდნენ (ეს დედოფლისა და გურულების პირველი შეხვედრა არ ყოფილა. ცნობილია, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ლონდონში იმყოფებოდა თავადი დიმიტრი ქაიხოსროს ძე გურიელი, რომელიც დედოფალმა ვიქტორიამ მიიწვია სადილზე, სადაც ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ გურიელს საზოგადოების ყურადღება მიუქცევია).

დედოფალი იმდენად ნასიამოვნები დარჩა ამ სანახაობით, რომ როგორც თვითმხილველები იუწყებოდნენ, გურულებს გადასცა მათივე ფოტოსურათებით სავსე მოვარაყებული ალბომი (არსებობდა ცნობა, თითქოს ეს ალბომი ივანე მახარაძის ოჯახში ინახებოდა და როგორც ამბობენ, 1917 წელს მის ამერიკულ ყაიდაზე აშენებულ სახლში გაჩენილი ხანძრის დროს დაიწვა), მადლობა გამოუცხადა, ხოლო ინგლისის საზოგადოებამ 20 ათასი კაცის მიერ ხელმოწერილი ქებისა და მადლობის ადრესი შეადგინა ქართველთა პატივსაცემად. რუსული გაზეთი Московские Ведомости (25 ივნისი, 1892) იუწყებოდა, რომ „კავკასიელ კაზაკებს (სხვა ნომერში გაზეთი მათ „გურულ კაზაკებს“ უწოდებს. — ი. მ.), რომლებიც ახლა იმყოფებიან ლონდონში პოლკოვნიკ კოუდის ხელმძღვანელობით, ბრიტანელი მაყურებელი ძალიან გულთბილად ხვდება. დღეს ისინი გამოიძახეს უინძორში, სადაც დედოფლის წინაშე იჯირითეს“. იმავე წლის 5 ივლისის ნომერში გაზეთი წერდა, რომ „ინგლისელი ქრონიკიორი (ასეა ტექსტში. — ი. მ.) აღწერს მათ შთამბეჭდავ გარეგნობას, მათ ცეკვებსა და მელანქოლიურ სიმღერებს, რომლებიც მშვენიერია და ისეთივე შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს სიმღერებს სოფლის გუნდები ასრულებენ რუსულ სტეპებში“. გაზეთი იქვე გულისტკივილით დასძენს: „და ამას ამბობენ ქართულ სიმღერებზე! რა ცოტა რამ იციან ევროპაში რუსეთსა და რუსებზე“.

„უაილდ უესტ შოუს“ სეზონი Earl's Court-ში 12 ოქტომბერს დაიხურა, ხოლო გურულები სამშობლოში 15 ოქტომბერს გაემგზავრნენ. ასე დაიწყო მოჯირითეების თითქმის 30-წლიანი ტურნე. საერთო ჯამში ამერიკა და ევროპა დაახლოებით 150-მა გურულმა მხედარმა დალაშქრა.

**ირაკლი მახარაძე**

*გურული მხედრები შეტევის იმიტირებისას*

# დიდი ქართველების ბიოგრაფიები!
# ეს ყველა ბავშვმა უნდა წაიკითხოს!

## ჟურნალ "საბავშვო კარუსელის" ყოველ ნომერთან ერთად

შემდეგი
**დავით გურამიშვილი**


წიგნის ფასი: 2.50
(ჟურნალთან ერთად 3.50)


უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!

# ᲒᲐᲜᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗ

## ᲥᲐᲚᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲧᲠᲐ ᲨᲣᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

***ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, ქორწინება შეიძლება შეწყდეს მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ. მაგრამ ქრისტიანული ქვეყნების კანონმდებლობა ცხოვრებისეული გარემოებების კარნახით იძულებული ხდებოდა, შეემუშავებინა განქორწინებისთვის აუცილებელი სხვა მიზეზებიც, რომლებიც მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა, და როგორც წესი, ზრდის ტენდენცია ახასიათებდა.***

*მინიატიურა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნიდან. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

მეუღლეთა განქორწინების შესაძლებლობა ჩანს პირველივე ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში, იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებაში“. ივანე ჯავახიშვილის აზრით, ქმრის მრისხანება შუშანიკისადმი და სასჯელიც სარწმუნოებრივი დევნის შედეგი კი არ ყოფილა, არამედ გამოწვეული იყო შუშანიკის წასვლით ოჯახიდან, რაც ვარსქენს საკუთარი თავისა და სახლობის შერცხვენად მიუჩნევია.

თხზულების ერთ-ერთ ეპიზოდში ვარსქენი მეუღლეს სთხოვს სახლში დაბრუნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახალხოდ ვირზე შესმითა და სამშობლოში გასტუმრებით ემუქრება. ეს კი გაყრას ნიშნავდა და ქალს მეორედ გათხოვების საშუალებას აძლევდა. სწორედ ამიტომ გადაიფიქრა ვარსქენმა თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა, მოგვითხრობს იაკობ ცურტაველი.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ მოყოლებული, ქართულ საისტორიო წყაროებში უკვე ნათლად იკვეთება ქორწინების შეწყვეტისთვის აუცილებელი პირობები. მათგან ერთ-ერთი მთავარი და უძველესი იყო მრუშობა. ქართული წყაროები ვრცელ მასალას გვაწვდიან სიძვა-მრუშობის შესახებ. ამ ორ ტერმინს ერთი შეხედვით ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მცირე შინაარსობრივი განსხვავება მათ შორის მაინც ყოფილა. სიძვა ერქვა დაუქორწინებელი ვაჟის გაუთხოვარ ქალთან სექსუალური კავშირის დამყარებას, მრუშობად კი ითვლებოდა, როდესაც ერთ-ერთი პარტნიორი მაინც დაოჯახებული იყო. დამნაშავენიც განსხვავებულად ისჯებოდნენ: მრუშობისთვის თხუთმეტი წლით უზიარებლობით, ხოლო სიძვისთვის — შვიდი.

მრუშობისთვის უფრო მკაცრი დამსჯელი ღონისძიების დაკანონება ოჯახის სიწმინდის დაცვის მცდელობიდან უნდა მომდინარეობდეს, და არა მხოლოდ სიწმინდის. მრუშობა ოჯახის ფიზიკურ არსებობას ემუქრებოდა, იგი გაყრის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო. ამიტომ საერო და სასულიერო ხელისუფლება, რომლებიც მტკიცე და ძლიერი ოჯახის მომხრე იყვნენ, ყოველმხრივ სდევნიდნენ მისი დანგრევის მცდელობას.

ერთ-ერთი უძველესი ცნობა საქართველოში ცოლის მრუშობის გამო გაყრის შესაძლებლობის შესახებ დაცულია პეტრე იბერის (V ს.) ცხოვრების ასურულ რედაქციაში: პეტრე იბერის ბიძამ (მამის ძმამ), არსილიოსმა (არჩილმა), შეიტყო, რომ მისმა ცოლმა „სამარცხვინო საქმე ჩაიდინა“. პირველად მსუბუქად გაკიცხა ის და მეორედაც რომ წაასწრო, ცოლის საყვარელს უთხრა: „მიჩუქებია შენთვის სიცოცხლე და სისხლი. აჰა, საგზალი და სამგზავრო ფული! სასწრაფოდ მომშორდი და ამ ქვეყანაში ნუ გაჩერდები“. ცოლს კი უთხრა: „შენ ამ საქციელის გამო არ გაგეყრები, მაგრამ შენს უპატიოსნებას სასაცილოდ ავიგდებ“.

როგორც ვხედავთ, ადრე შუა საუკუნეების საქართველოში ცოლის მრუშობის შემთხვევაში ქმარს შეეძლო ცოლის საყვარელი მოეკლა კიდეც, ცოლს კი გაშორებოდა. ამაზე, როგორც ჩანს, ეკლესიაცა და საერო ხელისუფლებაც თანხმობას იძლეოდნენ. სხვა წყაროების მიხედვით კი დგინდება, რომ გაწბილებულ ქმარს ეს უფლება მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ჰქონდა.

ამ მხრივ საინტერესოა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ (X ს.) დაცული ერთი ეპიზოდი: ადარნასე კურაპალატის საყვარელმა თავისი მეტოქის – ადარნასეს ცოლის თავიდან მოშორების მიზნით, ქმარს ჩააგონა, რომ ცოლი მას ღალატობდა. ადარნასემ ეს ცილისწამება დაიჯერა, ცოლი თავის სამშობლოში – აფხაზეთში გააგზავნა, ხოლო მისი ვითომდა შემცდენელი ყმაწვილი სასტიკად დასაჯა – მოკლა და ამით „სისხლი უბრალოისა ჭაბუკისა დასთხია“.

ამგვარად, ამ წყვილის დაშორება მოხდა მრუშობაში ქალის უსამართლოდ დადანაშაულების გამო, მაშინ, როდესაც ღალატის აშკარა ფაქტი ადარნასეს მხრიდან სახეზე იყო...

ასეთი გამოუძიებლობის, ცილისწამებით ცოლთან გაყრის უფლებას იყენებდნენ ფეოდალები, როდესაც რამე სხვა მიზეზის გამო სურდათ გაშორება. ასე მოიქცა იმერეთის მეფე, მაშინ ჯერ კიდევ ბატონიშვილი ალექსანდრე III (XVII ს.), გიორგი III-ის ძე. მას ცოლად ჰყავდა გურიელის ქალიშვილი. ალექსანდრემ ცოლს ქუთაისელ ვაჭართან კავშირი დააბრალა და თავის ვაჟიშვილ ბაგრატთან ერთად მამასთან – მამია გურიელთან დააბრუნა. კიდევ უფრო სასტიკი ამბავი აღუწერია ჟან შარდენს (XVII ს-ის ფრანგი

*პეტრე იბერი*

*იმერეთის მეფე ალექსანდრე III*
*ქრისტოფორო დე კასტელის ნახატი*

*ლევან დადიანი*
*ქრისტოფორო დე კასტელის ნახატი*

*გიორგი III. ყინწვისის ფრესკა*

მოგზაური): ოცდაოთხი წლის ასაკში ლევან დადიანმა შეირთო აფხაზეთის მთავრის ასული, რომელთანაც ორი ვაჟი შეეძინა. იგი იყო მეტად ლამაზი და ჭკვიანი დედოფალი, მაგრამ ბრალად დასდეს ქმრის ღალატი. შესაძლოა ეს შურისძიებით იყო გამოწვეული მისი ქმრის აშკარა, ყოველდღიური ღალატის პასუხად. იმ ქალთა შორის, რომლებიც ლევანს მოსწონდა, იყო მისი ბიძის – გიორგის ცოლი, დარეჯანი, დიდგვაროვან ჭილაძის ოჯახიდან. დარეჯანი არაჩვეულებრივად ლამაზი, მაგრამ უზომოდ პატივმოყვარე და ბოროტი ქალი ყოფილა. ის არ დაკმაყოფილდა ქმრის ძმისწულ მთავართან სასიყვარულო ურთიერთობით. შთააგონა დადიანს, ცოლს გაშორებოდა, თვითონ მოეტაცა და შეერთო. ლევანმა ეს მოთხოვნა შეასრულა. მრუში დედაკაცი მოიტაცა ბიძის ოჯახიდან და ცოლად მოიყვანა. რვა დღის შემდეგ კი აფხაზეთის მთავარს უამალოდ და სირცხვილნაჭამი გაუგზავნა თავისი ასული, რომელსაც ყურები, ცხვირი და ხელები ჰქონდა დაჭრილი. ასეთი უკიდურესი სისასტიკის გასამართლებლად მან ცოლს ბრალად დასდო ღალატი ვეზირთან, რომელსაც პაპუნა ერქვა. ყველა რომ დაერწმუნებინა ამაში, ცოლის დასახიჩრებასთან ერთად, ვეზირი ზარბაზანში ჩაატენინა. მიუხედავად ამისა, ყველა ირწმუნებოდა, რომ დედოფალსა და ვეზირს შორის არაფერი მომხდარა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჭილაძის ქალის სიავისა და ეჭვიანობის შედეგი იყოო, რასაც ლევანმა მსხვერპლად შესწირა თავისი ცოლი და ვეზირი.

მსგავსი არაერთი ფაქტია აღნუსხული ქართულ საისტორიო წყაროებში. მათი წაკითხვისას ვხედავთ, რომ ქმარს, რომელიც ცოლის მრუშობას შეიტყობდა, განუსაზღვრელი უფლებები ეძლეოდა, მაშინ როდესაც თვითონ ანალოგიურ შემთხვევაში დაუსჯელი რჩებოდა. ამაზე მეტყველებს, აგრეთვე, ქართველ დიდებულთა შორის ხარჭებისა და ბუშების ყოლის არაერთი შემთხვევაც, რომელთაგან აქ მხოლოდ რამდენიმეს მოვიყვანთ: თამარის ისტორიკოსის მიხედვით, გიორგი III-ს ხარჭები ჰყოლია. სწორედ ერთი ამ „ხარჭთაგანისა ნაშობი“, თამარის ნახევარდა მიათხოვეს სალდუხისძის ძეს მუტაფრადინს. ისტორიკოსის თხრობის კილოს ეტყობა, რომ ხარჭის ნაშობი უფლისწულად არ ითვლებოდა და ღირსებით მეფის კანონიერ შვილზე დაბლა იდგა, თუმცა იმხელა ღირსება კი ჰქონდა, რომ მის-

*ლევან კახთა მეფე. ფრესკა გრემის მთავარი ტაძრიდან*

თვის კარგი მზითვი გაემზადებინათ და სახელოვანი ქორწილიც გადაეხადათ.

ასევე დავით ულუმაც, რომლის კანონიერი მეუღლე – ჯიგდა ხათუნიც უშვილო იყო, მოიყვანა საყვარელი, გააჩინა მასთან ორი შვილი და შემდეგ უკან გააბრუნა. ჯიგდა ხათუნმა კი იშვილა ეს ბავშვები.

რაც შეეხება ბუშებს, ისინი, მართალია, კანონიერი შვილების უფლებებით ვერ სარგებლობდნენ, მაგრამ ოჯახში განსაზღვრული სტატუსი მაინც გააჩნდათ.

ცოლის უუფლებობა, აქტიური პროტესტის გამოხატვის სურვილი მრუში მეუღლისადმი, კარგად ჩანს ავგიორგის ძის ლევანის (XVI ს.) მეუღლის, თინათინ გურიელის ანდერძში. ეტყობა, სიცოცხლეში თინათინმა ვერ მოახერხა მოერჯულებინა ან გაყროდა თავის მემრუშე ქმარს, ამიტომ სიკვდილის წინ დაიბარა, რომ „არა დამარხონ გუამი მისი ქმრისა თვისისა ლევანის თანა, არამედ დაემარხოს იგი შუამთას თვისსა აღშენებულსა მონასტერსა“, რადგანაც „ლევან იყო სიძვისა და მრუშების მოყუარე“.

უკვე ამ დროიდან მოყოლებული განქორწინების მიზეზად მრუშობის გარდა ჩანს ავადმყოფობა, ოღონდ მხოლოდ ცოლის, თანაც განსხვავებული შედეგები მოჰყვებოდა ცოლის დასნეულებას ქორწინებამდე და ქორწინების შემდეგ. თუ ცოლი ქორწინების შემდგომ დასნეულდებოდა, ქმარს შეეძლო მისი მოშორება, ოღონდ უნდა დაეფიცა, რომ გაეყარა არა სიძულვილის, არამედ სნეულების გამო.

ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით ჩანს, რომ ამ პერიოდში (განვითარებულ შუა საუკუნეებში) ქმრის მიზეზით ოჯახის დანგრევა მხოლოდ მის სოდომურ ცოდვაში მხილებით შეიძლებოდა.

1103 წელს დავით აღმაშენებლის ინიციატივით მოწვეულ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქართველ საზოგადოებას ემუქრებოდა სოდომური ცოდვის გავრცელების საფრთხე. ამ მიზნით ძეგლისწერაში სპეციალური მუხლიც კი შეიტანეს, რომელშიც სამღვდელოების წარმომადგენლები ახსენებდნენ ქართველებს, რომ ასურელები, სპარსელები, რომაელები და სხვები სწორედ ამ ცოდვამ დაღუპა. აღსანიშნავია, რომ მემატიანეები თამარ მეფის პირველ ქმართან განშორების მიზეზად ამ უკანასკნელის სოდომურ ცოდვაში მხილებას ასახელებენ. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა არა ის, რამდენად სწორია ეს ცნობა, არამედ ფაქტი, რომ სოდომური ცოდვა შეიძლებოდა განქორწინების მიზეზი გამხდარიყო. მემატიანე ამბობს, რომ თამარ მეფე ორ წელიწადზე მეტხანს ითმენდა ქმრის ამგვარ უწესობას, ხოლო როდესაც ბოლოს და ბოლოს ვეზირებმა და დიდებულებმა გაიგეს ეს ამბავი, აღშფოთებულებმა აღიარეს, რომ საჭიროა ამ ძველი მტრის – სოდომური

*ურბნისის საკათედრო ტაძარი*

ცოდვის აღმოკვეთა. ეს ისეთი ცოდვაა, ამბობს ისტორიკოსი, „რომელმან მოაკულევინა ძმასა ძმა და მამასა შვილი“.

გვიან შუა საუკუნეებში განქორწინებისთვის აუცილებელ მიზეზთა რიცხვი კიდევ უფრო იზრდება. და რაც მთავარია, თუ ადრე შუა საუკუნეებში ქალის ინიციატივით ოჯახის დანგრევა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, დროთა განმავლობაში იგი ნელ-ნელა მოიპოვებს ბრალმდებლად ყოფნის უფლებას, რაც საბოლოოდ კანონის სახით ფორმდება ვახტანგ VI-ის (XVIII ს.) სამართალში. ამ დროიდან მოყოლებული უკვე ქალს ოფიციალურად ეძლევა ოჯახის დანგრევის უფლება, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ქმარი გიჟი ან იმპოტენტი აღმოჩნდებოდა.

ზოგადად, სიგიჟე და ბნედიანობა (ეპილეფსია) განქორწინებისთვის კანონიერი საფუძველი ხდება. ოღონდ თუ ქმარს ავადმყოფ ცოლს შეატყუებენ, იგი ვალდებულია, სამი წლის განმავლობაში უმკურნალოს მას. თუ ცოლი განიკურნება, ქმარი მას ვერ გაუშვებს

*რუისის საკათედრო ტაძარი*

და თუ ვერ განიკურნა – გაუშვებს „უსისხლოდ“ ფულადი ჯარიმით (შუა საუკუნეების საქართველოში ყველა წოდების ადამიანს ჰქონდა თავისი „სისხლის ფასი“, რის მიხედვითაც ფასდებოდა მათ წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული). ქმრის დასნეულების შემთხვევაში კი ცოლმა ხუთ(!) წელიწადს უნდა მოუცადოს, უმკურნალოს ქმარს და მოუაროს. თუ ამის შემდეგაც აღარ ეშველა, კათოლიკოსმა და მოსამართლემ ქალს განქორწინების ნება უნდა მისცენ.

საინტერესო და აღსანიშნავია, რომ ვახტანგ VI განქორწინების მიზეზად არ მიიჩნევს ქალის უშვილობას. ეს დებულება თითქოს ეწინააღმდეგება ქრისტიანულ დოქტრინას და აღიარებს, რომ ქორწინების უმთავრესი და ერთადერთი მიზანი შთამომავლობის გაჩენა არ არისო. ასევე იქცევა კანონმდებელი მამაკაცის მიმართაც. იგი განასხვავებს მამაკაცის ქალთან შეუღლების უნარს განაყოფიერების უნარისგან. თუ მამაკაცს განაყოფიერების უნარი არ აქვს, მაგრამ სქესობრივი კავშირი შეუძლია, ცოლი ვერ მოითხოვს განქორწინებას. მამაკაცის მხრიდან მხოლოდ სქესობრივი უუნარობა აძლევდა ქალს მასთან განქორწინების საფუძველს.

საერო და სასულიერო ხელისუფლების მიერ ოჯახის შენარჩუნებაზე ასე კატეგორიულად ზრუნვა შუა საუკუნეების ყველა განვითარებული ქვეყნისთვის იყო დამახასიათებელი. მიზეზი და მიზანიც საერთო იყო: ამ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, ნათესაური კავშირების ცენტრში იყო არა იმდენად საქორწინო კავშირები, არამედ სისხლით ნათესაური კავშირები. ეს უკანასკნელი უფრო წმინდა, ღრმა და მჭიდრო იყო, ვიდრე საქორწინო. ამიტომ საქორწინო კავშირების შექმნა და დარღვევაც, ძირითადად, სწორედ ოჯახის ინტერესებს ემსახურებოდა. ყოველ შემთხვევაში, მაღალ საზოგადოებაში მაინც. ქორწინებისას საქმროსთვის მთავარი იყო საცოლის მშობლების ვინაობა, ავტორიტეტი და მზითევი, სიყვარული კი შედარებით ნაკლებ როლს ასრულებდა. ასევე განქორწინების დროსაც მთავარი იყო ოჯახის უფროსის, გვარის ინტერესების დაცვა. ოჯახის თავი, რომლის ცხოვრების აზრი მემკვიდრის შეძენასა და მისთვის თავისი ქონების გადაცემაში იყო, ყოველმხრივ ცდილობდა ამ მემკვიდრის შენარჩუნებას. იგი დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ მემკვიდრე ნამდვილად მისია, რომ ის სხვის სისხლსა და ხორცს არ ზრდიდა. სწორედ ამით იყო გამოწვეული ის უდიდესი სიმკაცრე, რაც მრუშობაში მხილებულ ცოლსა და მის საყვარელს ელოდა. ქმარს შეეძლო მოღალატე ცოლის მოკვლა, განქორწინებაც, მაგრამ ეს უკანასკნელი მისი უფლება იყო და არა ვალდებულება. ალბათ იმიტომ, რომ განქორწინების შემთხვევაში ცოლი მიდიოდა სახლიდან თავისი ერთ დროს მოტანილი მზითვით, რაც, შეიძლება, ოჯახის მეურნეობის მნიშვნელოვანი წილი ყოფილიყო. ამით ოჯახის ქონება მცირდებოდა, რაც არაფრით არ შედიოდა ოჯახის ინტერესებში. ამიტომ ქმარს კანონით ეძლეოდა არჩევანის გაკეთების საშუალება, რომელშიც მას არავინ ზღუდავდა. ქალი კი ასეთ უფლებას მოკლებული იყო. მხოლოდ XVIII საუკუნეში ვახტანგ VI-ის მიერ მიეცათ ქალებს ბრალმდებლად ყოფნის უფლება, რომლის მოპოვებაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ემანსიპაციის პროცესში.

*ვახტანგ VI*

**ნანა გუგუშვილი**

# „მამა“ გრიგორი

*ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია საინტერესო მასალები ისეთი ოდიოზური პერსონის შესახებ, როგორიც იყო გრიგორი რასპუტინი. ნინო და ბარბარე ყიფიანებისა და კირიონ საძაგლიშვილის არქივებში (№803; №168) მიკვლეული მასალა მნიშვნელოვანია რასპუტინის ფსიქოლოგიური პორტრეტის რეკონსტრუქციისთვის. ნინო და ბარბარე ყიფიანების არქივი წარმოადგენს ორი საზოგადო მოღვაწის გაერთიანებულ მასალებს. ნინო (ქალიშვილობის გვარი ტატიშვილი) მსახიობ კოტე ყიფიანის მეუღლე იყო, ხოლო ბარბარე — დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი. ის გახლდათ პირველი ქართველი ფსიქოფიზიოლოგი ქალი, საკვარაუდოა, რომ სწორედ ბარბარე ყიფიანმა შემოგვინახა მასალა რასპუტინის შესახებ.*

## გრიგორი რასპუტინის ფსიქოლოგიური პორტრეტისთვის

ყოველთვის არსებობდა დაინტერესება გრიგორი რასპუტინისადმი. იმ პერიოდის რუსულ ისტორიოგრაფიასა და არისტოკრატიულ წრეებში რასპუტინის შესახებ ორგვარი შეხედულება გვხვდება. მას მიიჩნევდნენ ეპოქის მნიშვნელოვან ფიგურად, მეტიც, უთვალსაჩინოეს წარმომადგენლად. ბევრს სწამდა მისი წმინდანობისა და მისადმი გაგზავნილ დეპეშებში სთხოვდნენ, ელოცა მათთვის. გრაფი სერგეი ვიტე ასე წერს მასზე: „ჭეშმარიტად არავინ არის ისეთი ნიჭიერი, როგორიც ეს რუსი მამაკაცია. ის არის თავისებური, თვითმყოფადი ტიპაჟი! რასპუტინი სავსებით პატიოსანი და კეთილი ადამიანია, რომელიც ყოველთვის სიკეთეს თესავს“.

რაც შეეხება მეორე შეხედულებას რასპუტინზე, თანამედროვენი მას ახასიათებდნენ, როგორც ეშმაკს, ექსპანსიურს, მსმელს, ამორალურს, რომელმაც შეაღწია მეფის ოჯახში და იმდენი მოახერხა, რომ თავისი შეხედულებისამებრ ნიშნავდა და ხსნიდა მინისტრებს, ეპისკოპოსებს, გენერლებს და მთელი ათი წლის განმავლობაში იყო პეტერბურგის სკანდალური ქრონიკის ყურადღების ცენტრში. იმავდროულად, მას გააჩნდა უდიდესი



*გრიგორი რასპუტინის ავტოგრაფი*

და ამოუხსნელი ძალაუფლება ნიკოლოზ II-სა და მის ოჯახზე, ფლობდა ჰიპნოზურ ძალასა და რწმენას თავის განსაკუთრებულ დანიშნულებაზე.

ნინო და ბარბარე ყიფიანების არქივში დაცული რუსულენოვანი მასალა წარმოადგენს სოციალისტ-ფედერალისტ არჩილ ჯორჯაძის დის, თამარის მოგონებას რასპუტინზე, რომელიც 1906 წლის შემდგომი პერიოდით თარიღდება. თამარ ჯორჯაძე მოგონებაში დეტალურად მოგვითხრობს გრიგორი რასპუტინთან შეხვედრის ეპიზოდს.

თამარ ჯორჯაძემ თავისი ძმისწული რუსეთში კადეტთა კორპუსში ჩასარიცხად წაიყვანა. ისინი მე-2 კლასის ვაგონით მგზავრობდნენ. მისი ძმისწული, რაღაცით დაინტერესებული, მუდმივად მესამე კლასის ვაგონში იკარგებოდა. აღელვებულმა თამარმა ბიჭის ძებნა დაიწყო და მესამე კლასის ვაგონში ასეთ სურათს წააწყდა: ოცდაათიოდე წლის მამაკაცი გადაღეღილი პერანგით იჯდა, ჩითის შარვალი მუხლამდე აეკაპიწებინა, ფეხები კი წყლიან თასში ჩაეყო. მას ახალგაზრდა ქალები გარშემორტყმოდნენ: ერთი

*ბარბარე ყიფიანი*

*გრიგორი რასპუტინი სამეფო კარის ქალბატონების გარემოცვაში*

*რასპუტინი, ეპისკოპოსი გერმოგენი და ბერმონაზონი ილიოდორი*

*თამარ ჯორჯაძის მოგონება გრ. რასპუტინზე*



Воспоминанiе о Гр.Распутинѣ
Тамары Ивановны Джорджадзе.

Въ Великую пятницу,проходя мимо цирка,обратила вниманiе на большую афишу - это изображенiе Распутина съ двумя дамами.Невольно мнѣ вспомнилось, что лицо этого мужика знакомо и знакома мнѣ эта картина.Въ августѣ мѣсяцѣ 1906г,я ездила въ Россiю племянника моего сдавать въ кадетскiй корпусъ.Ѣхала во 2-мъ классѣ,но племянникъ мой все время проводилъ въ 3-мъ классѣ,чѣмъ то заинтересованный.Вернувшись его долгимъ отсутствiемъ, я его стала разыскивать въ III-мъ клас.и натикнулась на слѣдующую картину:сидитъ мужикъ лѣтъ 30 въ растегнутой косовороткѣ,сильные его штаны засучены до колѣнъ,ноги стоятъ въ чашкѣ съ водой; окружаютъ его молодыя бабы:одна обвила его шею,другая гладила его волосы,третья обвила его поясъ, остальныя сидѣли на полу, загадывая ему въ глаза и раболѣпствуя страстно. Онъ черпали воду изъ чашки рукой и пили.Сначала я подумала , что должно быть этотъ мужикъ ѣдитъ изъ Iерусалима ,поклонившись Гробу Господню.Отозвавши одну бабу и разговорившись съ ней,я узнаю,что этотъ мужикъ Св,ѣдитъ изъ Сибири,сначала въ Москву,а потомъ въ Питеръ показаться народу.Баба эта говорила говорила,что у него есть документы,что онъ Св.На это я ей сказала:"Св.не Св..,а все таки не совѣтую пить эту грязную воду,за это баба раскричалась и пожаловалась мужику,на что тотъ строго на меня посмотрѣлъ и сказалъ :"останься съ нами и ты убѣдишься ,что я Святой. Не помню точно,что я на это отвѣтила ему,но онъ въ отвѣтъ вскочилъ грозно поднялъ на меня кулакъ и назвалъ меня язычницей."Какъ смѣешь ты увѣрять народъ ,что нѣтъ Святыхъ,видно по твоему говору,что ты не русская и мы тебѣ показалось. Я страшно растерялась, тѣмъ болѣе,что и бабы на меня напустились:..,къ счастью въ этотъ моментъ вошелъ кондукторъ ,попросила его меня защитить,но онъ на это мнѣ сказалъ:"Сударыня,одно могу Вамъ сказать ,удалитесь въ

კისერზე ეხვეოდა, მეორე — წელზე, ხოლო მესამე თმას უსწორებდა. დანარჩენები იატაკზე ისხდნენ, თვალებში ვნებიანად შეჰყურებდნენ და მონური მორჩილებით თასიდან ხელით წყალს სვამდნენ.

თავიდან თამარ ჯორჯაძემ იფიქრა, რომ ეს მამაკაცი იერუსალიმიდან მოდიოდა, სადაც ქრისტეს საფლავს თაყვანი სცა. შემდეგ ახალგაზრდა ქალებისგან შეიტყო, რომ იგი თითქოს წმინდანი იყო. თამარმა უთხრა მათ, რომ წმინდანობის მიუხედავად, არ შეიძლებოდა გაბინძურებული წყლის დალევა, რის გამოც თავს მათი რისხვა დაატყდა. გაბრაზებული მამაკაცი წამოხტა, ქართველ მანდილოსანზე მუშტი აღმართა და უთხრა: „როგორ ბედავ, ხალხი დაარწმუნო, თითქოს წმინდანები არ არსებობენ. ლაპარაკზე გეტყობა, რუსი არ ხარ, ახლავე გიჩვენებთ სეირსო!“ ქალს ვითარებიდან თავის დაღწევაში კონდუქტორი დაეხმარა. თამარსა და მის ძმისწულს დიდი ხნის განმავლობაში ახსოვდათ რასპუტინის თვალების გამომეტყველება და მბრძანებლური იერი.

როგორც მოგონებიდან ირკვევა, თამარ ჯორჯაძემ სწორად შეაფასა გრიგორი რასპუტინის პიროვნება. იგი მიუთითებს გრიგორი რასპუტინის თაყვანისმცემელი არისტოკრატი ქალების იმ რელიგიური ფანატიზმის შესახებ, რასაც ისინი ავლენდნენ მის „წმინდანობასთან“ დაკავშირებით. ამ მოგონებიდან კარგად ჩანს რასპუტინის აგრესიული, მბრძანებლური ბუნება და მისი დამოკიდებულება სხვა ეროვნების ადამიანებისადმი.

კირიონ საძაგლიშვილის არქივში მოძიებული მასალა გრიგორი რასპუტინზე წარმოადგენს წერილს, რომლის ადრესატია ტარასი კანდელაკი. წერილში კირიონი ყურადღებას ამახვილებს რასპუტინის ცხოვრების ორ ფაქტზე: მის გავლენაზე რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკაზე და გრიგორი რასპუტინზე, როგორც ხლისტების სექტის მიმდევარზე. ეს სექტა წარმოიშვა რუსეთში XVII საუკუნის მიწურულს. ხლისტები არ ცნობენ სამღვდელოებას, „წმინდა“ და საეკლესიო წიგნებს. მათი მოძღვრების თანახმად, ადამიანს შეუძლია უშუალოდ დაამყაროს კონტაქტი სულიწმიდასთან, ნებისმიერ ადამიანში შეიძლება გარდამოვიდეს სულიწმიდა. ასე რომ, ხლისტებს ცოცხალი „ქრის-

*რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ოჯახი*

ტეები“ და „ღვთისმშობლები“ ჰყავთ. ახალმოვლენილ ქრისტედ მიიჩნევდა თავს გრიგორი რასპუტინიც.

რაც შეეხება მის გავლენას სამეფო კარზე, ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ მან დედოფლის დახმარებით ნიკოლოზ II-ს თანამდებობიდან გაათავისუფლებინა თავისი ბიძა ნიკალაი ნიკალაევიჩი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთის ჯარის მთავარსარდალი იყო. ის აქტიურად ერეოდა რუსეთის საეკლესიო საქმეებშიც. ნიკოლაი ევრეინოვის მონოგრაფიაში „რასპუტინის საიდუმლო“ ვკითხულობთ, რომ რასპუტინმა იმპერატორთან საუბრისას რეკომენდაცია გაუწია ვინმე პიტირიმს, რომელიც 1914-1915 წლებში საქართველოს ეგზარქოსად გვეელინება.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საარქივო მასალა გრიგორი რასპუტინზე იმ ტენდენციას განაგრძობს, რომლის მიხედვითაც ის უარყოფით პიროვნებადაა მიჩნეული. კირიონ საძაგლიშვილის წერილი 1914 წლის 30 ოქტომბრით თარიღდება. ამ პერიოდისთვის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კვლავ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენლობაშია. ამიტომ, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს მისი დაინტერესება გრიგორი რასპუტინის პიროვნებით.

**ქეთევან ხითარიშვილი**

*ელენა კლოკაჩევა*
*„გრიგორი რასპუტინის პორტრეტი“*

# კატინის ტყეში დახვრეტილი ქართველი ოფიცრები

## და ვარშავის აჯანყების ბმირი ქართველი ბოგონა

*პოლონეთის არმიის ქართველი ოფიცრების ხსოვნისადმი მიძღვნილი სტელა ვარშავის აჯანყების მუზეუმის თავისუფლების პარკში*

***ბოლშევიკურ რუსეთთან ხანმოკლე ომისა და რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წლები) ოკუპაციის შემდეგ იუნკერი არკადი სხირტლაძე (1902-1940) სხვა ქართველ იუნკრებთან და სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. ბევრი მათგანი, მათ შორის არკადი სხირტლაძეც, პოლონეთის სამხედრო სკოლებში ჩაირიცხა და შემდეგ კონტრაქტით მსახურობდა პოლონეთის არმიაში.***

არკადი სხირტლაძე ბიდგოშჩის მფრინავთა სკოლაში სწავლობდა. 1937 წელს ოჯახთან ერთად (პოლონელი მეუღლე იანინა კიჩინსკა-სხირტლაძე და ორი ქალიშვილი) ლვოვიდან დებლინში გადავიდა საცხოვრებლად და 1937-1939 წლებში დებლინის საავიაციო სკოლა „არწივის მართვეებში“ მფრინავ-ინსტრუქტორად მუშაობდა. ომის დაწყების შემდეგ კაპიტანი არკადი სხირტლაძე ჩაერთო 1939 წლის სექტემბრის კამპანიაში. პირველ დღეებში დებლინის აეროპორტზე გერმანელთა მიერ განხორციელებული საჰაერო შეტევის დროს არკადი დაიჭრა და ჯერ ვარშავაში, შემდეგ კი აღმოსავლეთით გადაიყვანეს. 17 სექტემბერს პოლონეთს აღმოსავლეთიდან უკვე საბჭოთა კავშირი დაესხა თავს და გერმანელთა ფრონტს გარიდებული დაჭრილი კაპიტანი ბრესტის მისადგომებთან წითელარმიელებს ჩაუვარდა ტყვედ. თითქმის ერთწლიანი ტყვეობის შემდეგ, 1940 წლის აპრილში არკადი სხირტლაძე რამდენიმე ათას პოლონელ ოფიცერთან ერთად კატინის ტყეში დახვრიტეს.

საბჭოთა ტყვეთა ბანაკებში აღმოჩნდა პოლონეთის არმიის კიდევ რამდენიმე ქართველი საკონტრაქტო ოფიცერი. გიორგი მამალაძე 1921 წელს ჩავიდა პოლონეთში და ოფიცერთა სკოლის დამთავრების შემდეგ კონტრაქტით მსახურობდა პოლონეთის არმიაში, სადაც მაიორის წოდება მიანიჭეს. 1939 წლის სექტემბრის კამპანიაში გიორგი მამალაძე იბრძოდა გერმანელებისა და საბჭოელების წინააღმდეგ. საბჭოთა ტყვეობაში მოხვედრილი მაიორი გიორგი მამალაძე და კაპიტანი მიხეილ რუსიაშვილი სტარობელსკის, ოსტაშკოვისა და კოჟელსკის ბანაკების სხვა ტყვეებთან ერთად დახვრიტეს კატინში 1940 წლის გაზაფხულზე. კატინის ტყეში დახვრეტილებს ტყვია უკნიდან, კეფაში ჰქონდათ მოხვედრილი...

ზოგიერთი წყაროს მიხედვით, მაშინ ბოლშევიკებმა კატინის ტყეში კაპიტან სხირტლაძის, მაიორ მამალაძისა და კაპიტან რუსიაშვილის გარდა დახვრიტეს აგრეთვე პოლონეთის არმიის ქართველი გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე. ალექსანდრე ჩხეიძე (1878-1940) პირველი მსოფლიო ომის შემდეგ პოლკოვნიკის რანგში მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში, პოლონეთში ემიგრირებულმა უმაღლესი სამხედრო განათლება მიიღო და პოლონეთის არმიის მე-16 ქვეითი დივიზიის სარდალი და მრავალი ბრძოლის მონაწილე გახლდათ. აღსანიშნავია, რომ სამოცდაათ წელს მიღწეული ბრიგადის გენერალი ჩხეიძე გერმანელებმა აიყვანეს ტყვედ და შემდეგ რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის შესაბამისად ბოლშევიკებს გადასცეს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ცნობების თანახმად, გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე 1941 წელს მოკლეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, კერძოდ, მოსკოვის ლუბიანკის ციხეში.

*კაპიტანი არკადი სხირტლაძე*

*მაიორი გიორგი მამალაძე*

კაპიტან არკადი სხირტლაძის უფროსი ქალიშვილი ირინა 1928 წლის 7აპრილს დაიბადა ლვოვში. 1943 წლის ბოლოს, როდესაც მამამისი ცოცხალი აღარ იყო, ირინა დედასა და უმცროს დასთან ერთად ვარშავაში გადავიდა. ოკუპირებულ ვარშავაში ირინას მოუძებნია ქართველი ქალი და მასთან დადიოდა ქართული ენის უკეთ შესასწავლად.

ქართველი კაპიტნის, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცრის ქალიშვილი ირინა სხირტლაძე არ იყო ვალდებული, მონაწილეობა მიეღო ვარშავის აჯანყებაში. მიუხედავად ამისა, მამაცი და გაბედული გოგონა აქტიურად ჩაება ანტიფაშისტურ მოძრაობაში. 1944 წლის აგვისტოში, ვარშავის აჯანყების დაწყების პირველივე დღეებში, ირინა სხირტლაძე ფსევდონიმით „ირკა“ პოლონეთის წინააღმდეგობის არმიაში მოხალისედ ჩაეწერა და „პარასოლის“ ბატალიონში მეკავშირე და სანიტარი იყო. ბატალიონთან ერთად ირკამ ბრძოლის მთელი გზა განვლო ვარშავის ვოლას უბნიდან ძველი ქალაქის გავლით ცენტრამდე და ჩერნიაკოვამდე. 1944 წლის 14 სექტემბერს 16 წლის ირინა სხირტლაძე ვარშავის სოლეჩის უბანში, ლუდნას ქუჩაზე გერმანელთა ტყვიამ იმსხვერპლა, როცა ის ცდილობდა, მძიმედ დაჭრილი ბატალიონის უფროსისთვის დახმარება აღმოეჩინა. 1944 წლის 12-24 სექტემბერს სწორედ სოლეჩში მიმდინარეობდა გააფთრებული შეტაკებები აჯანყებულებსა და გერმანელებს შორის.

ვარშავის აჯანყება, რომელიც 1944 წლის 1-ელ აგვისტოს დაიწყო, პოლონეთის წინააღმდეგობის არმიის მიერ ორგანიზებული უმთავრესი ოპერაცია იყო და მას ემიგრაციაში მყოფი პოლონეთის მთავრობა ხელმძღვანელობდა. აჯანყების მიზანი იყო გერმანელთა ოკუპაცი-

*ირინა სხირტლაძე და მისი საფლავი პოვონზკის სამხედრო სასაფლაოზე*

*სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს დადგენილების ოქმი, რომლითაც შინაგან საქმეთა კომისარიატს უფლება მიეცა, უკრაინისა და ბელორუსიის სამხედრო ტყვეთა ბანაკებში მყოფი პოლონეთის არმიის მეომრებისთვის დახვრეტის განაჩენი გამოეტანა*



Подлежит возврату в течение 24 часов во 2-ю часть Особого Сектора ЦК (Пост. ПБ ЦК от 5.V.27 г., пр. № 100, п. 5)

СТРОГО СЕКРЕТНО

Всесоюзная Коммунистическая Партия (большевиков). ЦЕНТРАЛЬНЫЙ КОМИТЕТ

№ П12/144. Тов. Берия.

5 марта 1940 г.

Выписка из протокола № 12 заседания Политбюро ЦК от 193 г.

Решение от 5.III.40 г.

144.- Вопрос НКВД СССР.

1. Предложить НКВД СССР:

1) Дела о находящихся в лагерях для военнопленных 14.700 человек бывших польских офицеров, чиновников, помещиков, полицейских, разведчиков, жандармов, осадников и тюремщиков,

2) а также дела об арестованных и находящихся в тюрьмах западных областей Украины и Белоруссии в количестве 11.000 человек членов различных к-р шпионских и диверсионных организаций, бывших помещиков, фабрикантов, бывших польских офицеров, чиновников и перебежчиков - рассмотреть в особом порядке, с применением к ним высшей меры наказания - расстрела.

II. Рассмотрение дел прекратить без вызова арестованных и без предъявления обвинения, постановления об окончании следствия и обвинительного заключения - в следующем порядке:

а) на лиц, находящихся в лагерях военнопленных - по справкам, представляемым Управлением по делам военнопленных НКВД СССР,

б) на лиц, арестованных - по справкам из дел, представляемым НКВД УССР и НКВД БССР.

III. Рассмотрение дел и вынесение решения возложить на тройку, в составе т.т. Меркулова, Кобулова и Шитикова (начальник 1-го Спецотдела НКВД СССР).

СЕКРЕТАРЬ ЦК

4ек

ისგან ვარშავის გათავისუფლება და დროში ისე იყო გათვლილი, რომ დამთხვეოდა საბჭოთა წითელი არმიის მოახლოებას ვარშავის აღმოსავლეთ გარეუბნებთან და გერმანელების უკან დახევას. მაგრამ საბჭოთა არმიამ მოულოდნელად შეაჩერა წინსვლა და საშუალება მისცა გერმანელებს, გადაჯგუფებულიყვნენ და ისევ წაერთმიათ ქალაქი პოლონელებისთვის, რომლებიც 63 დღეს გმირულად იბრძოდნენ თავიანთი დედაქალაქისთვის, გარედან რამე მნიშვნელოვანი დახმარების გარეშე. უინსტონ ჩერჩილი სთხოვდა სტალინსა და რუზველტს, დახმარება გაეუწიოთ ბრიტანეთის პოლონელ მოკავშირეებსო, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ, საბჭოთა კავშირისგან საჰაერო უსაფრთხოების გარანტიის გარეშე, მან ბრიტანეთის უმაღლესი მთავარსარდლობით მოქმედი საფრანგეთის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და პოლონეთის საჰაერო ძალებით მაინც განახორციელა ორასამდე დაბალი სიმაღლის გაფრენა ვარშავის მიმართულებით. ამ თვითმფრინავებიდან აჯანყებულ ვარშავას საკვებსა და მედიკამენტებს უყრიდნენ.

ირინა სხირტლაძე დაჯილდოებულია მედლით „მამაცთა ჯვარი“, რომელიც 1920 წელს დაწესა პოლონეთის დაცვის საბჭომ და რომელიც ენიჭება მათ, ვინც სიმამაცესა და გამბედაობას გამოიჩენს უშუალოდ ბრძოლის ველზე.

ირინა სხირტლაძე ბატალიონ „პარასოლის“ სხვა ჯარისკაცებსა და სანიტრებთან ერთად დაკრძალულია ვარშავის პოვონზკის ცნობილ სამხედრო სასაფლაოზე. ამ სასაფლაოზე განისვენებენ 1920 წლის ვარშავის ბრძოლის, 1939 წლის სექტემბრის კამპანიისა და 1944 წლის ვარშავის აჯანყების მონაწილენი. მათგან ბევრი უსახელო გმირია.

2011 წლის 14 სექტემბერს, ირინა სხირტლაძის დაღუპვიდან 67 წლის შემდეგ ვარშავის პოვონზკის სამხედრო სასაფლაოზე გაიმართა ვარშავის აჯანყების გმირი ქართველი გოგონას ხსოვნისადმი მიძღვნილი ცერემონია. დებლინის საავიაციო სკოლის, „არწივის მართვეების“ კურსანტებმა, სადაც მრავალი წლის წინ ირინას მამა, კაპიტანი არკადი სხირტლაძე პოლონელ მფრინავებს წვრთნიდა, ყვავილებით შეამკეს ირკას საფლავი და მის ხსოვნას სანთლები აუნთეს.

ღონისძიების ინიციატორი იყო პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის კანცელარიის წარმომადგენელი, ქართველი ხალხის მეგობარი, ქალბატონი მალგოჟატა გოშიევსკა, რომელიც 2011 წლის

25 იანვარს საქართველოს ღირსების მედლით დაჯილდოვდა. „ყველამ ვიცით, როგორი მადლიერება გამოხატა ქართველმა ერმა პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკისადმი, მის მიერ 2008 წლის აგვისტოს ომში გაწეული დახმარებისათვის. საქართველოში არაერთ ქუჩას ეწოდა დაღუპული პრეზიდენტის, ლეხ კაჩინსკის სახელი. ჩვენ, პოლონელებმაც, უნდა გამოვხატოთ ჩვენი მადლიერება. ქართველებმა, რომლებიც პოლონეთის არმიაში მსახურობდნენ, სამაგალითო გმირობა და ერთგულება გამოავლინეს, როგორც 1939 წლის სექტემბრის კამპანიის დროს, ასევე შემდეგ, ოკუპირებულ პოლონეთშიც და დასავლეთის ფრონტზეც. ბევრი მათგანი პოლონეთის უმაღლესი სამხედრო მედლებითაა დაჯილდოებული. ირინა სხირტლაძისა და მისი მამის ისტორია ნაკლებად არის ცნობილი პოლონეთში. ჩვენ გვჭირდება ეს საზეიმო ცერემონია, რათა გავიხსენოთ ირინა სხირტლაძე“, — ამბობს ქალბატონი მალგოჟატა.

პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა ირინა სხირტლაძის ხსოვნას ლექსი „ირინოლა“ მიუძღვნა. იმ დროს, როცა ირკას გმირობით შთაგონებული ჯანსუღ ჩარკვიანი ამ ლექსს წერდა, საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროდ და სატელიტად ქცეულ პოლონეთში, სადაც მარიონეტული კომუნისტური ხელისუფლება იჯდა, პოლონეთის არმიის ქართველი ოფიცრების თემა, ოფიცრებისა, რომლებიც პოლონეთის თავისუფლებისთვის თავდადებით იბრძოდნენ როგორც ფაშისტური გერმანიის, ასევე საბჭოთა წითელი არმიის წინააღმდეგ, მკაცრად ტაბუირებული იყო. შესაბამისად, ჯანსუღ ჩარკვიანს არ შეიძლება სცოდნოდა, რომ მისი ლექსის გმირი საბჭოთა შინსახკომის მიერ კატინის ტყეში დახვრეტილი პოლონეთის არმიის ქართველი ოფიცრის, კაპიტან არკადი სხირტლაძის ქალიშვილი იყო. იმ წლებში არც ის ფაქტი იყო ცნობილი, რომ 1944 წლის ვარშავის აჯანყება, რომელსაც შეეწირა 16 წლის ირინა სხირტლაძე, გერმანელებმა სწორედ საბჭოთა კავშირის დახმარებით ჩაახშეს.

2007 წლის 10 მაისს ვარშავის აჯანყების მუზეუმის თავისუფლების პარკში პოლონეთისა და საქართველოს პრეზიდენტებმა ლეხ კაჩინსკიმ და მიხეილ სააკაშვილმა საზეიმოდ გახსნეს პოლონეთის არმიის ქართველი ოფიცრების ხსოვნისადმი მიძღვნილი სტელა, რომლის სამენოვანი (პოლონური, ქართული და ინგლისური) წარწერა გვამცნობს, რომ მე-

*პოლონელებმა კატინში დახვრეტილთა ვინაობა მემორიალებზე უკვდაყვეს*

მორიალი ეძღვნება პოლონეთის არმიის ქართველ ოფიცრებს, რომლებმაც 1939-1945 წლებში სიცოცხლე გაწირეს პოლონეთის რესპუბლიკისთვის, ორ ოკუპანტთან ბრძოლაში დაცემულთა, ჭრილობებისგან გარდაცვლილთა და მოკლულთა ხსოვნას, მათ, ვინც თავი გაწირა პოლონეთისთვის 1939 წლის სექტემბერში, ემსხვერპლა კატინში ჩადენილ დანაშაულს, ვინც გმირულად დაეცა ვარშავის აჯანყების ბარიკადებზე და მეორე მსოფლიო ომის სხვადასხვა ფრონტზე.

**ქეთი ტოროტაძე**

*მედალი „მამაცთა ჯვარი“, რომლითაც დაჯილდოებული იყო ირინა სხირტლაძე*

# ᲮᲐᲚᲓᲔᲡ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ

## (1875–1876)

***ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში აქტიურდება (კახეთისა და მთიულეთის აჯანყებები, საეკლესიო ბუნტი დასავლეთ საქართველოში). საუკუნის მეორე ნახევარში კი აქცენტი ეთნიკური თვითშეგნების აღორძინებაზე გადადის. ამ პერიოდსვე მიეკუთვნება აჯანყება სვანეთში, სოფელ ხალდეში 1875-1876 წლებში.***

ის, რაც რუსებმა მოახერხეს საქართველოს სხვა კუთხეებში, ვერ განახორციელეს სვანეთში, რადგან სამთავროს გაუქმების შემდეგაც ვერ შეძლეს რეალურად ამ კუთხის დამორჩილება. ცინიკური იყო მოსახლეობის ლოთობაში დადანაშაულება და რუსებისთვის აგრერიგად ნაცნობი სენისგან ტრადიციების ერთგული სვანების „გათავისუფლების“ მცდელობა, რისთვისაც სოფლებში აღირიცხა არყის სახდელი ქვაბები და გამოხდაზე დაწესდა ბაჟი.

კონფლიქტის პროვოცირება ადგილობრივი თავადის, თენგიზ დადეშქელიანისგან მოდის. მას ბალსზემოთა, უბატონო სვანეთის მოსახლეობისთვის გამოუცხადებია ხაზინისთვის გადასაცემი მიწების აზომვის შესახებ. ასევე მისთვის უნდა მიეწოდებინათ ცნობები, რა რაოდენობით ჰყავდათ პირუტყვი — ხარ-ძროხა-ცხენით დაწყებული, ძაღლითა და კატით დამთავრებული (მათზეც გადასახადების დასაწესებლად!). ხალხს ამ გაუგონარი განზრახვის გამო თხოვნით მიუმართავს დადეშქელიანისა და ბოქაულისთვისაც, შუამავლად ჩამდგარიყვნენ მთავრობის წინაშე. მათ კი ცეცხლზე ნავთი დაუსხამთ და მოუთხოვიათ არაყსა და თუთუნზე აქციზის დაწესებაც. შემდგომ კიდევ უფრო განსაცვიფრებელი ამბავი ხდება. დადეშქელიანმა მოსახლეობა დაამშვიდა, — ნურაფერს გადაიხდით, მეც გვერდით დაგიდგებითო, თუმცა კი ხალხი იმედის ანაბარა მიატოვა. მერე სულაც ჯარები გამოითხოვა ქუთაისიდან მათ დასასჯელად.

ეს სვანეთის აჯანყების პირველი ეტაპია. 1875 წლის მაისში ბალსზემო სვანეთში დაიწყეს მიწების აღწერა. შეიარაღებული მამაკაცები სოფელ კალაში შეკრებილან კვირიკეს

# Ci vis pacem - Para Belum!

## თუ გსურს მშვიდობა... ემზადე ომისთვის!



**არსენალი**

კაცური ჟურნალი
არა მარტო მამაკაცებისათვის!

სალოცავთან. მჭევრმეტყველებით გამორჩეული ყოფილა ყასბულათ შერვაშიძის მიმართვა შეკრებილებისადმი: „ჩემზე მოხუცნი ურევია ამ ყრილობას და ისინი ჩემზე უკეთ იტყვიან, რომ ვისაც ჩვენი დამონება და ხელში ჩაგდება მოუნდომებია, ყველანი ჩვენი მსხვერპლნი გამხდარან! სვანეთის სალოცავმა გვაშოროს, რომ თოფი და ხანჯალი დაგვჭირდეს ახლაც. ამგვარი საქმის მოსურნე არავინ ვართ... ხმა დადის ჩვენი მიწების დაბეგვრა უნდათო. თუ ეს მართალი გამოდგა, მაშინ სიცოცხლის პირი არა გვაქვს და მუდამ წვალებას ის გვირჩევნია, ერთ დღეს გავთავდეთ“.

გადაწყდა ბალისა და ლატფარის უღელტეხილების ჩაკეტვა. რუსებმა მრავალრიცხოვანი სამხედრო ექსპედიცია მოამზადეს ტფილისსა და ქუთაისში. დიდი ჯარი მიადგა ქვემო სვანეთის კარიბჭეს გენერალ ციტოვიჩის წინამძღოლობით. ამჯერად მოლაპარაკების

*აჯანყების მონაწილე პარტყულდ შამფრიანი. დიმიტრი ერმაკოვის ფოტო*

გზით ლეჩხუმიდან მაზრის უფროსი გრინევსკი და მისი თანმხლებნი ლატფარის უღელტეხილით მივიდნენ სოფელ ლალხორში, ხოლო შემდგომ უკვე რუსთა რაზმიც ჩავიდა ბეჩოში. აქ უკვე რუსულმა მხარემ დაივიწყა მოლაპარაკების პირობები და შეიპყრეს ბუნტის მოთავეები. დატუსაღებული თავკაცები ქუთაისის სატუსაღოში გამოამწყვდიეს. აჯანყების პირველ ეტაპს ემსხვერპლნენ ყასბულათ შერვაშიძე და გინადრუყ ფარჯიანი.

1876 წელს მოვლენები ასე განვითარდა: წინა წელს აჯანყების მეთაურებად, ანუ ბუნტისთავებად გამოცხადებული 19 კაციდან სამი არ ენდო რუსებს და ვერც შეიპყრეს. გრინევსკიმ გადაწყვიტა, უშუალოდ ეხელმძღვანელა სადამსჯელო ექსპედიციისთვის, რომელიც თავდაპირველად მულახს „ესტუმრა“, სადაც შეიპყრეს შახუბათ ქურდიანის ორი უდანაშაულო ვაჟი და კალაში წაიყვანეს. აქედანვე გაგზავნეს ხალდეში მოსალაპარაკებლად მღვდელი ალექსი ბაქრაძე და მამასახლისი მარგველანი.

გრინევსკიმ მოითხოვა, დამნაშავენი გადმოგვეცითო. ხალდელებს ორაზროვნად შეუთვლიათ, ჩვენი ხელით ვერ დავიჭერთ და ვერ მოგგვრით, თქვენ კი თუ შეძლებთ, შეიპყარითო. ავმა წინათგრძნობამ შეიპყრო სოფელი. ბევრმა ცოლ-შვილის გახიზვნა დაიწყო. ხალდელებმა არც რუსები შეუშვეს სოფელში და მით უმეტეს, არც თვითონ გამოეგებნენ გრინევსკის. მით უფრო, რომ ავი გამოცდილება ჰქონდათ უკვე: ვინც წინა წელს ქუთაისს წაიყვანეს, ყველანი ციხეში დაიხოცნენ. იქ სიკვდილს კი აქ სიკვდილი გვირჩევნიაო. ეს მოხდა 31 ივლისს. ამრიგად, სადამსჯელო რაზმი თავის მეთაურებთან ერთად ხალდეს მისადგომებთან ყურყუტებდა.

ხალდელები მთლად კმაყოფილნი არ დარჩენილან ბესარიონ ნიჟარაძის შუამავლობით. მართალია, სოფელი არ გამოჰყვა, მაგრამ ხალდელთა ერთი ნაწილი, ძირითადად ნათესავები მაინც დაუთანხმებია შეხვედრაზე იმ პირობით, რომ ხალხი გაჩერდებოდა ჯარისგან ერთი ვერსის სიშორეზე და შეხვდებოდნენ მხოლოდ გრინევსკის. მაგრამ ბესარიონ ნიჟარაძის მცდელობა ამაო გამოდგა, შეხვედრა არ შედგა, რადგან სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა დაპირისპირება გრინევსკისა და მაიორ ლეუსს შორის (ორივეს პირველობა უნდოდა). ასე რომ, ერთმანეთის ჯიბრზე გრინევსკი და ლეუსი ჯარით ხალდესკენ გაემართნენ.

*გაუკაცურებული ხალდე*

ამრიგად, 1-ელ აგვისტოს გრინევსკი შეიარაღებული ჯარითა და ამალით ხალდეს მიადგა. ხალდეს დამცველთა ერთ-ერთი შთამომავლის, ჯოყოლა ჩეგიანის ცნობით, ხალდეში ოთხი გვარის ოცდახუთი ოჯახი სახლობდა: რვა კომლი ყოფილა გასვიანებისა, შვიდ-შვიდი — ჩოფლიანებისა და ჯოხაძეებისა, ხოლო სამი კომლი ჩეგიანებისა. როგორც მთხრობელები გადმოგვცემენ, ამათ გარდა მეხუთე გვარიც ყოფილა ხალდეში. ორი კომლი ქოჩქიანებისა, მაგრამ ამ გვარმა დაფიცებაში არ მიიღო მონაწილეობა და ხალდე დაუტოვებიათ. სოფელში იმ დროისთვის თორმეტი კოშკი ანუ მურყვამი მდგარა. ცხადია, თავისებურ სიმაგრეს წარმოადგენდა სვანური ქვითკირის სახლიც ანუ ლუშნუ ქორი და განსაკუთრებით მაჩვიბი. ორმოცამდე შეიარაღებული მამაკაცი კოშკებში განლაგდა, ხოლო დარბაისელი მოხუცნი სოფლის შუაგულში, სვიფში ელოდნენ მშვიდობიანად მტერს იმ იმედით, იქნებ საქმე კეთილად მოგვარდესო.

პირველი ხალდეში გრინევსკი შევიდა. ჯარის ერთი ნაწილი ხალდეში გაიშალა, მეორე ნაწილი კი სოფელთან განლაგდა და ალყაში მოაქცია იგი. უხუცესებმა სცადეს მშვიდობიანად მორიგება, ისიც გამოუცხადეს მომხდურთ, რომ ძებნილთა ხელის დაფარებას არც აპირებდნენ, ისინი სოფელში არც არიან, ყარაჩაეთის მიმდებარე მთებში გაიხიზნენო.

შეიარაღებული ხალდელები თავდაცვით პოზიციებზე განლაგდნენ, თუმცა ორი მათგანი, ძმები გეგი და გიერგ გასვიანები კოშკებს გარეთ აღმოჩნდნენ. ერთი ვერსიით, მათ ვერ მოასწრეს შეხიზვნა, მეორე ვერსიით კი ჯარს შეეგებნენ. ლეუსმა რვა ჯარისკაცს მათი შეპყრობა უბრძანა. ერთი მალევე ააგეს ხიშტებზე, მეორემ კი ხანჯალი იშიშვლა და სამი სალდათი გაიყოლა, თუმცა მეოთხემ იგი იმსხვერპლა.

ეს ყველაფერი ხალდეს დამცველთა თვალწინ მოხდა. ბუნებრივია, საპასუხოდ სროლა გაისმა გასვიანებისა და ჩეგიანების კოშკებიდან. ბადრი, შავხან და ბუღა გასვიანებმა მოკლეს წერას ატანილი მაიორი ლეუსი და დაჭ-

რეს ბოქაული მიქელაძე. ჩვენი მთხრობელის, ჯოყოლა ჩეგიანის დიდმა ბაბუებმა მომი და გუა (გოგი) ჩეგიანებმა პირდაპირ მაზრის უფროსი გრინევსკი ამოიღეს მიზანში. მას გარდაუვალი სიკვდილი ელოდა, მაგრამ რატომღაც თავი გამოიდო კალის მამასახლისმა მარგველანმა, ცოცხალ ფარად დაუდგა და მის წილ ტყვიას ემსხვერპლა. თორმეტივე კოშკიდან დაიწყო სროლა. დაიღუპა ორი კაცი, ხოლო ცხრა დაიჭრა, ხალდელები კი მამა-პაპათა კოშკებმა საიმედოდ დაიცვეს. შეღამებისას რუსთა რაზმმა ლალხორალში გადაინაცვლა. გრინევსკი ჩეგიანების თოფს კი გადაურჩა, მაგრამ იმ ღამეს გასვიანების შურისძიებას ემსხვერპლა. გრინევსკიმ, დაჭრილმა მიქელაძემ, ექიმმა ბელსკიმ, ბაქრაძემ, ასათიანმა და დევლეთ პირველმა სოფლის აღმოსავლეთით მდებარე ესპინე ჯოხაძის ოჯახს შეაფარეს თავი. სწორედ აქ, ღამით ემსხვერპლნენ მესისხლეთა რისხვას. ამ შურისძიების მოთავენი ყოფილან ხიშტებზე აგებული გეგი და გიერგ გასვიანების ძმა ბუღა გასვიანი და მათი ბიძაშვილი ჩოფა გასვიანი. მხოლოდ დაჭრილ ბაქრაძეს ჩაუღწევია ქუთაისამდე. მეორე ვერსიით, დევლეთ პირველიც გადაურჩა შურისმაძიებლებს.

პირველ დღეს ხალდელებმა ივაჟკაცეს, მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ ამ ყოველივეს არავინ შეარჩენდათ. დაასაფლავეს დახოცილი მომხდურნი, ცოლ-შვილი ნათესავებში გახიზნეს და დაიწყეს მზადება გადამწყვეტი ბრძოლისთვის. წარმომადგენლები გაგზავნეს ბალსზემოთა სოფლებში დახმარების სათხოვნელად, მაგრამ წინ დიდი იმედგაცრუება ელოდათ. წინა წლის გამოჩენილი ერთსულოვნება დაივიწყეს, ერთად ბრძოლის პირობა და ფიცი დაირღვა. ასე რომ, სოფელი მარტო დარჩა.

რუსებმა მიყენებული სირცხვილის ჩამორეცხვა ულმობელი და სასტიკი გადაწყვეტილებით განიზრახეს. შეიქმნა სვანეთში გასაგზავნი მძლავრი სამხედრო ძალა სხვადასხვა სახეობის რაზმით, საველე ლაზარეთით, სამხედრო აღალით, ერთი თვის სამყოფი სურსათ-სანოვაგითა და საომარი აღჭურვილობით. საბოლოო მიზანს არც მალავდნენ: ალყაში მოექციათ სოფელი ხალდე და იქიდან ცოცხალი არ გაეშვათ არც ერთი სულდგმული.

სადამსჯელო ექსპედიციაში მონაწილეობდა ალექსანდრეპოლის 161-ე ქვეითი პოლკის ოთხი ასეული, ქუთაისის გუბერნიის ქვეითი მილიციის ორი რაზმი, 39-ე საარტილერიო ბრიგადის სამთო ბატარეის ოცეული, მესანგრეთა ასეული, გურიის მილიციისა და ბეჩოს სამხედრო ნაწილის რაზმები. ქუთაისთან კავ-

*ფოლკლორული ანსამბლი სვანეთიდან, რომლის რეპერტუარს „გაულ გავზეც“ ამშვენებს*

შირის დასამყარებლად მოეწყო კაზაკთა ხუთი საგუშაგო. ოპერაციას ხელმძღვანელობდა გენერალი ციტოვიჩი.

გზა ქვემო სვანეთის გავლით არჩიეს. ქუთაისიდან 12 აგვისტოს ჩოლურს მიაღწიეს, 19 აგვისტოს ლატფარის უღელტეხილი გადალახეს და ასე მიადგნენ ხალდეს სანახებს, სადაც თავად თენგიზ დადეშქელიანის მიერ მთავრობის დასახმარებლად გამოყვანილი რაზმი დახვდათ. 20 აგვისტოსთვის განლაგდნენ სოფლის პირისპირ იმ ადგილას, რომელიც მიჯვრიშის სახელითაა ცნობილი. ეს იყო სტრატეგიული ადგილი, საიდანაც ხელის გულივით ჩანდა მთელი სოფელი. სწორედ აქ მოაწყვეს დამპყრობლებმა საარტილერიო მოედანი სამთო ქვემეხებისთვის. ალყის მოწყობა საბრძოლო ტაქტიკის ყველა წესით დაცვით მიმდინარეობდა, საფარი ზღუდეების, სანგრების, თხრილების ჩათვლით.

ბრძოლის დაწყების წინ მტერმა ხალდელებს მოციქულები გაუგზავნა და დანებება მოსთხოვა. სოფელმა ულტიმატუმი არ მიიღო და ულმობელი ბრძოლაც დაიწყო. სწორედ ამ დღეებში, ხალხში იშვა სვანური... საგმირო-ჰეროიკული ფერხული-სიმღერა „გაულ გავხე“.

მტერი ხალდეს სამი მხრიდან უტევდა: სამხრეთიდან — მიჯვრიშ-ლამარიას მხრიდან ექვსი ქვემეხით; დასავლეთიდან — იფრალის, კრაბზაგარის, ვანიაშის გზით და აღმოსავლეთიდან.

პირველი ცეცხლის წვიმა ხალდელებს 21 აგვისტოს დაატყდათ თავს, თუმცა მტერი ვერას გახდა. მომდევნო დღეს ხალდელებმა კვლავ საპასუხო ცეცხლი გახსნეს. ამჯერად მიზანში საარტილერიო ბატარეა ამოიღეს. ერთერთი კოშკიდან გასროლამ მიზანს მიაღწია და ტყვია მეზარბაზნეს მოხვდა. ამ ფაქტს ჯოყოლა ჩეგიანი ასე გადმოგვცემს: „მიჯვრიშიდან ქვემეხების სროლა ხალდეს დამცველებს დიდ ნგრევას აყენებდა. მაშინ ამოუღია მიზანში ჩემი ბაბუის მამის — ივანეს ძმას, მომი ჩეგიანს გამორჩეული მეზარბაზნე და შუბლი გაუგლეჯია მისთვის. მის ნაცვლად ვინმე თავაძე და გოლეთიანი დაუყენებია ქვემეხთან ციტოვიჩს. არ ვიცით, არ იცოდნენ სროლა, არ ვიცით, აჯანყებულთ ინდობდნენ, ფაქტი ის არის, რომ პირდაპირ არ ისროდნენ. ამით გაგულისებულ გენერალ ციტოვიჩს იქვე დაუხოცავს ორივე“. ხალდელებმა გადაწყვიტეს, როგორმე ქვემეხები გამოეყვანათ მწყობრიდან.

*დაცარიელებული ხალდე ტურისტებს იზიდავს...*

გამოიყო კიდეც თავდადებულთა ჯგუფი გურმაჩ, კაციანე და ბადრი გასვიანების, ჩარგაზ და ჯოხან ჯოხაძეებისა და გიორგი ჩოფლიანის შემადგენლობით. მათ მოახერხეს, შეუმჩნევლად და მოულოდნელად თავს დასხმოდნენ მოძალადეთა შუაგულს. სიცოცხლეს გამოასალმეს სამი მებრძოლი, ხოლო ოთხი დაჭრეს. მაგრამ სამწუხაროდ, მწყობრიდან ვერ გამოიყვანეს „მთავარი მტერი“ — ქვემეხები. ქვემეხების ცეცხლში იყო გახვეული ხალდე 23 აგვისტოსაც. დღის ბოლოს მოხუცებისა და ქალების ერთმა ნაწილმა დატოვა სოფელი. ალყა უფრო და უფრო ვიწროვდებოდა.

გადამწყვეტ იერიშზე მომხდურნი 26 აგვისტოს გადავიდნენ. დაიწყო იერიში უშუალოდ სოფელზე ორი მხრიდან და ხალდეს უბან-უბან ხელში ჩაგდება. აქაც მთავარ წინააღმდეგობად მომხდურთ სოფლის დამცველთა გულადობა და ქართველ კირითხუროთა შედეგრები — კოშკ-მურყვანები გადაეღობა. ამასობაში გმირ დამცველებს ტყვიაწამალიც ელეოდათ, ამიტომ ალყის გარღვევა

გადაწყვიტეს. ერთმა ნაწილმა სასწაულებრივად მოახერხა კიდეც ეს.

კოშკების ასაფეთქებლად საგანგებო ღონისძიებებს მეორე დღეს მიმართეს. ორი კოშკი შიგნიდან გამოწვეს. ერთ ნაწილს ძირში მიაყარეს მოჭრილი მორები, ცეცხლი ააბრიალეს და კედლები დაუსუსტეს. მეორე ნაწილს ოთხივე კედლის ძირში დენთი და ლაღუმი შეულაგეს და ისე ააფეთქეს. ყველაზე დიდი კოშკი გეგი და ბადრი გასვიანებისა ყოფილა. გამაყრუებელი ხმაურით აფეთქებულა ლაღუმი. საოცარია, მაგრამ კოშკის ზღუდე-კედლებს ვერაფერი დააკლო აფეთქების სიმძლავრემ და როგორც მედგარი კაცი, ისე წაქცეულა კედლებდაუბზარავი მურყვამი. გმირი კოშკის ბედი, გმირმა გასვიანებმაც გაიზიარეს და ვაჟკაცურად შეაკვდნენ მტერს.

სოფელს ნაწილ-ნაწილ თავდაღწეულმა ხალდელებმა მყინვარებს შეაფარეს თავი. მათ სვანებმა კოჟაშ შტავალ ანუ კლდის მერცხლები უწოდეს, ხოლო დიდმა გალაკტიონმა ასე უმღერა კლდეს შეფარებულ გმირებს: „რა გინდათ მთაში, რას ერჩით მერცხლებს?“

თენგიზ დადეშქელიანის რაზმმა მყინვარებში მიიმწყვდია ხალდელი ცხრა ვაჟკაცი. გამოსავალი აღარ იყო. მაშინ მიუმართავს თანამოძმეებისთვის გოგი დათას ძე ჩეგიანს, — მაინც ვიღუპებით, უკანასკნელად „გავთბეთ“ და გავარღვიოთ ალყაო. მუჯირები (რკინაწამოცმული ხე მთაში სასიარულოდ) დატეხეს და ცეცხლი იმით აანთეს. ცოტა გამთბარან, სიცოცხლის ნიშატი დაბრუნებიათ გათოშილებს და ალყა გამოურღვევიათ. იქ მულახელები მდგარან და გამოუტარებიათ თანამოძმენი. დადეშქელიანს კი კალელებისთვის დაუბრალებია აჯანყებულთა გაქცევა და ისინი დაუსჯია.

მეფის მთავრობამ კვლავ ვერაგობას მიმართა. დევნილთა ცოლ-შვილი შეუპყრიათ და მათი დახოცვით იმუქრებოდნენ. დადეშქელიანს მაინც არ ჩაბარებიან. ჩამოსულან ქუთაისში (სხვა ვერსიით, ლენტეხში), გუბერნატორთან. ეზოში ნაძვის ხე მდგარა, თოფი მასზე გადაუტეხავთ და „გაულ გავხეს“ სიმღერით ჩაბარებიან მტერს.

ხალდეს აჯანყებას ქართველი საზოგადოება გულისყურით ადევნებდა თვალს. ქართველი ინტელიგენციის ყურადღების ცენტრში იყო შეპყრობილ აჯანყებულთა სასამართლო პროცესი. საზოგადოებრივი დამცველის როლი სასამართლოზე თვით აკაკი წერეთელმა იკისრა. აჯანყებულთა დასაცავად აღიმაღლა ხმა ნიკო ნიკოლაძემ.

აჯანყებულებს იცავდნენ ადვოკატები ლ.

*სვანები. XIX საუკუნის დასასრულის ფოტო*

*ძველი ხალდეს ნანგრევები*

ლოლუა, დ. ლორთქიფანიძე, ალმაზოვი, დრობიშჩევი. სწორედ მათმა ერუდიციამ და საზოგადოებრივმა რეზონანსმა აიძულა რუსული ადმინისტრაცია, ჩამოხრჩობა კატორღით შეეცვალათ, ასევე შეემცირებინათ გადასახლების ვადები. თუმცა განაჩენი მაინც უსამართლო და მძიმე იყო. არაადამიანური პირობების გამო გადასახლებულთაგან მხოლოდ ჩოფა ჩოფლიანი და მოში ჩეგიანი დაბრუნდა ცოცხალი.

გადაბუგულ და გაცამტვერებულ ხალდეში მეფის მთავრობამ დასახლება აკრძალა. ხალდელთა ოჯახები ნათესავებს იყვნენ შეხიზნული როგორც ზემო, ისე ქვემო სვანეთში. ასე მაგალითად, მომი ჩეგიანის ძმას ივანეს ცოლი ქვემო სვანეთიდან, სოფელ მუწდიდან ჰყოლია, კვასტიანების ქალი და ჩეგიანების ოჯახი კვასტიანებს შეუფარებიათ.

მხოლოდ 1880 წელს მიიღეს ხალდელებმა კვლავ თავიანთ სოფელში დასახლების უფლება. თუმცა ხელახლა, ფერფლიდან აღდგენილ სოფელს ხალდეს ნაცვლად ახალი იფრარი დარქვეს. სოფელი ნელ-ნელა გაშენდა და 1892 წლისთვის აქ უკვე 15 მოსახლე იყო.

სწორედ მომი ჩეგიანი, ეს გაუტეხელი მეამბოხე იყო პირველთაგანი, რომელმაც გადასახლებიდან დაბრუნებულმა ახალი სული შთაბერა ხალდეს. ქვემო სვანეთში, სოფელ ზაგალოდში შეხიზნული ოჯახი ამოიყვანა და ხელახლა დაანთო კერაზე ცეცხლი. მისი ინიციატივითვე აღუდგენიათ მაცხოვრის ეკლესია და ახალი სიცოცხლე დაუწყია სახელოვან სოფელს.

სამწუხაროდ, ხალდეში დღეს აღარავინ ბინადრობს. იქ ჩასულთ ნასახლარები და უძველესი კოშკების ნაშთები თუ შეახსენებენ იმ ტრაგედიას, რაც აქ საუკუნე-ნახევრის წინ დატრიალებულა.

**ნოდარ ჯოჯიტაშვილი**

# ქართველთა თავგადასავალი ოთხ წიგნად

## „საქართველოს ისტორიის ახალი მრავალტომეული ყოველი ოჯახის „ბინადარი" უნდა გახდეს"

***გამომცემლობა „პალიტრა L" საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს სასიამოვნო სიახლეს სთავაზობს.***
***საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე) — ოთხ ტომში წარმოდგენილი ილუსტრირებული, უნიკალური ფოტოდოკუმენტებით გამდიდრებული მასალები სრულფასოვნად ასახავენ ჩვენი სამშობლოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას.***

საქართველოს ისტორიის სამეცნიერო-პოპულარული ოთხტომეულის გამოცემის იდეა მეცნიერებათა აკადემიის აწ გარდაცვლილ პრეზიდენტს, აკადემიკოს ალექსანდრე თავხელიძეს ეკუთვნის. გასული საუკუნის დასასრულს გამოსაცემად მზად იყო პირველი და მეორე ტომი, თუმცა სამწუხაროდ, პროექტის განხორციელება მაშინ ვერ მოხერხდა. მხოლოდ 2009 წლიდან გახდა შესაძლებელი გამოცემაზე მუშაობის განახლება.

ოთხტომეული მოიცავს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან ვიდრე კომუნისტური ხელისუფლების დამხობამდე, ანუ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის ახალი ეტაპის დაწყებამდე. ამდენად, დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს ისეთ უმნიშვნელოვანეს მასალებს, როგორიცაა: საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ადამიანის ისტორია მისი აქ პირველად გამოჩენის დროიდან ქართული ეთნოსის წარმოქმნის ხანამდე; პირველი ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულების ჩამოყალიბება; ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება; ბრძოლა სასანური ირანის, ბიზანტიის იმპერიის აგრესიის, არაბთა ბატონობის, თურქ-სელჩუკების, მონღოლების, ოსმალების, რუსების წინააღმდეგ... საქართველოს ოქროს ხანას, ფარნავაზიანთა და ბაგრატიონთა დინასტიის მეფეთა ცხოვრება-მოღვაწეობას, ქვეყნის აღზევებისა და დაცემის ამსახველ მასალებსა და დოკუმენტებს...

**როინ მეტრეველი** *(აკადემიკოსი):* — წიგნი სხვადასხვაენოვანი და სხვადასხვა სახის წყაროების შესწავლა-შეჯერებისა და არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინების საფუძველზეა დაწერილი. გვაქვს ამა თუ იმ ეპოქის დროინდელი, მსოფლიოს ისტორიული პროცესების გათვალისწინებით საქართველოში მიმდინარე სხვადასხვა პოლიტიკური დინების ჩვენების ცდები. აღსანიშნავია ისიც, რომ ნაშრომები პოპულარული ენით არის დაწერილი და მისაწვდომია მკითხველთა ფართო წრისთვის. აქვე იმასაც დავძენდი, რომ ოთხტომეული, პირველ ყოვლისა, მოიცავს დროის უზარმაზარ მონაკვეთს, აღსავსეს უმნიშვნელოვანესი მოვლენებით, რომელთა კვლევა მოითხოვს ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის, ენათმეცნიერებისა და საკუთრივ ისტორიული მეცნიერების მონაცემების ერთობლივ გამოყენებას.

*როინ მეტრეველი*

# საქართველოს ისტორია ოთხ ტომად

## უძველესი დროიდან XX საუკუნემდე

## იძონიე საქართველოს ისტორია შენს თაროზე!

**წიგნის ავტორები**

**მარიკა ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი**
**ანდრია აფაქიძე, დავით მუსხელიშვილი**
**და სხვები.**

ლამაზად ილუსტრირებული, უნიკალური ფოტომასალით

**სასაჩუქრე გამოცემა**

**გამომცემლობა „პალიტრა L“**

**იკითხეთ წიგნის მაღაზიებში!!!**

*მარიკა ლორთქიფანიძე*

**მარიკა ლორთქიფანიძე** *(აკადემიკოსი):* — მინდა საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ თითოეულ მკითხველს მივულოცო ამ მრავალტომეულის გამოცემა. ამჯერად თავს არ შეგაწყენთ იმის მტკიცებით, რაოდენ დიდმნიშვნელოვანია ეს გამოცემა. გეტყოდით მხოლოდ იმას, რომ წიგნი ეფუძნება ქართველ მეცნიერთა ფუნდამენტურ გამოკვლევებს, არ გადაგვიტვირთავს მითითებებითა და სქოლიოებით სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაზე, არც პოლემიკური წიაღსვლებისთვის მიგვიმართავს და ვფიქრობთ, იგი მიუკერძოებლად ასახავს საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ამა თუ იმ ეტაპს.

**მაია ალუდაური** *(გამომცემლობა „პალიტრა L-ის“ მთავარი რედაქტორი):* — ვფიქრობ, გადაჭარბებული ნათქვამი არ იქნება, რომ ეს ოთხტომეული ყველა ოჯახის სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს. მასში მაღალი პროფესიული ოსტატობით, მატიანეებსა თუ ქართულ და უცხოურ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით მომზადებული მასალები მთელი სისრულით წარმოგვიდგენენ საქართველოს ისტორიას. რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, დღის სინათლეზე გამოგვაქვს ის „მიჩუმათებული“ ფაქტები თუ მოვლენები, რომელთაც ქვეყნის ისტორიული ბედუკუღმართობის გამო არ და ვერ ამხელდნენ ჩვენი ისტორიკოსები. ან თუ ამხელდნენ, კიდეც ისჯებოდნენ. ოთხტომეულის ღირსებაზე ისიც მეტყველებს, რომ მასზე წლების განმავლობაში მუშაობდნენ ისეთი გამორჩეული მეცნიერები, აკადემიკოსები და პროფესორები, როგორებიც არიან: **დავით მუსხელიშვილი, ოთარ ჯაფარიძე, გიორგი მელიქიშვილი, ანდრია აფაქიძე, როინ მეტრეველი, მარიკა ლორთქიფანიძე, ნოდარ ასათიანი, გიორგი ოთხმეზური, გივი ჯამბურია, მიხეილ სამსონაძე, ალექსანდრე ბენდიანიშვილი, მაყვალა ნათმელაძე, ალექსანდრე დაუშვილი.**

ოთხტომეულში გამოყენებულია საქართველოს ისტორიკოსთა რამდენიმე თაობის წარმომადგენელთა გამოკვლევები და მონოგრაფიები, მაგრამ ძირითადად დაწერილია საქართველოს, რუსეთის არქივებსა და წიგნთსაცავებში ავტორთა მიერ მიკვლეული ახალი მასალის გამოვლენისა და ისტორიოგრაფიულ მიმოქცევაში მათი ჩართვის საფუძველზე.

ავტორები მაქსიმალურად შეეცადნენ, დაეძლიათ კომუნისტური ისტორიოგრაფიისთვის დამახასიათებელი ცალმხრივობა ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების შეფასებისას, რადიკალურად შეცვალეს მსოფლმხედველობითი პრინციპები, კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა. თუ კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის დროს ისტორიოგრაფიაში უპირატესობა ენიჭებოდა სოციალურ, კლასობრივ ფაქტორებს, ყველა მოვლენა ვიწროპარტიული პოზიციებიდან ფასდებოდა, ახლა უკვე დომინირებს პროფესიონალური მიდგომა და წამყვანი ადგილი ეროვნულ და საერთო-საკაცობრიო პრინციპების უზენაესობას უკავია.

**ნინო ჯაფარიძე**

*მაია ალუდაური*

# ეგრისისა და აფხაზეთის გაერთიანება

**აფხაზეთი ერთ-ერთი უძველესი ქართული ისტორიული და გეოგრაფიული მხარეა, ისეთივე, როგორიც მაგალითად, კახეთი, სამეგრელო, სვანეთი... იგი მდებარეობდა დასავლეთ საქართველოს (კოლხეთის) უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთიდან მდინარე გუმისთამდე (თანამედროვე სოხუმის ჩრდილოეთით). აფხაზად იწოდება აფხაზეთის მცხოვრები. საუკუნეთა განმავლობაში საქართველოში მიმდინარე ისტორიული პროცესების შედეგად, აფხაზეთის ფარგლები, შესაბამისად, ცნება აფხაზეთისა და აფხაზის მნიშვნელობა, ხან ფართოვდებოდა, ხან იკვეცებოდა.**

**ეგრისისა და აფხაზეთის, ამ ორი დასავლურქართული ქვეყნის გაერთიანება და ერთიანი დასავლურქართული სახელმწიფოს წარმოშობა, იმ საერთო-ქართული მასშტაბით მიმდინარე პროცესის შედეგი იყო, რომელსაც VIII საუკუნის ბოლოსთვის განაპირობებს სხვა ქართული (კახეთი, ჰერეთი...) სახელმწიფოების წარმოშობა.**

VI საუკუნეში ეგრისის ტერიტორიაზე ირანსა და ბიზანტიას შორის ომის შედეგად, ეგრისის სამეფო თანდათან დასუსტდა. ეგრისის შემდგომი დასუსტება არაბთა თავდასხმებმაც განაპირობეს. საუკუნის დასასრულისათვის მას გამოეყო აფხაზეთი (საკუთრივ ბერძნული წყაროებით, აბაზგია), რომელიც უშუალოდ ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლებას დაუქვემდებარდა. აბაზგიის ერისთავები, არქონტები („ერისთავი ბერძენთა“, როგორც მათ ქართული წყარო უწოდებს) იმპერატორის ვასალები იყვნენ. მათ მხარს უჭერდა ბიზანტიის საიმპერატორო კარი, რადგან მის ინტერესებში არ იყო ერთიანი და ძლიერი დასავლურქართული სახელმწიფოს არსებობა, რომელსაც ის ადვილად ვერ უმორჩილებდა თავის ხელისუფლებას.

აფხაზთა ერისთავებმა საიმპერატორო კარის დახმარებით შეძლეს მეზობელ აფში-

**საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე), ტომი II, თავი VIII, ეგრის-აფხაზეთი; აფხაზთა სამეფო**

*ბიზანტიის იმპერატორ ლეონ III ისავრიელის მონეტა*

ლეთზე, სანიგეთსა და მისიმიანეთზე თავისი ხელისუფლების გავრცელება; ამიერიდან თანდათან ქრება მათი ხსენება საისტორიო წყაროებში და გაერთიანებულ სამთავროს — აფხაზეთი, მის მცხოვრებთ კი აფხაზი ეწოდა. ეს არის „აფხაზეთისა“ და, შესაბამისად, „აფხაზის“ ცნების პირველი გაფართოება.

VII საუკუნეში გაუქმებული ჩანს ეგრისის მეფის ხელისუფლება. ის წყაროებში უკვე იწოდება არა მეფედ, არამედ პატრიკიოსად. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ პატრიკიოსი ეგრისის მეფის ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული იყოს.

VIII საუკუნის 30-იან წლებში დასავლეთ საქართველოში შემოჭრილი არაბი სარდლის მურვან იბნ მუჰამედის (ქართული წყაროებით, მურვან ყრუ) წინააღმდეგ, აფხაზთა საერისთავოს ცენტრს, ანაკოფიის ციხეს, საკუთრივ აფხაზებთან ერთად ეგრისის ლაშქარიც იცავს, ქართველთა ერისმთავრების (მეფეთა) სახლის წარმომადგენლების, მირისა და არჩილის სარდლობით, რომელნიც ამ დროს ეგრისში არიან დამკვიდრებულნი. მურვან ყრუ უკუაგდეს ანაკოფიიდან. მირი ბრძოლაში მიღებული ჭრილობით გარდაიცვალა. მას მხოლოდ ქალიშვილები დარჩნენ, არჩილს ამ დროს შვილი არ ჰყავდა. არჩილმა, მირის ანდერძის თანახმად, მისი ასულები გაათხოვა და ერთერთი ლეონ აფხაზთა ერისთავზე დააქორწინა. ამასთან ლეონი ვასალად შეიწყნარა. ამ დინასტიური ქორწინებით გაერთიანდა ორი დასავლურქართული ქვეყანა, აფხაზეთი და ეგრისი და შეიქმნა ერთიანი სახელმწიფო, რომელსაც მთავართა დინასტიის საკუთრივ აფხაზეთიდან წარმომავლობის გამო აფხაზეთი ეწოდა, ხოლო მისი უზენაესი ხელისუფალი უკვე არის არა ერისთავი, არამედ „მთავარი“. ასე მოიხსენიებს VIII საუკუნის 80-იან წლებში ამ ქვეყანას და მის ხელისუფალს, VIII საუკუნის ქართველი მწერალი იოანე საბანის ძე. ამიერიდან „აფხაზეთი“ მთელი დასავლეთ საქართველოა. ესაა ცნება „აფხაზეთის“ გაფართოების ახალი ეტაპი, ხოლო მისი ხელისუფალი ადმინისტრაციის იერარქიაში ერთი საფეხურით იწევს მაღლა.

მაგრამ ეს გაერთიანებული დასავლურქართული სახელმწიფო ბიზანტიის იმპერიის გავლენის სფეროში რჩება, „არს საბრძანებული იონთა მეფისა“ — ბრძანებს იგივე იოანე საბანისძე. ისტორიულ-გეოგრაფიული ცნების ასეთი გაფართოების ფაქტი ჩვენ სხვაც გვაქვს საქართველოში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კახეთის საერისთავოს მიერ კუხეთის, შემდეგ გარდაბნის, დაბოლოს, ჰერეთის შემოერთების შემდეგ ფართოვდება ცნება კახეთის მნიშვნელობა, ის ჯერ კახეთ-კუხეთს, შემდეგ კახეთ-კუხეთ-გარდაბანს და ჰერეთსაც მოიცავს.

ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლება, რომელიც ხელს უწყობდა სამეფოს დასუსტებას, ეგრისის სამეფოდან აფხაზეთის საერისთავოს გამოყოფას, რათა უკეთ განეხორციელებინა თავისი გავლენა დასავლეთ საქართველოზე, არაბთა გამოჩენის შემდეგ იცვლის პოლიტიკას და ხელს უწყობს დასავლეთ საქართველოს გაერთიანებასა და გაძლიერებას. რათა დასავლურ-ქართული ქრისტიანული სახელმწიფოს სახით ჰყავდეს მოკავშირე სახალიფოს წინააღმდეგ, რომელთანაც ბრძოლა მას გაუჭირდა. იმპერატორი ლეონ III ისავრიელი (675-741), მირს და არჩილს ორ გვირგვინსა და სათანადო გუჯარს უგზავნის, რითაც ცნობს მათ უფლებებს ეგრისზე. იმპერატორ ლეონის გუჯარში ვკითხულობთ: „შენდა მიბრძანებია ერისთავობა აფხაზეთისა. შენდა, შვილთა შენთა და მომავალთა შენთა მიუკუნისამდე. არამედ კეთილად პატივსაცემდე მეფეთა და ერთა მათ ქართლისათა და ამიერიდან ნურაღამცა ხელგეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათ ეგრისისათა“. ბიზან-

ტიის იმპერატორის ეს განკარგულება მიუთითებს, რომ აფხაზთა ერისთავები, რომელნიც იმპერიის არქონტები იყვნენ და იმპერიის ხელისუფლების მიერ ინიშნებოდნენ, ამიერიდან, საერისთავოს მემკვიდრეობით მფლობელებად არიან აღიარებულნი. დასავლეთ საქართველოში მოვლენები სწრაფად ვითარდება, მიმდინარეობს ძალთა კონსოლიდაცია, ლეონ II ათავისუფლებს ქვეყანას ბიზანტიაზე დამოკიდებულებისგან და თავს „მეფედ“ აცხადებს. XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ცნობით, „რაჟამს მიუძლურდეს ბერძენნი“, ლეონ I ერისთავის მემკვიდრე ლეონ II, რომელიც ხაზართა მეფის ასულის წული იყო, „ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, და იპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ, და შემდგომ ამისა ჯუანშერიცა მიიცვალა“. ეს ცნობა მოვლენათა მიმდინარეობის სრულ სურათს ხატავს. ასეთი რთული ვითარება ბიზანტიის იმპერიაში VIII საუკუნის ბოლოსთვის უნდა იგულისხმებოდეს (სიმონ ჯანაშია), როდესაც ბიზანტიაში დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა ხატმებრძოლებსა და ხატების თაყვანისმცემლებს შორის, იმპერია მარცხს განიცდიდა არაბთა სახალიფოსთან და საკუთარ ქვეშევრდომებთან, მაგალითად, გაძლიერებულ ბულგარელებთან ბრძოლებშიც.

ისტორიკოსი საგანგებოდ მიუთითებს ხაზართა დახმარებაზე ლეონ აფხაზისთვის. რასაკვირველია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ნათესაურ კავშირს ვერ ექნებოდა. ცნობილია, რომ დინასტიური კავშირები, როგორც წესი, პოლიტიკურ ინტერესთა გათვალისწინებით მყარდებოდა. აფხაზთა მთავრისადმი ხაზართა დახმარება მათი ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესებით იყო განპირობებული, რადგან ჩრდილოეთ კავკასიაში ამ დროს არსებული ხაზართა სახელმწიფო შავ ზღვას მხოლოდ დასავლეთ საქართველოზე გამავალი გზით უკავშირდებოდა.

წერილობით წყაროებში მინიშნებულია ფრიად საინტერესო დეტალები: დაქორწინდა რა არჩილის ძმისწულზე და მიიღო ეგრისის მეფე მირის კუთვნილი გვირგვინი, ლეონ I ეგრისის ფაქტობრივი მფლობელი ხდება, მაგრამ ის ჯერ არ აცხადებს პრეტენზიას ეგრისზე. ის ანგარიშს უწევს ქართლის ერისმთავართა სახლის მფლობელობას ეგრისში, და მხოლოდ ამ სახლის გადაშენებისა და შედარებით ხელსაყრელი მდგომარეობის შექმნის შემდეგ, ისტორიკოსის თქმით, ლეონ II-მ „დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე“. ზოგი ისტორიკოსი (უმთავრესად თანამედროვე აფსუა ისტორიკოსები) ცდილობს დაამკვიდროს თვალსაზრისი, რომ არაქართველმა, აფხაზმა ლეონმა დაიპყრო ეგრისი და შეიქმნა ერთიანი არაქართული სახელმწიფო „აფხაზეთი“.

აღნიშნულთან დაკავშირებით პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძველ ქართულში „დაიპყრა“ მის თანამედროვე მნიშვნელობასთან ერთად ნიშნავს ძალაუფლების ხელში აღებას, ხელისუფლების პყრობას. არ არის გამორიცხული, აქ იყოს „და იპყრა“, ე.ი. „და“ აიღო ხელში ძალაუფლება. აფხაზეთი ლეონის მემკვიდრეობითი სამფლობელო იყო, ეგრისი მზითვად მიღებული. „დაიპყრას“ დღევანდელი მნიშვნელობით განმარტება გაუგებრობას ქმნის. გამოდის, რომ ეს ორივე ქვეყანა მან ერთნაირად „დაიპყრა“,

*ეგრის-აფხაზეთის მეფე ლეონ II. თანამედროვე ნახატი*

როგორც თავისი სამემკვიდრეო, ისე მზითვად მიღებული, რომ მას თავისი სამემკვიდრეო ქვეყნის, აფხაზეთის დაპყრობაც დასჭირდა. აქ უდავოდ, ლეონის მიერ ეგრისსა და აფხაზეთში ძალაუფლების ერთნაირად ხელში აღება, გამეფება, ბიზანტიის ქვეშევრდომობაზე უარის თქმა იგულისხმება. ლეონის (გინდა ქართველი და გინდა არაქართველის) მიერ ეგრისის დაპყრობა არ მომხდარა. აღსანიშნავია ისიც, რომ ლეონი, როგორც მთავარი და ეგრისის ვასალი, უკვე ფლობდა ერთიან დასავლეთ საქართველოს.

ეს სამეფო ქართული — დასავლურქართული სახელმწიფო იყო. ქართული წყაროები მას „აფხაზეთს“, „აფხაზთა სამეფოს“ უწოდებენ, რადგან სამეფო დინასტია ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონიდან, საკუთრივ აფხაზეთიდან იყო გამოსული. „სახელწოდება „აფხაზეთი“ ქართულიდან გავრცელდა სხვა ენებში. X საუკუნის სომეხი ისტორიკოსი იოანე კათოლიკოსი მას ეგრისს, მის მცხოვრებლებს — ეგრებს, ხოლო მეფეებს ეგრთა მეფეს უწოდებს. შუა საუკუნეების ქართული ეთნოკულტურული კონცეფციით („ქართლის ცხოვრება“, ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“) აფხაზეთი ეგრისში შედის. ამ კონცეფციის თანახმად, როდესაც თარგამოსმა მემკვიდრეებს გაუყო თავისი ქვეყანა, „ეგროსს მისცა ქუეყანა ზღ*უის ყურისა, და უჩინა საზღვარი აღმოსავლეთ მთა მცირე, რომელსა აწ ჰქვან ლიხი; დასავლით ზღუა; [ჩრდილო] მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწყდების წუერი კავკასისა“, ესაა დასავლეთ საქართველო, ეგრისი. ვახუშტი ბაგრატიონი კი აღნიშნავს: „ეგრისის ქვეყანა ანუ აფხაზეთისა“. თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მას დაუმკვიდრდა სახელწოდება „ეგრის-აფხაზეთი“. რადგან ამ დროს მასში ორი ქვეყანა, ეგრისი და აფხაზეთი გაერთიანდა, შეიქმნა ერთიანი დასავლურქართული სახელმწიფო. გაფართოვდა „აფხაზეთის“ ცნება და „აფხაზის“ მნიშვნელობა, ის მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს, თუმცა ამავე დროს არსებობს მასში შემავალი აფხაზეთის საერისთავო, უძველესი აფხაზეთი.

**მარიამ ლორთქიფანიძე**

*აფხაზ მეფეთა სასახლის ნაშთები ქუთაისის დედაციხეზე*

# დავით აღმაშენებლის ურთიერთობა ჯვაროსნებთან

ნიშანდობლივია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვები: „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, და შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს“. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, როგორიც თურქ-სელჩუკებისთვის ხარკის შეწყვეტა და ქვეყნის მოშენება-გაძლიერება იყო, იერუსალიმისა და ანტიოქიის აღებას უკავშირებს.

ჯვაროსანთა გამოჩენამ, მათმა წარმატებებმა ახლო აღმოსავლეთში, დავით აღმაშენებლის პოლიტიკის გატარებას შეუწყო ხელი. თავის მხრივ, საქართველოს მეფის წარმატებული ბრძოლა თურქ-სელჩუკებთან

*კლერმონის საეკლესიო კრება, რომელზეც პაპმა ურბან II-მ მოუწოდა მორწმუნეებს წმინდა მიწის გასათავისუფლებლად ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებისკენ*

**საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე), ტომი II, თავი XVII, საგარეო პოლიტიკა, დავით აღმაშენებლის ურთიერთობა ჯვაროსნებთან**

ჯვაროსნების წისქვილზე ასხამდა წყალს. ამიტომ იყო, რომ ჯვაროსნების მიერ ახალდაარსებული სამთავროები თურქ-სელჩუკთა განდევნისა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ საქართველოს თავიანთ მეგობრად თვლიდნენ.

წყაროებიდან აშკარაა, რომ დავით აღმაშენებელი მეტად პოპულარული იყო ჯვაროსანთა შორის. იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ დაცულია ცნობა, რომ იერუსალიმის მეფეს ბოლდუინ II-ს (1119-1131 წწ.) კავშირი ჰქონდა დავით აღმაშენებელთან. ისინი საიდუმლოდაც ხვდებოდნენ ერთმანეთს.

დავით აღმაშენებელი და მისი დროის საქართველო კასპიის კარის დამცველად და თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჯვაროსანთა „წინაბურჯად“ მოიხსენიებოდა. საქართველო ჯვაროსნებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა.

საქართველოსა და ჯვაროსნების ურთიერთობას მეტად საინტერესოდ გამოხატავს ამ უკანასკნელთა დამოკიდებულება იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრისადმი. ჯვაროსნების მიერ 1099 წელს იერუსალიმის აღების შემდეგ დაარსდა დასავლეთევროპული ტიპის მსხვილი სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო, რომელსაც იერუსალიმის სამეფო ეწოდებოდა. ამ დროიდან მოკიდებული სამეფოს ტერიტორიაზე მდებარე მართლმადიდებლური ტაძრები ლათინებმა დაისაკუთრეს, მაგრამ ქართველთა ჯვრის მონასტერს ხელი არ ახლეს. ჯვაროსანთა ეს მოქმედება განაპირობა იმ სამხედრო-პოლიტიკურმა ურთიერთობამ, რაც ქართველებსა

*იერუსალიმის მეფე ბოლდუინ II*

და ჯვაროსნებს შორის იყო. ჯვაროსნები, თურმე, ბევრ სიმდიდრეს სწირავდნენ ქართულ მონასტრებს, რის გამოც ისინი საგანგებოდ მოიხსენიებიან აღაპებში.

დიდგორის ბრძოლის დროს დავით აღმაშენებლის ლაშქარში ჯვაროსნების („ფრანგნი“) მონაწილეობა ასევე მიგვანიშნებს საქართველოს კონტაქტებზე ევროპის ქვეყნებთან.

**რევინ მეტრეველი**

*ჯვაროსანი და მუსლიმი მეომრები ბრძოლის ველზე*



ჯრუჭის მონასტერი, 1941 წ.

# ჯრუჭის მონასტრის ისტორიისთვის

*ჯრუჭის წმინდა გიორგის სახელობის მონასტერს X-XI საუკუნეში დაარსებულად მიიჩნევენ. იგი მდებარეობს ზემო იმერეთის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, საჩხერის რაიონში, მდინარე ჯრუჭულას ხეობაში, რაჭის ქედის სამხრეთი ფერდობის დასასრულზე. ჯრუჭის მონასტრის აშენებას რაჭის ერისთავს მიაწერენ. შემდეგ იგი ფალავანდიშვილებს ეკუთვნოდა, ხოლო XVII საუკუნიდან წერეთლების ხელში ვხედავთ. XVIII საუკუნეში ჯრუჭის მონასტერს რაჭის ერისთავი და თავადი წერეთლები ეცილებოდნენ ერთმანეთს. ამ გაუთავებელმა ბრძოლებმა ნასოფლარებად აქცია მონასტრის მიმდებარე ტერიტორია.*

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში იმერეთის მეფე სოლომონ I-მა მონასტერი დამოუკიდებლად გამოაცხადა. ამის შემდეგ ამ წმინდა სავანემ აღორძინება დაიწყო და მისი ხელშეწყობით მონასტრის კუთვნილი მიმდებარე სოფლებიც — მოხვა, უზუმთა და ცხომარეთი თავიდან დასახლდა. XIX საუკუნეში ჯრუჭის მონასტერს მრავალი გლეხი ეკუთვნოდა ზემო იმერეთსა და რაჭაში. დიდ ფართობს მოიცავდა მისი კუთვნილი სავარგულები და ტყეები.

1991 წლის მიწისძვრამ მონასტერი ნანგრევებად აქცია.

ახლახან გაიწმინდა მიწისძვრისგან დანგრეული ჯრუჭის წმინდა გიორგის სახელობის მონასტერი. სამუშაოებს აწარმოებდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ტენ-

დერში გამარჯვებული ფირმა „არქიტექსი“. სამწუხაროდ, გაწმენდითი სამუშაოები ნაჩქარევად, უყურადღებოდ და ისტორიული ძეგლისთვის შეუსაბამო ფორმით წარიმართა. არ უწარმოებიათ არქეოლოგიური გამოკვლევა. რამდენიმე ძველი წარწერა, რომლებიც მკვლევრებს (ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი ბოჭორიძე, ვალერი სილოგავა და სხვანი) აქვთ აღწერილი, აღარ აღმოჩნდა ტაძრის გაწმენდის შემდეგ. აღარ ჩანს ტაძრის კედლებზე არსებული რამდენიმე ქანდაკება. ნანგრევების აღებისას უყურადღებობის გამო გაითხარა რამდენიმე ძველი სამარხი. ტაძრის კედლების ნამსხვრევების ნაწილი ხევში გადაყარეს. დაზიანებულია არქეოლოგიური ფენები.

ახლა მიმდინარეობს მუშაობა ჯრუჭის მონასტრის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციაზე. აუცილებელია, ამჯერად მაინც მოხერხდეს არქეოლოგიური გამოკვლევა, სარეაბილიტაციო პროექტსაც სრულყოფილი სახე მიეცეს და ამ უმნიშვნელოვანესი ძველი კულტურული ძეგლისა და საეკლესიო ცენტრის სრულფასოვან აღდგენაზეც დროულად ვიზრუნოთ.

ჯრუჭის მონატრის ეკლესია გუმბათიანი ბაზილიკა იყო. ნაგები თლილი ქვისა და კირისგან, 1968 წლამდე გადახურული სპილენძის ფურცლით. იქვე იყო სამრეკლო და სხვა

*ჯრუჭის მონასტერი. დეტალი*

სამონასტრო ნაგებობანი. მონასტრის კედლებზე არსებობდა რამდენიმე ლაპიდარული წარწერა და ბარელიეფი.

ჯრუჭის მონასტერში თავადი წერეთლები და თვით მონასტერში მოღვაწე სამღვდელო პირები არიან დაკრძალული. აქვე განისვენებენ სამეფო გვარის წარმომადგენლებიც (რომლებსაც წერეთლებთან ნათესაური ურთიერთობა აკავშირებდათ). კერძოდ, იმერეთის მეფე დავით II გიორგის ძე (1755-1795), მისი ასული მზეხათუნ ბატონიშვილი, რომელიც სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლის ვაჟის სვიმონის მეუღლე იყო. აქვე არიან დაკრძალული სახლთუხუცესი ზურაბ ქაიხოსროს ძე წერეთელი და მისი მეუღლე თამარი, დადიანის ასული, მათი ძე გრიგოლი, ასული ქეთევანი — ქართლ-კახეთის მეფის გიორგის XII-ის რძალი, ბატონიშვილ იოანეს მეუღლე, აგრეთვე წერეთელთა სათავადო სახლის სხვა წევრები, რომლებსაც იმერეთის მეფის კარზე მნიშვნელოვანი თანამდებობები ეჭირათ.

აქვე განისვენებენ მონასტრის არქიმანდრიტები, მათ შორის მიტროპოლიტი სვიმონ აბაშიძე, მიტროპოლიტი დავით წერეთელი, სხვა წინამძღვრები და მღვდელ-მონაზვნები.

ჯრუჭის მონასტერმა შემოგვინახა უნიკალური ხელნაწერები („ჯრუჭის I სახარება“ და „ჯრუჭის II სახარება“, სხვა ძვირფასი წიგნები, კრებულები და სიგელები). მონასტერი სავსე ყოფილა უმშვენიერესი ხატებით, ვერცხლითა და ოქროთი შემკული საეკლესიო ინვენტარით. აღსანიშნავია, რომ ამ მონასტრის სიძველეებიდან ზოგიერთი ქართულ განძთან ერთად საფრანგეთშიც კი მოხვდა და შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილის წყალობით უკან დაბრუნდა.

ჯრუჭის მონასტერმა, როგორც უმნიშვნელოვანესმა ქრისტიანულმა ცენტრმა, კულტურულმა კერამ და ისტორიულმა ძეგლმა XIX საუკუნეშივე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. მას იკვლევდნენ მარი ბროსე, დიუბუა დე მონპერე, დიმიტრი ბაქრაძე, თედო ჟორდანია, ალექსანდრე ხახანაშვილი, პავლე ინგოროყვა და სხვანი.

მონასტრის, მისი ხელნაწერების შესწავლასა და დაცვაში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის წმინდა ექვთიმე ღვთისკაცს. მან 1919 წელს მოინახულა მონასტერი, აღწერა იგი, მისი ხელნაწერები, ხატები და საეკლესიო ნივთები. მონასტრიდან თან წამოიღო საისტორიო და საეთნოგრაფიო სა-

*ჯრუჭის ოთხთავი, IX საუკუნე*

ზოგადოებისთვის უნიკალური წიგნები და სიგელ-გუჯრები.

XX საუკუნის 20-იან წლებში ჯრუჭის მონასტერი, მისი წარწერები და შემორჩენილი საეკლესიო ნივთები აღწერა გიორგი ბოჭორიძემ.

საბჭოთა პერიოდში დიდი ამაგი დასდეს ჯრუჭის მონასტრის დაცვასა და სათანადო მოვლის საქმეს ნოდარ, ბეჟან და შოთა სივსივაძეებმა. მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევები აქვს ამ საეკლესიო სავანის შესახებ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ძველ წიგნთა ფონდის მცველ მაია ქებულაძეს. რამდენიმე წერილი მიუძღვნა მას ქუთაისის ისტორიული არქივის დირექტორმა ბატონმა მერაბ კეზევაძემ. 2008 წელს ამ მონასტერზე გამოცემული მასალა შეკრიბა და ისტორიული ნარკვევი გამოსცა ტრისტან მაჭარაშვილმა.

მიუხედავად ამისა, ჯრუჭის მონასტერი და მასზე არსებული საარქივო მასალა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გამოკვლეული. ჩვენ ვცდილობთ ამ ნაკლის შევსებას და ამჯერად თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ ტოპონიმ „ჯრუჭის“ ეტიმოლოგიასა და ბოლოხანს აღმოჩენილ წარწერაზე.

**ტოპონიმ „ჯრუჭის“ ეტიმოლოგია.** ზემო იმერულ ტოპონიმებს შორის **ჯრუჭი** მეტად უცნაურად ეჩვენებათ და ჯერ თითქმის არავის უცდია მისი ახსნა. ჩვენი აზრით, ყურადღება უნდა მივაქციოთ ზემო იმერეთში და კერძოდ, ჯრუჭის მონასტრის ახლომდებარე ტერიტორიაზე საკმაოდ გავრცელებულ ტოპონიმებს: **ღრუჭი, ღრუჭები, ღრუჭუნი, ღრუჭუნოღელე** და მისთანანი. კერძოდ, ტოპონიმი **ღრუჭი** მინდვრის სახელად გვხვდება კაცხსა და ქვედა ჭალოვანში, სახნავის სახელად — ნავარძეთსა და თვალუეთში, ტყის სახელად — ღვითორში. გვხვდება აგრეთვე **ღრუჭის ყანა** მინდვრის სახელად ზედა ჭალოვანსა და ზოდში, **ღრუჭყანა** სახნავის სახელად ქვედა ჭალოვანში, აქვეა **ღრუჭყანის ტბა**. სოფელ წირქვალში არსებობს **ღრუჭების უბანი**, **ღრუჭების ვენახი**, **ღრუჭების ორშარა** (ყველა ჭიათურის მუნიციპალიტეტი); **ღრუჭუნო ღელე** არის სოფელ ქვემოხვეში (ჯრუჭის მონასტრიდან სამ კილომეტრში), **ღრუჭუღელე** ბაჯითში, **ღრუჭუნი** ღელის სახელად და **ღრუჭუნები** სახნავის სახელად გვხვდება მოძვში (ყველა საჩხერის მუნიციპალიტეტი), **ღრუჭუნი** დაბლობის სახელად — ლეღვანში (ხარაგაუ-

*ჯრუჭის მონასტერი. XX საუკუნის დასაწყისის ფოტო*

ლის მუნიციპალიტეტი). (საქართველოს სსრ ტოპონიმია, ტ. I, ზემო იმერეთი).

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ რეგიონში მსგავსი სახელები საკმაოდ მრავალრიცხოვანია. იმასაც ადვილად შევნიშნავთ, რომ ყველა დასახელებული ტოპონიმის ამოსავალი ფორმაა **ღრუჭი**. ეს სახელი ძირითადად ზემო იმერეთში ფიქსირდება ანუ ზემოიმერული დიალექტური წარმონაქმნია, თუმცა მსგავსი სიტყვები რაჭულ დიალექტშიც გვხვდება. მახსენდება კიდეც მისი მსგავსი სიტყვების (ღრუჭუმი, ღრუჭე) გამოყენების შემთხვევები ჩემი სოფლის (საჩხერის რაიონის სოფელი მოხვა, ჯრუჭის მონასტრის ახლოს) მკვიდრთა მეტყველებაში. ასე უწოდებიათ ჩავარდნილი, ძნელად გასავალი ხევებისთვის, არა როგორც სახელი, არამედ როგორც ადგილის დამახასიათებელი სიტყვა. რას ნიშნავს **ღრუჭი**? ძნელი არ არის ამ სიტყვის მნიშვნელობის წარმოდგენა. იგი ნიშნავს მკვეთრად ჩაღრმავებულ ადგილს, თუნდაც ხევს, უფრო მეტად წყლიანს. მისი ზუსტი ახსნა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში არ გვხვდება, განმარტებულია მხოლოდ მსგავსი სიტყვა **ღრუჭუმი:** „ღრუჭუმ-ი (ღრუჭუმისა) კუთხ. (რაჭა) „ბუნებრივი ორმოები სათიბში“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII). ასეთი ბუნებრივი ორმოები მრავლად გვინახავს რაჭის ქედზე, უმეტესად ხიხამთაზე. ისინი ჩვეულებრივი ორმოები არ უნდა გვეგონოს, საკმაოდ ვრცელი ჩავარდნილი ადგილებია, რომლის ერთი ნაპირიდან მეორემდე შეიძლება 100-150 მეტრი იყოს. ხოლო ზემოიმერულ ლექსიკონში მოცემული **ღრუჭის** სახეცვლილი ფორმები ნიშნავს: **ღრუჭმული** — ბუნებრივად ჩავარდნილი დაბლობი ადგილი. „ღრუჭმული დაბლობი ადგილია, დაწეულია თავისთავა“. **ღრუჭული** იგივეა, რაც **ღრუჭმული**. „ამ სერის დაბლა არის ღრუჭული“ (ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი). რაჭული დიალექტის ლექსიკონში **ღრუჭუმი** || **ღრუჭუმო** — ბუნებრივი პატარა ჩაღრმავებული ადგილი, ორმოა (რაჭული დიალექტის ლექსიკონი). აღნიშნული ლექსიკონებითაც დასტურდება, რომ **ღრუჭი, ღრუჭო, ღრუჭმული, ღრუჭუნო** ჩაღრმავებულ, ჩავარდნილ ადგილს ნიშნავს.

ჯრუჭის მონასტრის ახლოს მრავალი ხევი და ჩაღრმავებული ადგილი შეიძლება მოვიძიოთ, რომელსაც შეიძლება სახელი **ღრუჭი** მიესადაგოს. ასეთად შეიძლება წარმოვიდგინოთ მონასტრის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ჯრუჭულის ხეობის მართლაც ღრმად ჩაწეული თვალწარმტაცი მონაკვეთი ან წყალფენილას ხევის რომელიმე ღრმა ნაწილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ადგილების სახელი შემდეგ დღევანდელი მონასტრის ტერიტორიაზეც გავრცელდა ან შედარებით პატარა ზომის ასეთი ჩავარდნილი ადგილი ადრე თვით მონასტრის ტერიტორიაზე იყო და **ღრუჭი** ეწოდებოდა.

თუ როგორ მივიღეთ **ღრუჭი**-დან **ჯრუჭი,** ეს ადვილი ასახსნელია. მოხდა ბგერათა ნაწილობრივი დამსგავსება. **ღ** ნაწილობრივ დაემსგავსა **ჭ**-ს და მივიღეთ **ჯ, ღრუჭი > ჯრუჭი.**

მეტიც, ისევ ზემო იმერეთში, ჭიათურის მუნიციპალიტეტში, სადაც მსგავსი სახელები მრავლად დასტურდება, სოფელ კვახაჯელეთში გვხვდება ჰიდრონიმი **ჯრუჭიღელეც** (საქართველოს სსრ ტოპონიმია, ტ. I, ზემო იმერეთი). კვახაჯელეთი ზედა და ქვედა ჭალოვანის დაბლა მდებარეობს. საფიქრებელია, რომ **ჯრუჭიღელე** იმ ადგილებიდან მოდის, რომლებსაც ქვედა ან ზედა ჭალოვანში **ღრუჭი, ღრუჭის ყანა** ან **ღრუჭყანის ტბა** ეწოდება. ეს კი დასტურია, რომ ტოპონიმიდან **ღრუჭი** არა მარტო ჯრუჭის მონასტრის ტერიტორაზე მი-

ვიღეთ **ჯრუჭი**, არამედ მისგან საკმაოდ შორს, ჭიათურის რაიონის სოფელ კვახაჯელეთშიც.

შეიძლება დავასკვნათ, რომ დღევანდელი ჯრუჭის მონასტრის ადგილას ან მის შორიახლოს არსებობდა ჩაღრმავებული ადგილი ან ხევი სახელწოდებით **ღრუჭი**, რომლისგანაც მიღებული **ჯრუჭი** მრავალსაუკუნოვანი მონასტრის სახელად მოგვევლინა.

**ჯრუჭის მონასტრის ახალაღმოჩენილი წარწერა**. მიწისძვრისგან დანგრეული მონასტერი რამდენიმე წლის წინათ იქ მოღვაწე ბერებმა და მორჩილებმა ნაწილობრივ გაწმინდეს. შენობის გარეთ ჩამოცვენილი ქანდაკებებიანი, ჩუქურთმიანი და სამშენებლო ქვები, რკინის ნივთები და სხვა მასალები ცალკე დაალაგეს და მონასტრის ეზო მოაწესრიგეს. ნახევრად დანგრეული სამრეკლოს კედელთან დაწყობილია ქვებზე ამოკვეთილი ჯვრები, რკინის ნივთები და აღმოსავლეთის კედლის გარეთა მხრიდან ჩამოვარდნილი დიდი ფილა ღვთისმშობლის გამოსახულებით და წარწერებით. 2009 წლის 23 აგვისტოს ჩვენ აქ ვნახეთ ქვა ასომთავრული წარწერით, რომელიც, როგორც ჩანს, ტაძრის კედელში კირის ფენით იყო დაფარული და აქამდე ჯრუჭის მონასტრის არც ერთ მკვლევარს არ აღუწერია. ჯრუჭის მონასტრის ყოფილმა წინამძღვარმა მამა ლუკა ფალავანდიშვილმა შეგვატყობინა, რომ ეს წარწერიანი ქვა ტაძრის ნანგრევებში უნახავთ და სამრეკლოს კედელთან გადმოუტანიათ.

აი, ამ ქვაზე არსებული წარწერა:

**წ(მიდა)ო გ(იორგ)ი ა(დიდე)**
**არსენ**
**მამად**
**მთავა**
**რი**

„წმინდაო გიორგი ადიდე არსენ მამადმთავარი“.

მამადმთავარი ეწოდებოდა ადრე და შუა საუკუნეებში კათოლიკოსს, იშვიათად ამ სახელით ეპისკოპოსს, მთავარეპისკოპოსს ან მონასტრის წინამძღვარს (არქიმანდრიტს) მოიხსენიებდნენ.

კათოლიკოსებს შორის ხუთი არსენი გვყავს: არსენ I დიდი (საფარელი) — დაახლ. 860-887 წწ., არსენ II — დაახლ. 955-980 წწ., არსენ III — XIII საუკუნის 20-30-იანი წლები, არსენ IV (ბულმაისიმისძე) — 1241/42-1249/50 წწ., დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი არსენი — 1390 წ. აქედან პირველი ორი

*ჯრუჭის მონასტერში ახალაღმოჩენილი წარწერა*

ქართლის კათოლიკოსები არიან, არსენ III და არსენ IV — ერთიანი საქართველოს პატრიარქები, მეხუთე არსენი დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსია, თანაც მცირე ხნით. ამ სახელის მატარებელი ეპისკოპოსებსა და მთავარეპისკოპოსებიდან არავინ ჩანს ამ სავანესთან დაკავშირებული. მონასტრის წინამძღვარი კი ამ ფორმით არ უნდა იყოს მოხსენიებული (თანაც ამ მონასტრის ჩვენთვის ცნობილ წინამძღვრებს შორის არსენი არავის რქმევია). სავარაუდოა, რომ ზემოთ ნახსენები პატრიარქებიდან რომელიმე მოხსენიებული უნდა იყოს ჯრუჭის მონასტრის ახალაღმოჩენილ წარწერაში (მიუხედავად იმისა, რომ არსენ I და არსენ II ქართლის კათოლიკოსები არიან, ჯრუჭის მონასტერთან მათი კავშირი მაინც დასაშვებია). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვა „მამადმთავარი“ ამ ფორმით უფრო ადრეულ საუკუნეებში იხმარება. აქედან გამომდინარე, ეს წარწერა ერთ-ერთი უძველესი ან შეიძლება, ყველაზე ძველი და მნიშვნელოვანი იყოს ჯრუჭის მონასტრის წარწერათა შორის და მონასტრის დაარსების დროც დაზუსტდეს. საინტერესოა, როგორ დაათარიღებენ მას ჩვენი პალეოგრაფები.

**გივი ჩიღვინაძე**

# სტოუნჰენჯის აგების საიდუმლო

***ევროპაში ქვის ხანის მონუმენტთა შორის ყველაზე ცნობილი სტოუნჰენჯი არაერთხელ გამხდარა აზრთა სხვადასხვაობისა და სპეკულაციის საგანი. გამუდმებით კამათობენ, ვინ, როდის და რატომ ააგო იგი. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე არქეოლოგებმა ნათელი მოჰფინეს კომპლექსის აგების ბევრ დეტალს, სტოუნჰენჯის დანიშნულება ბოლომდე მაინც გამოუცნობი რჩება. უძველესი ქვები ჯერ კიდევ იდუმალებითაა მოცული, როგორც პრეისტორიული მემკვიდრეობის უსიტყვო ნიმუში.***

ზემოდან დანახული სტოუნჰენჯი უჩვეულო უფროა, ვიდრე შთამბეჭდავი. ქვების გროვა სამხრეთ ინგლისში, ფრიალო ადგილის კირქვიან მიწაზე. თუმცა, თუ დავუკვირდებით, ერთგვარ წყობასაც შევამჩნევთ. სვეტები და ბალავრები (ჰორიზონტალური ქვები) ნათელყოფენ, რომ ეს დაყორილი ქვები ნანგრევებია. რაც უფრო უახლოვდებით სტოუნჰენჯს, მით მეტად ექცევით უზარმაზარი ქვების გარემოცვაში. უდიდესი ქვა სიგრძით 9 მეტრია და 44 ტონაზე მეტს იწონის.

ქვების უმეტესობა დამტვრეულია, ზოგიც თითქმის გალეულია. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ უხსოვარ დროში სამშენებლოდ ან გზის გასაყვანად გამოიყენეს, მაგრამ მაინც საკმარისადაა შემორჩენილი, რათა თანამედროვეთ ზოგადი წარმოდგენა შეექმნათ სტოუნჰენჯზე. შიდა დიამეტრი 100 მეტრს აღწევს, 30 სვეტი და 30 ბალავარი ოდესღაც შიდა წრეს ქმნიდა; წრეში უფრო მოზრდილი სვეტებისა და ზღუდარების ნალისებრი განლაგება იყო, რომელსაც დღეს ტრილითონს უწოდებენ. ირგვლივ არაერთი ქვაა როგორც გროვად, ასევე განცალკევებით. გულმოდგინე დაკვირვებით ვადგენთ, რომ დღეს ასე მიყრილ-მოყრილი ქვები ოდესღაც საკმაოდ აკურატულად — კილოთი და კოტათი შეერთებული და მშრალი წყობით იყო გამაგრებული. ყველაზე საოცარი კი ის გახლავთ, რომ ქვების წრე მართლაც წრე იყო და არა პოლიგონი 30 სვეტითა და ამდენივე ოდნავ მოხრილი ბალავრით. სტოუნჰენჯი აშკარად განსაკუთრებული ადგილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რა დანიშნულებისა და დროის რომელ მონაკვეთში, ჯერ კიდევ გამოუცნობი რჩება.

სტოუნჰენჯი ინგლისის ისტორიის ადრეულ პერიოდშიც გამოუცნობი დანიშნულების ნაგებობად მიიჩნეოდა. შუა საუკუნეების მწერლები, მაგალითად, ჯეფრი მონმუთელი (1100-1155) ამტკიცებდა, სტოუნჰენჯი ან უკვე ამოწყვეტილ გიგანტთა აგებულია, ან ჯადოქარ მერლინის მიერ არის შექმნილიო. ზოგიერთი თანამედროვე თეორეტიკოსიც არანაკლებ ზღაპრულ ჰიპოთეზას გამოთქვამს სტო-

უნჰენჯის აგებისას უცხოპლანეტელთა ნახელავის შესახებ. ჩვენს დროშიც კი ამჯობინებს ხალხი, რომ სტოუნჰენჯის გაურკვეველ წარმომავლობას ბურუსით მოცული და მაგიური ახსნა ჰქონდეს.

ინგლისელი მწერალი ჯონ ობრი (1626-1697) ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც სტოუნჰენჯი გულმოდგინედ გამოიკვლია. ობრი ახირებული კაცი გახლდათ და ინგლისის სიძველეებით იყო გატაცებული. სწორედ მან აღმოაჩინა 56 თანაბრად დაშუალედებული ღრმული შიდა პერიმეტრში (რომელსაც მოგვიანებით „ობრის ორმოები“ ეწოდა). სტოუნჰენჯმა ცნობისწადილი გვირგვინოსნებსაც აღუძრა. ასე მაგალითად, მეფე ჯეიმს I-მა (1603-1625) თავისი საუკეთესო ხუროთმოძღვარი აინიგო ჯოუნსი გაგზავნა ნანგრევების დასათვალიერებლად და მათი წარმოშობის შესახებ აზრის მოსახსენებლად. ჯოუნსი არქიტექტურის კლასიკური სტილის მიმდევარი იყო, ამიტომაც დაასკვნა, რომ სტოუნჰენჯი რომაული ეპოქის დროინდელი ტაძრის ნანგრევები უნდა ყოფილიყო (ახ.წ. 43-410). ობრი კი, პირიქით, ამტკიცებდა, სტოუნჰენჯი რომამდელია და, შესაძლოა, ბრიტანელი კელტების მიერ იყოს აგებულიო. კელტები ბრიტანეთში ძვ.წ. V საუკუნიდან სახლობდნენ. კიდევ ერთი ბრიტანელი სწავლული, სიძველეთა მოყვარული, უილიამ სტაკლი 1740-იან წლებში გამოთქვამდა აზრს, რომ სტოუნჰენჯი უძველესი კელტი დრუიდების სარიტუალო და მსხვერპლშეწირვის ადგილი უნდა ყოფილიყო. წარმართი დრუიდები რომაელ დამპყრობთ სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ. სტაკლიმ თავისი მოსაზრებები გამოაქვეყნა და ხატო-



*მწერალი ჯონ ობრი (1626-1697) ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც სტოუნჰენჯი გულმოდგინედ გამოიკვლია*

*ზემოდან დანახული სტოუნჰენჯი უჩვეულო უფროა, ვიდრე შთამბეჭდავი*

*სტოუნჰენჯი 5000 წლისაა, ანუ იმაზე ბევრად ძველია, ვიდრე დიდ ხანს მიაჩნდათ*

ვანი ილუსტრაციებიც დაურთო, რამაც ფართო საზოგადოებას ცხოველი ინტერესი გაუჩინა ამ ნაგებობისადმი. შედეგად, სტოუნჰენჯი პირდაპირ დაუკავშირეს ხელახლა ამოტივტივებულ დრუიდებს, რასაც არანაირი ისტორიული საფუძველი არ გააჩნია.

სერიოზული კვლევა მანამდე არ დაწყებულა, სანამ ევროპამ მეცნიერების ხანაში არ შეაბიჯა, ანუ XIX საუკუნემდე. მომდევნო კვლევებმა სტოუნჰენჯის წარმოშობის ამბავი ისტორიამდელ ნისლში გახვია. სამეცნიერო არქეოლოგია მას შემდგომ განვითარდა, რაც მუზეუმის კურატორმა დანიელმა კრისტიან თომსენმა პრეისტორიული პერიოდი სამ — ქვის, ბრინჯაოსა და რკინის ხანად დაყო იმ მასალების მიხედვით, რისგანაც ამზადებდნენ იარაღს ხსენებულ პერიოდებში. თომსენის თეორია პირველად 1936 წელს გამოჩნდა და ისტორიკოსებს შორეული წარსულის შესწავლაში ფასდაუდებელი დახმარება გაუწია. ლონდონის სიძველეთა ასოციაციამ სტოუნჰენჯის გათხრები 1909 წელს დაიწყო, რამაც ცხადყო, რომ ქვის მონუმენტი სხვადასხვა პერიოდში — ძვ.წ. 1800-1500 წლებში, ანუ შუა ბრინჯაოს ხანაში იყო აგებული. თუმცა ამ თარიღებმა ისტორიკოსები პრობლემათა წინაშეც დააყენა, რადგან დასავლეთ ევროპაში უამრავია მეგალითური სტრუქტურა, ქვისგან თლილი სვეტებითა და ზღუდარებით, თუმცა სტოუნჰენჯის დარად დახვეწილი არც ერთი არ გახლავთ.

ყოველივე ეს ეწინააღმდეგებოდა XX საუკუნის პირველ ნახევარში გაბატონებულ ისტორიულ თეორიას, რომლის თანახმადაც ყოველ კულტურულ ინოვაციას ერთი გეოგრაფიული არეალი ჰქონდა და იქიდან ვრცელდებოდა მსოფლიოში. არქეოლოგები მივიდნენ დასკვნამდე, რომ სტოუნჰენჯის ამგები ხუროები ბრიტანელები ვერ იქნებოდნენ, ისინი სხვა ადგილიდან უნდა ყოფილიყვნენ მოსული. ბრინჯაოს ხანისთვის უფრო დახვეწილი ხმელთაშუაზღვისპირული სამყაროდან შემოღწევაც გაითვალისწინეს.

ეს მოსაზრება პოპულარული გახლდათ რადიონახშირბადის ანალიზის მიგნებამდე, ანუ XX საუკუნის მეორე ნახევრამდე. აღნიშ-

*სტოუნჰენჯი ძველებურ ინგლისურ რუკაზე*



*დაისი მეგალითურ ძეგლთან*

ნულმა ჩვენი წარმოდგენა თავდაყირა დააყენა პრეისტორიულ მოვლენებზე და სტოუნჰენჯი ერთხელ და სამუდამოდ ქვის ხანას მიაკუთვნა. სტოუნჰენჯი 5000 წლისაა, ანუ იმაზე ბევრად ძველია, ვიდრე ფიქრობდნენ. უადრესი ფორმებით იგი ეგვიპტის პირამიდებზეც კი 500 წლით უხნესია. უფრო საკვირველი კი ის გახლავთ, რომ სტოუნჰენჯს მხოლოდ 1500 წლის განმავლობაში იყენებდნენ.

თავდაპირველად ჰენჯი — წრიული სანგარი და მიწაყრილი — აშენებული უნდა იყოს დაახლოებით ძვ.წ. 3000 წელს. „ობრის ორმოებიც“ ამ პერიოდშივე უნდა იყოს ამოთხრილი. ხუთასიოდე წლის შემდეგ კი, დაახლოებით ძვ.წ. 2500 წელს დიაბაზებიც მოუტანიათ. ამ 80-მდე ქვიდან თითოეული 1,6 ტონას იწონის. ქვები ძირითადად ორ დაუსრულებელ წრედ იყო დაწყობილი და, შესაძლოა, სვეტბალავრის ფორმას ქმნიდა. დაახლოებით ძვ.წ. 2200 წელს სტოუნჰენჯმა ინტენსიური მოდიფიკაცია განიცადა. 27-ტონიანი ქვიშაქვის ლოდები 29 კილომეტრით დაშორებული კარიერიდან მოზიდეს, რომელიც ბორცვზე მდებარეობდა. ლოდები მიწაყრილთან მიათრიეს და ერთმანეთს მიამაგრეს ურღვევ წრედ. უფრო დიდი ლოდებიც კი გამოჭრეს და ფორმა მისცეს ხუთი დიდი ტრილითონის შესაქმნელად. დაახლოებით ძვ.წ. 1900 წლისთვის ლოდები ქვიშაყრილის წრის გარეთ გადაადგეს და სპირალისებური ფორმა მისცეს, ხოლო ოთხი საუკუნის შემდეგ შიგნით შეიტანეს. სწორედ ეს ბოლო წყობაა დღემდე შემორჩენილი.

ისტორიკოსები კარგა ხანია, სტოუნჰენჯის აგების ზებუნებრივ ჰიპოთეზას უარყოფენ. ქვის ხანის პერიოდში მწირი ტექნოლოგიური საშუალებები იყო, ამიტომ ამხელა კომპლექსის აგება დიდ ადამიანურ ძალასა და სიმარჯვეს მოითხოვდა. ქვის ურიების, ბერკეტებისა და ლილვების გამოყენებით ასობით მუშა სარსენის ლოდებს თლიდა, გადააადგილებდა და ზეაღმართავდა. შედარებით მცირე ზომის ქვებს, ალბათ, უფრო ნაკლები მუშახელი ესაჭიროებოდა. XX საუკუნის ოციანი წლებიდან მეცნიერთა ვარაუდი შეიცვალა ქვების მოზიდვის არეალის შესახებ. ახალი ვარაუდით, გიგანტური ლოდები სამხრეთ უელსიდან, პრესცელის მთებიდან უნდა იყოს მოზიდული. ლოდების გეოლოგიური კვლევით სწორედ ეს ადგილი დადგინდა მათი წარმოშობის წყაროდ.

არაერთს უჭირს, ირწმუნოს ალტერნატიული თეორია, თითქოს გამყინვარების პერიოდში გიგანტური ლოდები მყინვარებში მოექცა სტოუნჰენჯის ტერიტორიაზე და ყინულის დნობის შემდეგ მივიღეთ ეს ქვაწყობილი. თუმცა დღეს ოფიციალურ თეორიად მიიჩნევა, რომ სტოუნჰენჯის ბუმბერაზი ქვები ადამიანის ხელით არის მიზიდული. ჩვენთვის გაუგებარი მიზეზებით, ადამიანებმა ოთხი ათასი წლის წინ 132-ტონიანი ლოდები 200 კილომეტრზე ხელით გადაზიდეს ბრისტოლის არხით, უელსისა და სამხრეთ-დასავლეთი ინგლისის გავლით, რათა ზღუდისებრი ქვაწყობილი აღემართათ.

ჰენჯის შესასვლელიდან ფართო შარა იშლება, რომელიც ზაფხულის მზებუდობისას, 21 ივნისის აისის მიმართულებას იმეორებს, ანუ მზის წელიწადის კულმინაციას. ამ განლაგების ღერძი სტოუნჰენჯის ისტორიის განმავლობაში არასდროს შეცვლილა. როგორც ჩანს, „ჰილსტოუნის“ შემცველი მნიშვნელოვანი საკურთხეველი იყო ამ ღერძზე ტრილითონის ნალის ფორმით. ბუნიობის აისის მიხედვით მეგალითებისა და სამაროვნების წრიულად განლაგება ევროპაში ჩვეულებრივი მოვ-

ლენა გახლდათ და მათი დანიშნულება უფრო ისტორიის სიღრმეებშია საძიებელი, ვიდრე დროს გადარჩენილი კვალი მიგვანიშნებს. ზამთრის მზებუდობა, 21 დეკემბერს, მზის წელიწადის დასაწყისად მიიჩნევა და შესაძლოა წლიური სამეურნეო ციკლის განახლებად მოვიაზროთ. სამარხების შემთხვევაში, განლაგებას შესაძლოა საიქიოში ხელახლა დაბადების რწმენასთან ჰქონდეს კავშირი. ზაფხულის მზებუდობას, მოახლოებული სეზონის შუაგულში, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მიწათმოქმედ ხალხებში.

მაგრამ ეს ყოველივეც ვერ განმარტავს სტოუნჰენჯის ამდენ კომპონენტს — ლოდებს, სარსენის ქვებს, მიწაყრილს. განმარტება თითქოს 1960-იან წლებში გაჩნდა, როცა ოქსფორდის უნივერსიტეტის ინჟინერიის პროფესორმა ალეგზანდერ თომმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სტოუნჰენჯსა და მსგავს ქვის წრიულ ნაგებობებს ქვის ხანის ხალხი ასტრონომიულ გამომთვლელებად მიიჩნევდნენ, რომელთა მეშვეობით ადგენდნენ ზღვის მიმოქცევისა და მზის დაბნელების პერიოდებს. თომის თეორიით, „ობრის ორმოები“ სტოუნჰენჯში მზისა და მთვარის კალენდრების განლაგებისთვის გამოიყენებოდა ჩვეულებრივ 18,6-წლიან მონაკვეთებში. ეს თეორია მართებულად ჩათვალეს ე.წ. „მეგალითური იარდის“ სტატისტიკური ანალიზით, რაც ქვის წრეების ზუსტ და სტანდარტულ ზომად მიიჩნევა. სამწუხაროდ, სტატისტიკით ხშირად იმას ვიღებთ, რაც გვსურს, ხოლო „მეგალითური იარდის“ მიერ მართებულად მიჩნეული, მაინც სტატისტიკური ილუზია აღმოჩნდა.

საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ სტოუნჰენჯის მხოლოდ ქრონოლოგია ვიცით, მეტი კი თითქმის არაფერი. დაახლოებით ხუთი ათასი წლის წინ მიწათმოქმედებმა თხრილი გაიყვანეს და ნაპირი აწიეს განსაკუთრებული ადგილის დასაცავად. ეს სამუშაო, სავარაუდოდ, კოლექტიურად განხორციელდა. როგორც ჩანს, ეს ქვაწყობილი დღესასწაულების გასამართავად გამოიყენებოდა, რაც სამიწათმოქმედო კალენდრით იმართებოდა (გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, არანაირი მტკიცებულება ან სამხილი არ არსებობს, რომ ე.წ. „სასაკლაოს ქვა“ სტოუნჰენჯში ოდესმე გამოუყენებიათ მსხვერპლის — ადამიანის ან ცხოველის შესაწირად). ისიც შესაძლებელია, რომ მშენებლობის ბოლო სტადია უკვე პრესტიჟის საქმედ იქცა მსხვილი მესაქონლეებისთვის, რომლებიც პირუტყვის მოშენებით იყვნენ დაკავებული და შესაძლოა, სტოუნჰენჯის დასრულების ინიციატორებადაც კი გვევლინებოდნენ.

სტოუნჰენჯის სტრუქტურული წყობის საუკეთესო ახსნა შემდეგია: ის წარმოადგენს უფრო მუდმივ ჰენჯს, ტრადიციული ხის ჰენჯის ქვის ვერსიას, რომელსაც ერთი ან მეტი ხის წრიული საგუშაგოს ფუნქცია ეკისრებოდა. ქვის ჰენჯის თეორიას არქეოლოგიური საფუძველი კი გააჩნია, მაგრამ კითხვაზე პასუხს, თუ რისთვის აგებდნენ ადრეული ხალხები თუნდაც ხის ჰენჯებს, მაინც ვერ სცემს. ამდენად, მართალია, სტოუნჰენჯმა ზოგიერთი საიდუმლო გაგვიმხილა, მაგრამ მისი აგების ზუსტი მიზნისა და დანიშნულების შესახებ ამოცანა ჯერ კიდევ ამოსახსნელი რჩება.

*National Geographic-ის გამოცემა „ისტორიის საიდუმლოებანის“ მიხედვით მოამზადა ლევან ინასარიძემ*

*ევროპაში უამრავია მეგალითური სტრუქტურა, თუმცა სტოუნჰენჯის დარად დახვეწილი არც ერთი არ გახლავთ.*

# მისი უდიდებულესობა ფეხბურთი და მისი წინაპრები

ჩიჩენ-იცის არენა. აქ დამარცხებული გუნდის კაპიტანს მსხვერპლად ღვთაებას სწირავდნენ

***ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩვენ გარშემო არსებული უამრავი ჩვეულებრივი ნივთი ოდესღაც არ არსებობდა და იგი გამოიგონეს. მაგალითად, ბორბალი ან თუნდაც ბურთი. დიახ, ბურთი სამ-ნახევარი ათასი წლის წინ დღევანდელი მექსიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოლმეკებს „აღმოუჩენიათ“. ყოველ შემთხვევაში, ბურთაობასთან დაკავშირებული უფრო ადრეული პერიოდის არქეოლოგიური აღმოჩენები ამ დრომდე არ მოგვეპოვება.***

## პირველად იყო... ბურთი

ბურთის სამშობლოდ მექსიკის ტერიტორიის გამოცხადება იმ უბრალო მიზეზის გამო შეიძლება, რომ სწორედ ადგილობრივებმა შეძლეს პირველად მცენარე კაუჩუკონოსისგან მიღებული კაუჩუკისთვის ელასტიკურობის მინიჭება, ანუ მისი რეზინისთვის მიმსგავსება, რისგანაც ბურთის შექმნა თავად განგების ნება ყოფილა...

ოლმეკები კაუჩუკს იპომეის (ესეც მცენარეა) წვენს ურევდნენ. განსაზღვრული პროპორციით ნაზავი ხანგრძლივი ზელის შემდეგ მკვრივდებოდა და ნელ-ნელა ბურთის ფორმას იძენდა. არქეოლოგებმა ამ ტექნოლოგიით დამზადებულ მრავალ, განსხვავებული ზომის ბურთს მიაკვლიეს და აღსანიშნავია, რომ მათგან ყველაზე პატარა, დაახლოებით 10 სანტიმეტრი დიამეტრისა, კილო-ნახევარს მაინც იწონის, ორჯერ უფრო დიდი ზომისა კი საზარბაზნე ყუმბარას უფრო მოგაგონებთ.

ასეთი ბურთით კაცის მოკვლაც ხომ შეიძლება... ჰოდა, რა გასაკვირია, ძველი მაიას მოსახლეობა თამაშისთვის ისევე რომ ემზადებოდა, როგორც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის. „მოთამაშეები“ მუხლებსა და წვივებს ტყავის ქამრებით იფარავდნენ, იკეთებდნენ ხის სამხრეებს, თავზე ტყავის ჩაჩქანს იხურავდნენ, „სათამაშო“ ხელს კი ტრავმისგან მომცრო ფიცრის ფარით იცავდნენ. მაგრამ მაინც, მთელი ეს აღჭურვილობა, რომელიც ამერიკული ფეხბურთის ამუნიციას მოგაგონებდათ, რა თქმა უნდა, ვერ იქნებოდა ტრავმისა და დაჟეჟილობისგან დაცვის გარანტი და შესაბამისად, მატჩის დასრულების შემდეგ არაერთი მოთამაშე ტოვებდა მოედანს დალურჯებულ-დასისხლიანებული. და ისიც უკეთეს შემთხვევაში...

რაც შეეხება ბურთაობის სპორტულ წესებს, მასზე მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა გვაქვს და სავარაუდოდ, იგი ხელბურთისა და როკეტბოლის ელემენტებით უნდა ყოფილიყო გაჯერებული და თამაშში პირველყოფილ „ბიტას“, „ყვანჯსა“ თუ „ჩოგანსაც“ იყენებდნენ.

*თამაშში უპირობო გამარჯვებისთვის ინდიელებს ბურთი ჩიჩენ-იცის არენაზე ამ რგოლში უნდა გაეძვრინათ*

## მობურთალსა მოედანი... მსაჯი და ჯილდო

მაიას უძველეს ქალაქ ჩიჩენ-იცაში არქეოლოგებმა 146X36 მეტრი ზომის მოედანი აღმოაჩინეს, რომელიც ბარელიეფიანი კედლებითაა შემოსაზღვრული და ზედ სათამაშო ეპიზოდებია გამოსახული. სარბიელის კიდეებზე, დაახლოებით ექვსი მეტრის სიმაღლეზე, რგოლებია გამოკვეთილი. უპირობო გამარჯვებულად ის გუნდი ცხადდებოდა, რომლის მოთამაშეც ბურთს რგოლში გააძვრენდა. ეს კი არცთუ ხშირად ხდებოდა და მოგებულს მეტწილად ქულებით ავლენდნენ.

ასპარეზობა მზის ჩასვლამდე გრძელდებოდა, თუკი, რა თქმა უნდა, მოედანზე მყოფ ერთ მოთამაშეს მაინც ჰქონდა სიქა შერჩენილი, ფეხზე მდგარიყო.

თამაშს საკრალური დატვირთვა ჰქონდა. მეტოქე გუნდები ორ დაპირისპირებულ სტიქიას განასახიერებდნენ, მაგალითად, ცეცხლსა და წყალს. ცეცხლის გუნდის გამარჯვება იმ წელს გვალვას მოასწავებდა და დამარცხებული გუნდის ლიდერს მსხვერპლად წყლის ღვთაებას შესწირავდნენ. მსხვერპლს თავს გამარჯვებული გუნდის კაპიტანი აცლიდა...

რა თქმა უნდა, თამაშს მაშინაც სჭირდებოდა მსაჯული. თანაც, იმდროინდელი არბიტრების ამოცანა მხოლოდ მოედანზე განვითარებული მოვლენებისთვის თვალის ყურადღებით მიდევნება არ ყოფილა. მაიას ტომელებს სწამდათ, რომ თუკი თამაშის შემდეგ მსხვერპლშეწირვა წესების მცირედი დარღვევით მაინც მოხდებოდა, გვალვა თუ წყალდიდობა კიდევ უფრო დიდი ზიანის მომტანი იქნებოდა. მაშინდელი არბიტრების გადაწყვეტილებებსაც, როგორც დღეს, ასი თვალი და ასი ყური აკონტროლებდა. აღსანიშნავია, რომ მსაჯისა თუ მოთამაშის მიერ მოედანზე წარმოთქმულ თითოეულ სიტყვას მთელი სტადიონი იგებდა. ჩიჩენ-იცას არენის აკუსტიკური ეფექტი მეცნიერებისთვის დღემდე გამოცანად რჩება და ის ტურისტების საყვარელი გასართობია. მოედნის ერთ ბოლოში წარმოთქმული სიტყვა საპირისპირო კიდეზე მყოფს ისევე გარკვევით ესმის, თითქოს ყურისძირში ეუბნებიან.

*ინდიელთა ტრადიციულ ულამას მექსიკაში მიმდევრები დღესაც ჰყავს და მას ზოგჯერ ცეცხლოვანი ბურთითაც თამაშობენ*

მაშინ, როცა ამერიკის კონტინენტზე ფეხი ესპანელებმა დადგეს, აცტეკები უკვე მხოლოდ სპორტული ინტერესით ბურთაობდნენ და ადამიანის მსხვერპლად შეწირვა წარსულს იყო ჩაბარებული. გულშემატკივრები დებდნენ ფსონებს, გამარჯვებული გუნდის კაპიტანს კი უფლება ეძლეოდა, მეტოქე გუნდის ქომაგის აცლადიდება და ძვირფასეულობა დაესაკუთრებინა. „პრიზი“ ერთობ თვალისმომჭრელი უნდა ყოფილიყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ აცტეკურ საზოგადოებაში წესად იყო, გულშემატკივარი სტადიონზე აუცილებლად საუკეთესოდ „ჩაცმულ-დახურული“ და ოქროს სამკაულებით მორთული უნდა წაბრძანებულიყო.

ესპანელმა დამპყრობლებმა, რომლებმაც ინდიელებს ქრისტიანობის მიღება აიძულეს, უძველესი თამაში აკრძალეს, რამდენადაც ის მზის, მთვარისა და სიმინდის ღვთაებათა საკულტო ტრადიციასთან იყო დაკავშირებული.

თუმცა მექსიკის ჩრდილოეთ-დასავლეთით, სინალოას შტატში, არიან ოჯახები, რომლებიც თავს აცტეკთა დიად ვარსკლავთმრიცხველ ქურუმთა შთამომავლებად მიიჩნევენ და არ ივიწყებენ ულამას (ასე ეწოდება ინდიელთა ბურთით თამაშის ერთ-ერთ სახეობას). ისინი დღესაც ოლმეკთა ტექნოლოგიით ამზადებენ კაუჩუკის ბურთს. რამდენიმე ქალაქში შექმნილი ათამდე პროფესიონალური გუნდი კი, ისევე როგორც ძალიან დიდი ხნის წინ, ახლაც, ყოველი წლის აპრილში ბურთაობას აჩაღებს.

*იტალიელები მიიჩნევენ, რომ ინგლისელებმა ფეხბურთი მათგან ჯერ კიდევ 1766 წელს „მოიპარეს“, როდესაც კალჩოს მატჩს ბრიტანელთა კონსული დაესწრო*

*კალჩოში ყველაფერი ნებადართულია, თავსა და საზარდულში ჩარტყმის გარდა*

## კალჩო — ფლორენციელთა თავისუფლების სიმბოლო

იტალიელები ფეხბურთს კალჩოდ (nalcio) მოიხსენიებენ. ეს სახელწოდება ფლორენციული ბურთაობიდან მომდინარეობს, რომლითაც იტალიელები აღორძინების ეპოქიდან მოყოლებული, XVIII საუკუნემდე ერთობოდნენ.

ამბობენ, რომ 1766 წელს ქალაქ ლივორნოში გამართულ მატჩს ბრიტანეთის კონსულიც დასწრებია... „და ასე იქცა ინგლისი ფეხბურთის სამშობლოდ“, — მწარედ ხუმრობენ დღეს ტოსკანელები.

ფლორენციული თამაში კი ძალიან ცოტა რამით თუ ჰგავდა თანამედროვე ფეხბურთს. თანაც საეჭვოა, ფლორენციელებს შუა საუკუნეებში არაფრისგან შეექმნათ კალჩო. სავარაუდოდ, მისი დიდი წინაპარი ძველბერძნული თამაში „ფაინინდა“, ანდა სხვა ძველბერძნული თამაში „ეპისკუროსი“ უნდა ყოფილიყო, რომელიც მოგვიანებით რომაელებმა გადაიღეს და მას „ჰარპასტუმი“ (harpastum/harpuzstum) შეარქვეს. ბერძნები არპასტონს, არპადზოს (ბერძნ. „წართმევა“) სათამაშო ბურთს უწოდებდნენ. ცნობილია, რომ ჰარპასტუმი განსაკუთრებით პოპულარული რომაელ ლეგიონერთა შორის ყოფილა.

მობურთალთა ქალაქად ფლორენცია კი მოგვიანებით, XV საუკუნეში იქცა. იმდროინდელი მოქალაქეები წუხდნენ კიდეც, ამ საქმეგამოლეულთა გადამკიდე, ქუჩაში გავლა საშიშია, შეიძლება თავში მძიმე ბურთი მოგხვდესო. ქალაქის თავებს კანონის გამოცემაც კი

*ბურთაობა ინგლისელებს არ გამოუგონებიათ, მაგრამ ფეხბურთის თამაშისა და მისი წესების დახვეწა სწორედ მათი დამსახურებაა*

*ბურთაობა ძველ ბერძნებსაც უყვარდათ*

მოუხდათ, რომელიც კალჩოსა და სხვა „ხმაურიან თამაშებს“ კარ-მიდამოების სიახლოვეს კრძალავდა.

კალჩოს საასპარეზო ადგილებად სანტა-მარია-ნოველას, სანტა-კროჩეს მოედნები და პორტა-ალ-პრატოს სიახლოვეს მინდორი იქცა. ზამთარში, კარნავალის დღეებში, როდესაც მდინარე არდო იყინებოდა, გუნდები ყინულზეც მართავდნენ ბურთაობას. რაც მთავარია, კალჩო დიდგვაროვანსა და მდაბიოს არ ცნობდა და მოედანი ყველას ათანასწორებდა. სხვათა შორის, იმ ეპოქის კარგ „ფეხბურთელებად“ თვით რომის პაპები: კლიმენტ VII, ლევ XI და ურბან VII ითვლებოდნენ.

ვინ იცის, იქნებ ხუთი საუკუნის წინანდელი თამაში დავიწყებასაც მისცემოდა, ფლორენციული რესპუბლიკის სიმბოლოდ რომ არ ქცეულიყო. 1530 წელს გერმანელი იმპერატორის ჯარისკაცებმა ფლორენციას ალყა შემოარტყეს. ქალაქი შიმშილობდა, თუმცა კარნავალის ბოლო დღეს, 17 თებერვალს, მოსახლეობას სანტა-კროჩეს მოედანზე ტრადიციული კალჩოს სათამაშოდ ძალა და ხალისი მაინც შერჩენოდა. მართლაცდა, ბურთაობა გაჩაღდა და ამ სანახაობით შეცბუნებულმა მტერმა, რომელიც ქალაქის გარშემო გორაკებზე იყო გამაგრებული, მოედანს ზარბაზნებიდან ცეცხლი გაუხსნა, თუმცა ჭურვები მიზანს ვერ აღწევდა და ყოველ გასროლას ფლორენციელთა აღტაცების ყიჟინა და დაცინვა ერთვოდა.

ამ ისტორიული მატჩის ოთხასი წლის იუბილეზე მუსოლინის იტალიაში ფლორენციული ფეხბურთის აღორძინებას მიჰყვეს ხელი. კალჩოს დღესაც იმ წესებით თამაშობენ, რომელიც 1580 წელს გრაფმა ჯოვანი დე ბარდიმ თავის ტრაქტატში აღწერა.

## მატჩი იწყება... გინებით

კალჩოს მოედნის ზომა 100X50 მეტრია და ქვიშითაა დაფარული. თითო გუნდი 27 მოთამაშისგან: სამი მეკარის, ოთხი მცველის, ხუთი ნახევარმცველისა და თხუთმეტი თავდამსხმელისგან შედგება. მატჩი 50 წუთს გრძელდება, გამარჯვებული გუნდი კი ჯილდოდ კიანინის ჯიშის თეთრ ხბოს იღებს.

თავად თამაში რაგბისა და ამერიკულ ფეხბურთს უფრო მოგაგონებთ, ვიდრე ფეხბურთს და მისი მთავარი მიზანი ნებისმიერი ხერხით მეტოქის მოედნის საზღვრამდე ბურთის მიტანაა. თამაშში აკრძალვები თითქმის არ არის. ეგ კი არა, ნებადართულია მეტოქისთვის თვალებში ქვიშის შეყრაც. არ შეიძლება მხოლოდ თავსა და საზარდულში ჩარტყმა.

საინტერესო სანახავია თამაშის დასაწყისი. მსაჯი აგდებს ბურთს, მაგრამ მას ყურადღებას არავინ აქცევს. გუნდები ჯერ ხურდებიან, პირისპირ მდგომი მეტოქეები იტალიური ენის ყველაზე უშვერი სიტყვებით ერთმანეთს მანამ ლანძღავენ, სანამ რომელიმე მუშ-

ტი-კრიკეტზე არ გადავა. და აი, სწორედ აქედან იწყება კალჩოს „მატჩი“.

## ფეხბურთის „კანონიერი“ სამშობლო

კაცმა რომ თქვას, მრავალ ერს ჰქონია თავისებური ჯგუფური თამაში ბურთით (ან მსგავსი ნივთით), რომელიც შეიძლება ფეხბურთის წინაპრად მივიჩნიოთ. მაიას ტომის, საბერძნეთისა და რომის გარდა, ბურთაობა უძველესი დროიდან ჰყვარებიათ ეგვიპტეში, ჩინეთში, იაპონიაში... თუმცა ფეხბურთის სამშობლოდ ინგლისია აღიარებული.

ქალაქ დერბის მცხოვრებლები სიამაყით მოგიყვებიან ამბავს, თითქოს მესამე საუკუნეში ადგილობრივმა ჯეელებმა რომაელი ლეგიონერებისგან შემდგარ გუნდს, მათივე თამაშში, ზემოთ ნახსენებ ჰარპასტუმში აჯობეს. იქიდან მოყოლებული, ინგლისელთა შორის ბურთაობა საყვარელი გასართობი გამხდარა, თანდათანობით დახვეწის შემდეგ კი თამაში თანამედროვე ფეხბურთად იქცა.

სხვა ვერსიით, ფეხბურთის წინამორბედი თამაში ბრიტანულ კუნძულებზე ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდეც სცოდნიათ.

ასე იყო თუ ისე, VII-IX საუკუნეების ინგლისში ბურთაობა ძალიან ჰყვარებიათ. სადღესასწაულო დღეებსა თუ ბაზრობის დასრულების შემდეგ ერთი სოფელი მეორეს ეჯიბრებოდა. მოთამაშეთა რაოდენობას გუნდებში არავინ თვლიდა, არც რამე აკრძალვა არსებობდა, მთავარი კი მეტოქე სოფლის მოედნამდე ბურთის მიტანა ყოფილა.

სიტყვა „ფუტბოლ“ პირველად XV საუკუნის პირველი ნახევრიდან, მეფე ჰენრიხ IV-ის გამოცემულ ბრძანებაში გვხვდება. და თუკი თავდაპირველად ბურთაობა მდაბიოთა გასართობად მიიჩნეოდა, მოგვიანებით ის თვით სამეფო ოჯახის წევრთა გატაცებაც გამხდარა.

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან ინგლისის ორ უდიდეს უნივერსიტეტში — კემბრიჯსა და ოქსფორდში უკვე არსებობდა მობურთალთა გუნდები, თუმცა თამაშის წესები, თანამედროვესთან მიახლოებული, პირველად მხოლოდ საუკუნის შემდეგ ჩამოაყალიბეს. ეს ინგლისელმა ნატურალისტმა ფრენსის უილოუბიმ (1635-1672) გააკეთა, რომელმაც თავის დაუმთავრებელ „თამაშების წიგნში“ მოედნისა და კარის ზომები, მოთამაშეთა განლაგება და თამაშის ტაქტიკა აღწერა.

## არც ხელბურთია, არც რაგბი... ეს უკვე ფეხბურთია!

მიუხედავად ყველაფრისა, ფეხბურთის ეპოქის დასაწყისად მაინც XIX საუკუნე უნდა ვაღიაროთ. სწორედ იმხანად ინგლისელ პედაგოგთა შორის გავრცელდა მოსაზრება, რომ ყმაწვილთა ფიზიკური და სულიერი განვითარებისთვის ბურთაობა განსაკუთრებით სასარგებლო იყო. შედეგად თამაში უაღრესად პოპულარული გახდა, განსაკუთრებით კი ჯენტლმენთა შორის.

საფეხბურთო კლუბების მომრავლებას ერთიანი სათამაშო წესების შემოღება მოჰყვა. 1863 წელს შეიქმნა ასოციაცია, რომელმაც დაადგინა მოედნისა და კარის ზომები, და მთავარი: აკრძალა ბურთის ხელით თამაში. შედეგად კი ერთმანეთს სამუდამოდ გაემიჯნენ მისი უდიდებულესობა ფეხბურთი და რაგბი. ამრიგად, 1863 წელი თანამედროვე ფეხბურთის დაბადების წლად გამოცხადდა.

**გელა უშარიძე**

*ინგლისსა და შოტლანდიას შორის 1872 წელს გამართული პირველი საერთაშორისო მატჩის საგაზეთო ილუსტრაცია*

# მიშა გომიაშვილის ცხოვრების ლაბირინთი

*ის არჩილ გომიაშვილის ვაჟია და შეიძლებოდა, ასეც დარჩენილიყო ყველასთვის ბოლომდე, მაგრამ მოახერხა და საკუთარი სახელი დაამახსოვრა საზოგადოებას — მიშა გომიაშვილი... დღეს როგორც ვახსენებთ, რომ ის არჩილის ვაჟია, შეგვიძლია ასევე პირიქითაც აღვნიშნოთ, რომ არჩილი მიშას მამაა...*

*წლების წინ ძლივს გამოძებნა დრო, რომ პირისპირ დავმსხდარიყავით და გვესაუბრა... განა იმას ვამბობ, ძვირი სანახავია-მეთქი, უბრალოდ, ვერცხლისწყალივითაა, რომელსაც დიდხანს ვერ დააკავებ... ხანგრძლივად რამის მოყოლა ხომ საერთოდაც არ მოსწონს. მგონი ურჩევნია კიდეც, მიკარგული იყოს სადმე, თავისი ცხოვრების ლაბირინთის ხვეულებში. ის არის არტისტი, რომელიც პოპულარობისთვის არასოდეს გამოიტანს საჯაროზე თავის განცდებს, თუმცა ყოველთვის მრავლად იქნებიან მისი ცხოვრებითა და შემოქმედებით დაინტერესებულნი. ის ხომ მიშა გომიაშვილია!*

— ადრეული ბავშვობა ცალკეულ ფრაგმენტებად მახსოვს, თანაც ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ, მოყოლილი აქვთ თუ თავად მახსოვს... ბევრი რამ საერთოდ არ დამრჩენია მეხსიერებაში. მაგალითად, სკოლაში როგორ წავედი, არ მახსოვს. დღემდე ვერ ვიხსენებ თბილისის 53-ე სკოლიდან მოსკოვში პირველი კლასიდან გადავედი თუ მეორიდან... მიკვირს ხოლმე, ვინმე რომ იტყვის, ნათლად მახსოვს, სამი წლის რომ ვიყავი, რა მოხდაო. მე ეგრე ნათლად ტექსტები მახსოვს. სპექტაკლის ტექსტი მთელი ცხოვრება აღარ მავიწყდება. პირველად რომ როლი ვითამაშე 30 წლის წინ, ღამით რომ გამაღვიძოთ, იმ ტექსტსაც კი გეტყვით. რაც შეეხება ფილმის ტექსტს, გადაღების დასრულებისთანავე ვივიწყებ. რა გითხრათ, აბა... ეტყობა ბილობილი უნდა ვსვა ბევრი, რომ ჩემი ბავშვობის ყველა დეტალი გავიხსენო...

ნაკლებად მავიწყდება სუნი, ფერი, განწყობა, ოღონდ ამბების მოყოლა არ შემიძლია...

პატარა რომ ვიყავი, ერთი დაუძლეველი შიში მქონდა — მეშინოდა, ჩვენს სახლში ქურდები არ შემოსულიყვნენ. ამის გამო ღამით ვერ ვიძინებდი. კარგად მახსოვს, ნევროპათოლოგთანაც წამიყვანეს და სედუქსენი და ნოქსირონი დამინიშნეს. მე ამას ქურდების წამალს ვეძახდი... მაშინ საკუთარ სახლში ვცხოვრობდით ქიაჩელზე, მამამ ხის დარაბები გააკეთებინა, რომ აღარ მშინებოდა.

მამა გრიბოედოვის თეატრში მუშაობდა. მახსოვს, პატარა ვიყავი და ერთად ვბრუნდებოდით თეატრიდან შინ. ქუჩაში ჩემზე დიდ ძაღლებს ვეთამაშებოდი. მამა ამბობდა, როგორ არ ეშინიაო... ძაღლების არასოდეს შემშინებია.

სკოლაში კარგად არასოდეს ვსწავლობდი. კითხვა მიყვარდა, მაგრამ სკოლის წიგნებს არ ვკითხულობდი. უზრდელი არ ვყოფილვარ, მაგრამ ხულიგანი ვიყავი... მთელი ჩემი სამეგობრო ასეთი იყო... წესიერად ვიქცეოდით მშობლებთან, მასწავლებლებთან, მაგრამ ერთმანეთში ვიქცეოდით ხულიგნურად, ვცელქობდით. დირექტორი გვეხვეწებოდა, სკოლაში ნუ მოხვალთ და ოთხიანის ატესტატს გაგატანთო. ჩვენ მაინც დავდიოდით.

მოსკოველი დირექტორი რას მეუბნებოდა? მოსკოველი დირექტორი არც მახსოვს, IV კლასში უკვე თბილისში გადმომიყვანეს. მოსკოვში პატარა ვყოფილვარ ხულიგნობისთვის? მაგას ნუ დარდობთ, პატარაც ვახერხებდი... ბაღში დავდიოდი, როცა გამომაგდეს ჯგუფიდან, რადგან დანა მქონდა თან. მახსოვს, რკინის პატარა ყუთი მქონდა საკვოიაჟივით, ზედ რაღაც ეხატა — ზღაპრის გმირები მგონი... იქ დედაჩემი იმდროინდელ სანდვიჩებს — ბუტერბროდებს მილაგებდა. იმაში მედო დანა... ბაღის ასაკში იმ დანას ვერ ვიყიდდი, ალბათ ან უფროს ძმას მოვპარე, ან გავუცვალე ვინმეს რამეში.

გაცვლა ძალიან მიყვარდა. შუათანა ძმა ტექნიკაში კარგად ერკვევა. თავისი ხელით აწყობილი რადიო ჰქონდა, სათუთად აწყობდა... შინ რომ არ იყო, წავიღე და ვიღაცას „ატვიორტკაში“ გადავუცვალე... ლამაზი, ბრჭყვიალა ტარი მომეწონა...

მოხერხებული ვყოფილვარ? იმდენად მოხერხებული ვიყავი, რომ დედა ფულს რომ მოგვცემდა, ჩემზე შვიდი წლით უფროსი ძმა მეტყოდა: მოდი, ეზოში დავმარხოთ და დილას ხეები ამოვა ფულითო. ვმარხავდით. მერე ძალიან მიკვირდა, რატომ არ იყო არც ხე და არც ფული...

სკოლა ისე დავამთავრე, არ ვეწეოდი. „ვგიკში“ ვსწავლობდი. სოხუმში ვიყავით მამაჩემის მეგობართან, აფხაზეთის ოლქის მდივან

*„კითხვა მიყვარდა, მაგრამ სკოლის წიგნებს არ ვკითხულობდი. უზრდელი არ ვყოფილვარ, მაგრამ ხულიგანი ვიყავი. მთელი ჩემი სამეგობრო ასეთი იყო“*

*„მამა მეუბნებოდა, მე მაკარონკო არ ვარ და არ ვიცი, როგორ უნდა გაგზარდოო, მიყურე და ისწავლე, რა არის კარგი და რა ცუდი, ნახე, როგორ ვცხოვრობო“*

*„მამასთან განსაკუთრებული ურთიერთობა მქონდა. ბუნებით ძალიან მკაცრი კაცი იყო, მე ერთადერთი ვიყავი, ვისთანაც სიმკაცრეს ვერ იჩენდა“*

ბორია ადლეიბასთან. რესტორან „მერხეულში“ ვისხედით. ყოველ 15 წუთში ვდგებოდი და მოსაწევად გავდიოდი. ეს ის დროა, „მარლბორო“ მარტო ცეკას ბუფეტში რომ იყიდებოდა. მამამ, კარგი რა წაიღე ტვინი, წესიერი სიგარეტი მაინც მოწიე, რომ იხრჩობი მაგ „კოლხეთითო“. მას მერე დავიწყე მოწევა.

მამასთან განსაკუთრებული ურთიერთობა მქონდა. ბუნებით ძალიან მკაცრი კაცი იყო, მაგრამ მე ერთადერთი ვიყავი, ვისთანაც სიმკაცრეს ვერ იჩენდა. მამას „ლიუბიმჩიკი“ ვიყავი, როგორც თვითონ ამბობდა... ჯერ ერთი, ერთ რიცხვში — 23 მარტს ვართ დაბადებული ორივე, მერე ორივე მსახიობები ვიყავით, მესამე და ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ძალიან ვუყვარდი.

მამა იუმორით სავსე კაცი იყო. ბოლო წამამდე მხნედ იყო. ბოლო დღეებშიც კი ახერხებდა ღადაობას... იქ ვიყავი, რამდენჯერმე კი მომიწია თბილისში ჩამოსვლამ, ბოლოს ჩამოვედი სპექტაკლზე, მამა მესამე დღეს გარდაიცვალა. ზურამ დამირეკა — ჩემმა ძმამ...

მშვენიერი იყო ჩემი სტუდენტობის წლები. „ვგიკში“ ცოტა ხანს ვისწავლე, ჩემი ოსტატი — რეჟისორი იურა ჩილუკინი გარდაიცვალა და მის შემდეგ აღარ მომინდა იქ გაჩერება.

საერთო საცხოვრებელში არ მიცხოვრია, მაგრამ 24 საათს იქ ვიყავი. ყველაფერი მომწონდა იქ — სტუდენტური ცხოვრება, გოგონები...

მოსკოვში თვე-ნახევრიანი „გადატრიალება“ მქონდა, როცა ვამბობდი, ექიმი უნდა გავხდე-მეთქი. ჩემი მეგობარი და მეზობელი იყო მოსკოვში ავთო გოგლიძე, ქირურგი. პირველად მასთან ერთად დავრჩი მორიგეობაზე. დავბრუნდი, მამასთან შევედი და ვუთხარი, ქირურგი უნდა გავხდე-მეთქი. მიყურა და მერე ისტერიკული სიცილი აუტყდა... შვიდ-რვა ოპერაციას დავესწარი. პირველად ტაქსის მძღოლი მოიყვანეს დაჭრილი, ზურგში ჰქონდა ჩარტყმული. ავთომ, ვნახოთ, რა სიღრმის ჭრილობააო. თითი ჩაყო. ცუდად გავხდი... გამოვიარე... სარკეში რომ ჩავიხედე, დავინახე თეთრ ხალათსა და ქუდში თეთრი რაღაც ორი შავი ლაქით. ეს მე ვიყავი... მერე დახმარებაც კი შემეძლო, ისე მივეჩვიე...

ჩვენთან შინ ბევრი ცნობილი ადამიანი მოდიოდა, არტისტები, პოლიტიკოსები, სამართალდამცავებიც კი... მამა კომუნიკაბელური იყო და ყველასთან ადვილად მეგობრობდა, ვინც ღირსი იყო — შავ სამყაროსთანაც და გენპროკურორთანაც...

მამას წარსული ცხოვრება იყო შავ სამყაროსთან სერიოზულად გადაჯაჭვული...

მამა მეუბნებოდა, მე მაკარენკო არ ვარ და არ ვიცი, როგორ უნდა გაგზარდოო, მიყურე და ისწავლე, რა არის კარგი და რა ცუდი, ნახე, როგორ ვცხოვრობო... ვიჯექი კიდეც მის მანქანაში დილიდან საღამომდე.

საერთოდ, ძალიან საინტერესო წინაპრები მყავდა. დედის მამა — გოგი მანჯავიძე წითელი პარტიზანი იყო. ვოროშილოვის ნაჩუქარი მაუზერით დარბოდა.

ბებია პოლონელი იყო — ნატალია მიხაილოვნა. 16 წლის ყოფილა, ბაბუას რომ უნახავს... დედაჩემი ოდესაში გაჩნდა. ექვსი თვის იყო, თბილისში რომ ჩამოიყვანეს. მატარებლით მოდიოდნენ. მაშინ ყაჩაღობა იყო. ცნობილი იყო ამ საქმეში ბატკა მახნო — საშინელი კაცი. გააჩერა ეშელონი. კუპეში ბებია იყო ბავშვით და ბაბუას ადიუტანტი... ბატკა მახნომ რომ შეიხედა, იცნო ბებია და უთხრა:

— პრაშუ პრაშჩენიე, მადამ გოგი...

დახურა კუპის კარი და გაატარეთ მატარებელიო, — ბრძანა. არ ვიცი, საიდან არის ცნობილი, მერე რა უთხრა მახნომ თავისიანს — გოგისთან ჭიდაობის თავი არ მაქვსო. ეგეთი ბაბუა მყავდა...

მამაჩემის მამაც მაგარი იყო — მიშა გომიაშვილი იყო ისიც... მამაჩემმა კი ყველას გადაუჯოკრა. 14 წელიწადი ჰქონდა ციხეში გატარებული, ოთხჯერ მოიხადა სასჯელი. რისთვის? აფერისტობისა და ქათმის მოპარვისთვის არ იჯდებოდა...

*„სპექტაკლის ტექსტი მთელი ცხოვრება აღარ მავიწყდება. პირველად რომ როლი ვითამაშე 30 წლის წინ, ღამით რომ გამაღვიძოთ, იმ ტექსტსაც კი გეტყვით“*

*„მეტეხში რომ იყო თეატრი, ამას ვგრძნობდით, ცხადია... როცა მივიჩნიეთ, რომ დრო იყო, საპატრიარქოსთვის გადაგვეცა ტაძარი, ერთ ღამეში გამოვედით მთავრობასთან შეუთანხმებლად და ეკლესია შევიდა...“*

ციხეში სანახავად თუ ვყოფილვარ? არა... ჩემი ძმა რომ გაჩნდა, მაშინ ბოლო სასჯელს იხდიდა. მე რომ გავჩნდი, მაშინ დამთავრებული ჰქონდა სასჯელების მოხდა. საქართველოში მჟავანაძე იყო, რომელსაც მამა უყვარდა ძალიან, ამიტომ დამსახურებული არტისტობაც მისცა და სახალხო არტისტობაც.

ინსტიტუტი დავამთავრე, არავინ მეპატიჟებოდა, მაგრამ წავედი მეტეხის თეატრში. მაშინ თეატრიდან ინსტიტუტში მოდიოდა მოთხოვნა, იყო სხვა თეატრებიდან მოთხოვნა და არ იყო მეტეხის თეატრიდან. ამიტომაც წავედი იქ. ჩემთან ქაღალდით საუბარი არ ჭრის... პირდაპირ უნდა მელაპარაკოს, ვისაც უნდა.

მეტეხის თეატრში ძალიან კარგი ხალხი დამხვდა. ეს იყო სანდრო მრევლიშვილი, ბიჭები, რომელთაგანაც რამდენიმე ცოცხალი აღარ არის, ჩემთვის მძიმეა მათზე საუბარი. ამ წლებში იყო გასტროლები, დროს ტარება, ქეიფი...

მეტეხში რომ იყო თეატრი, ამას ვგრძნობდით, ცხადია. იქ არ ვწეოდით, უწმაწურ სიტყვებს არ ვხმარობდით... მეტეხში ჯერ ციხე იყო, მერე სახელოსნო, საწყობები. თეატრი ჩემამდე გახსნეს. ჩვენმა ბიჭებმა გაწმინდეს იქაურობა. მერე, როცა მივიჩნიეთ, რომ დრო იყო, საპატრიარქოსთვის გადაგვეცა ტაძარი, ერთ ღამეში გამოვედით მთავრობასთან შეუთანხმებლად და ეკლესია შევიდა... დილით რომ გაიღვიძა კომუნისტურმა მთავრობამ, იქ უკვე ეკლესია იყო. ის სამი ზარი, ახლა რომ ჰკიდია ეზოში, ჩემი ხელით დავკიდე, ჯაჭვი კი შინიდან მივიტანე...

ძალიან მიყვარს მცენარეები, დამირგავს და მომივლია კიდეც... მიყვარს სახლის აშენება და მიშენებია კიდეც... ხომ არ ვფიქრობ, რომ არქიტექტორობა აჯობებდა? არა, თავიდანვე ვიცოდი, რომ მსახიობი ვიქნებოდი და ახლაც ვფიქრობ, რომ სწორად ვფიქრობდი...

ძაღლი ყოველთვის მყავდა. ბოლოს მყავდა შუააზიური ნაგაზი — დიდი ძაღლი იყო, ცუცას ვეძახდი. რომ დავუძახებდი ცუცას, ყველას ეგონა, პატარა ძაღლი შემოვიდოდა, არადა, გამოჩნდებოდა უზარმაზარი... მერე დაემართა მენინგიტი. ერთ თვეს დამყავდა ექიმთან. თან ის ექიმი იყო თემქაზე, XVI სართულზე. არ მუშაობდა ლიფტი. ძაღლი ვერ დადიოდა და ამიტომ ყოველდღე ხელით ამყავდა და ჩამომყავდა... არ მეუბნებოდნენ, რომ ვერ გადარჩებოდა? მერე რა, რომ მე-

უბნებოდნენ, ექიმთან მაინც წავიყვანდი, პატარა იმედი მქონდა... მერე თემურ ჩხეიძესთან ვიყავი რეპეტიციაზე, რომ დამირეკეს, წრეზე დაიწყო სიარულიო... ეს ბოლო წუთები იყო.

მდიდარი მამის შვილი ვარ? ჩემთვის აბსოლუტურად სულერთია სიმდიდრე. მატერიალურის გამო დიდი გარდაქმნები მათ ფსიქოლოგიაში ხდება, ვინც უცბად მდიდრდება... არ მიკვირს, მაგრამ არ მესმის ამ გამდიდრებული ხალხის დამოკიდებულება... დაახლოებით ისეთი, უცხოეთში რომ ჩავლენ ორი თვით და დაბრუნებულებს ქართული სიტყვები ავიწყდებათ — ამერიკელები ხდებიან. ასე ემართებათ, ფულს რომ შოულობენ მაშინაც... მე ფუფუნებაში არ გავზრდილვარ, ოჯახში გავიზარდე, თბილისში... ამიტომ სხვას არასოდეს დავუწყებ ზემოდან ყურებას. დღეს მაქვს, ხვალ — არ მაქვს... მერე რა... რატომ უნდა მქონდეს ბევრი ფული, ბიზნესმენი არ ვარ და... მემკვიდრეობა მაქვს? მემკვიდრეობა მართლაც დიდი მაქვს — მსახიობობა, ადამიანობა, თბილისელობა... ამაზე დიდი მემკვიდრეობა არ არსებობს.

თურმე სპექტაკლის გაცდენა შემიძლია? ჰო, ასეა. ერთხელ მივედი და ოთარ მელვინეთუხუცესს ვუთხარი, დღეს რაღაც კარგად ვერ ვარ და სპექტაკლზე ვერ მოვალ, ვერ ვითამაშებ-მეთქი. მართლა არ მივედი. გამაგდო თეატრიდან...

აფხაზეთში ომის დროს ვყოფილვარ? ვიყავი. გახსენებაც არ მინდა. თქვენთვის ძნელი წარმოსადგენია, როგორი ვარ იარაღით ხელში? — ჩემთვისაც.

დეპრესიაში ვიყავი, როცა სამაჩაბლოში ომი იყო... 1993 წელს დეპრესიაში არ ვყოფილვარ...

საშინელი მოხუცებულობა მექნება, თუ მივაღწიე იქამდე. მყრალი ბებერი ვიქნები, იმიტომ რომ საშინელი ხასიათი მაქვს. ალბათ, ყველაფერთან პრეტენზია მექნება, ვიჭაჭყანებ... ახლაც არ მაქვს შოკოლადის ხასიათი, ჩქარა მეცვლება განწყობა, ძალიან მომთხოვნი ვარ. ადამიანისგან ვითხოვ იმას, რასაც გავცემ, როცა ვერ ვიღებ, მერე იწყება კონფლიქტი... ეს ხასიათიც მამისგან მაქვს. არაფერს არ ვინანებ არასოდეს, იმიტომაც ვარ მე, რომ ასე ვცხოვრობ, ალბათ მერეც ასე ვიცხოვრებ...

**ლელა ჯიყაშვილი**

*„მდიდარი მამის შვილი ვარ? ჩემთვის სულერთია სიმდიდრე... ოჯახში გავიზარდე, თბილისში... დღეს მაქვს, ხვალ — არ მაქვს, მერე რა...“*

# თომა ჩაგელიშვილი:

# ამ რუბრიკის სტუმრობა ადვილი საქმე არ არის...

*როცა საქმე პროფესიულ არჩევანზე მიდგა, საკუთარ თავთან არ უკამათია... მიუხედავად იმისა, რომ დედა ექიმობას ურჩევდა, ხოლო მამა — იურისტობას, ისტორიით გატაცებულს მხოლოდ ერთხელ გაუელვა აზრმა, — რეჟისორი ხომ არ გავხდეო... ბოლოს ისტორიის სიყვარულმა, დიდმა ინტერესმა გადასძალა. დღეს მიიჩნევს, რომ სწორი ნაბიჯი გადადგა. ისტორიული დოკუმენტების გაცნობა, წარსულის ძიება და მატიანეებში ქექვა მისი საყვარელი საქმეა, რომელსაც სიამოვნებით ემსახურება. იღებს დოკუმენტურ ფილმებს და წინ დიდი გეგმები აქვს. ჩემი რესპონდენტი თომა ჩაგელიშვილი გახლავთ.*

**— თომა, ისტორიისადმი ინტერესი როდის გაგიჩნდათ?**

— რაც თავი მახსოვს. პირველი შთაბეჭდილება იაკობ გოგებაშვილის „ერეკლე მეფე და ინგილო ქალიდან“ მოდის. მას შემდეგ ისტორიით ვარსებობ. თუმცა ერთი „მინუსი“ მაქვს, კარგი მეხსიერებით ვერ დავიკვეხნი. არ გეგონოთ, რადგან „ერუდიტის“ სტუმარი ვარ, წინასწარ თავს ვიმართლებ. შეიძლება ორი წლის შემდეგ ჩემივე ფილმს როგორც ახალს, ისე ვუცქირო. ახლახან დავამთავრე მუშაობა დოკუმენტურ ფილმზე „გრემი“. გრემი 150 წლის განმავლობაში (XV საუკუნის მეორე ნახევრიდან XVI საუკუნის ჩათვლით) კახეთის დედაქალაქი იყო. ის შაჰ-აბასმა ლაშქრობების დროს დაანგრია. გრემის ისტორიაზე მუშაობა ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო...

**— კითხვარზე გადავიდეთ?**

— ეს იქნება ყველაზე საშინელი წუთები ჩემს ცხოვრებაში (*იცინის*). ამ რუბრიკის სტუმრობა ადვილი საქმე არ არის.

**— „მამაცობაზედ ნაქებია ყოველს საქართველოს მეფეთა და თავადთა ზედა, ძველით ახლებამდისინ, თვით კარგი სარდალი იყო და მერე გულოვანი, უხვი და უშურველი, მსმეველ-მჭმეველი, ცხენოსან-ცეროსანი, ომში კოხტა და უშიშარი, მაგარი ქრისტიანი“, — ასე დაახასიათა XVII საუკუნის ისტორიკოსმა ფარსადან გორგიჯანიძემ ქართველი მეფე. დაასახელეთ იგი?**

— მინიშნებას ვერ მეტყვით?

**— ის 1527-1556 წლებში მეფობდა. ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს სასიკვდილოდ დაიჭრა.**

— მივხვდი, ლუარსაბ I-ზეა ლაპარაკი.

**— რომელ ქვეყანაში მოღვაწეობდა ფარსადან გორგიჯანიძე?**

— საქართველოში.

**— ცდებით.**

— (*ფიქრობს*) მართალია, მგონი ირანში იყო, ზუსტად აღარ მახსოვს.

**— ირანში როსტომ მეფის კარზე იზრდებოდა, როსტომის ქართლში გამეფების შემდეგ, ფარსადანი ასრულებდა ირანში მის მოვალეობას, ისპაჰანის მოურავი იყო. მის კალამს ეკუთვნის საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან 1696 წლამდე.**

— საინტერესოა, მის შესახებ ამდენი არ ვიცოდი.

**— არსებობს ვერსია, რომ დავით IV-ს აღმაშენებელი მან უწოდა. შემდეგ კითხვაზე გადავიდეთ. ერთიანი საქართველოს რომელი მეფე აღიკვეცა ბერად დავით-გარეჯის მონასტერში 1155 წელს დამიანეს სახელით?**

— დემეტრე I. ბერად აღკვეცის შემდეგ შექმნა ცნობილი საგალობელი „შენ ხარ ვენახი“.

**— ვის მიუძღვნა იგი?**

— მარიამ ღვთისმშობელს.

**— დღეს ეს სიტყვა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში პოლიციელთა მეტსახელია, ხოლო**

**წარსულში მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს მეფეთა ტიტული იყო.**

— ფარაონი.

**— ბიბლიის მიხედვით, რომელ ქალაქში გაატარა ბავშვობა იესო ქრისტემ?**

— ნაზარეთში.

**— რა ბედი ეწია საფრანგეთის უკანასკნელ მეფეს, ლუდოვიკო XVI-ს?**

— გილიოტინაზე აიყვანეს.

**— რა პროფესიისა იყო ჯოზეფ-ინიას გილიოტინი?**

— თუ არ ვცდები, ექიმი იყო.

**— ექიმი და პოლიტიკური მოღვაწე იყო. რომელმა რომაელმა იმპერატორმა უბოძა საკუთარ ცხენს კონსულობა?**

— ნერონმა.

**— დაფიქრდით.**

— მაპატიეთ, არასწორად გიპასუხეთ, ასე კალიგულამ გააკეთა, დაძაბული ვარ.

**— ნუ ნერვიულობთ, კარგად დაიწყეთ. გადმოცემით, რომელიც „ქართლის ცხოვრებაშია“ დაცული, მდინარეების ნაპირზე დაბანაკებული ლაშქარი წყალდიდობის მსხვერპლი გახდა. ერთმა მდინარემ არაბთა ჯარში მყოფი 23 000 აბაში (აბასინელი) წალეკა, ხოლო მეორემ — 35 000 ცხენი დაახრჩო. რას ვუწოდებთ დღეს ამ მდინარეებს?**

— ცხენისწყალი და აბაშისწყალი.

**— ის ცნობილი ქართველი მწიგნობარი, მესტამბე, პოლიტიკური და საეკლესიო მოღვაწე იყო. სამშობლოდან გაიტაცეს და კონსტანტინოპოლს მონად გაყიდული ვლახეთში მოხვდა. სინას მთას მიმავალი, 1716 წელს გზაში მოკლეს. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა რუმინეთში. ვისზეა ლაპარაკი?**

— ვერ გიპასუხებთ.

**— ანთიმოზ ივერიელზე.**

— ვაა!!! ეს როგორ ვერ გავიხსენე.

**— სიქსტის კაპელაში, საკურთხევლის კედელზე, არის განთქმული კომპოზიცია, რომელიც 1536-1541 წლებში შეიქმნა. მას „განკითხვის დღე“ ჰქვია და ბიბლიურ სიუჟეტს გადმოგვცემს. ვინ არის მისი ავტორი?**

— მიქელანჯელო ბუანაროტი.

**— გადმოცემის მიხედვით, როდესაც რომაელებს პიროსთან ომის დროს ფული დააკლდათ, ქალღმერთმა იუნონამ შესთავაზა ზარაფხანა მის ტაძარში გაემართათ. რა ეწოდებოდა ამ ტაძარში მოჭრილ ფულს?**

— ვერ ვიხსენებ.

**— იუნონას მეტსახელი moneo იყო.**

— გასაგებია (*იცინის*), ძალიან კარგი მინიშნება მითხარით.

**— მინიშნება გითხარით, მაგრამ მაინც არ მპასუხობთ.**

— მონეტა.

**— „ლექსო ამოგთქომ ოხერო, / თორო იქნება ვკვდებოდე / და შენ კი ჩემდა სახსოვრად, / სააქაოსა რჩებოდე“... დაასახელეთ ამ სტროფის ავტორი.**

— მიხა ხელაშვილი იგი 25 წლის ასაკში ბოლშევიკებმა მოკლეს, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი იყო.

**— 1783 წლის 24 ივლისს ციხესიმაგრე გეორგიევსკში გაფორმდა სამოკავშირეო ხელშეკრულება რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის. ვინ აწერდა ხელს საქართველოსა და რუსეთის მხრიდან?**

— საქართველოდან ხელს გარსევან ჭავჭავაძე და იოანე ბაგრატიონი აწერდნენ, ხოლო რუსეთიდან — გენერალი პავლე პოტიომკინი.

**— ნათლობის გარდა კიდევ როდის სცხებენ მირონს ადამიანს?**

— (*ფიქრობს*) ვერ ვიხსენებ.

**— მიგანიშნებთ, ეს ყველა ადამიანის ხვედრი არ არის.**

— როცა საეკლესიო ცხოვრებას იწყებს, არა?

**— ცდებით, ადამიანს მეორედ მირონს მეფედ კურთხევის დროს სცხებენ.**

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა (*იცინის*), ხომ გითხარით, კარგი მეხსიერებით არ გამოვირჩევი-მეთქი.

**— „იგი მამაცად არ იწოდება, ვინც ხმალშემართული წინდაწინ ბრძოლის დასასრულზე ფიქრობს“. ვის ხმალზე იყო ამოტვიფრული ეს სიტყვები?**

— არ ვიცი.

**— შამილის. რომელ ბრძოლაში დაიღუპა ადმირალი ნელსონი?**

— ტრაფალგარის კონცხთან, ესპანელები დაამარცხა, მაგრამ მძიმედ დაიჭრა და გარდაიცვალა.

**— რომელი დინასტიიდან იყო ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი კლეოპატრა?**

— პტოლომეთა დინასტიიდან.

**— 1700 წლის 19 ნოემბერს ნარვასთან ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა მეომარი, რომელიც პეტრე I-მა მოწინააღმდეგეს ერთი ტონა ოქრო შესთავაზა. ვინ იყო ის მეომარი?**

— დავაზუსტებ, ქართველი იყო?

**— დიახ.**

— ალექსანდრე ბაგრატიონი.

**— რა ეწოდებოდა გელათის აკადემიის ხელმძღვანელს?**

— რექტორი.

**— სწორი პასუხია — მოძღვართ-მოძღვარი. ქაშუეთის ეკლესიაში დასვენებულ რომელი მწერლის ცხედარს ეფინა შუბლზე მუხის ფოთოლი?**

— ილია ჭავჭავაძის.

**— მირიან მეფე, ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი, დემეტრე II — ჩამოთვლილთაგან, რომელი მეფე არ იყო ქრისტიანი?**

— ფარნავაზი.

**— აშშ-ის პრეზიდენტებიდან რომელი იყო მსახიობი?**

— რონალდ რეიგანი.

**— რა რეაქცია ჰქონდა ხრუშჩოვს, როდესაც 1960 წელს ფილიპინელმა ლორენცო სუმულონგმა საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ ევროპის დეკოლონიზაცია შესთავაზა?**

— ფეხსაცმელი გაიხადა და მაგიდაზე ბრახუნი დაიწყო.

**— რომელი მეფის მამასა და შვილს ერქვა ბაგრატი?**

— გიორგი I-ის.

**— რა ერქვა მეფის რუსეთში დეპუტატის გასამრჯელოს?**

— არ ვიცი, ალბათ ხელფასი.

**— დიეტა ერქვა.**

*„ისტორიისადმი ინტერესი მაქვს, რაც თავი მახსოვს. პირველი შთაბეჭდილება იაკობ გოგებაშვილის „ერეკლე მეფე და ინგილო ქალიდან“ მოდის. მას შემდეგ ისტორიით ვარსებობ“.*

— (*იცინის*) მართლა? რა საინტერესოა.

**— დაალაგეთ დიპლომატიური რანგები: ატაშე, ელჩი, დესპანი.**

— ატაშე, დესპანი, ელჩი.

**— რომელი იყო შაჰ-აბას I-ის სატახტო ქალაქი?**

— ისპაჰანი.

**— რა უწოდა მემატიანემ XI საუკუნის 80-იან წლებში მტრის განუწყვეტლივ შემოსევებს?**

— დიდი თურქობა.

**— ვისი სიტყვებია „სახელმწიფო — ეს მე ვარ“?**

— ლუდოვიკო XIV-ის, ამ სიტყვებს მაშინ ამბობდა, როცა სურდა, საკუთარი თავი კანონზე მაღლა დაეყენებინა.

**— რომელი მოციქული მოკლეს ლოცვის დროს ისრის სროლით?**

— თომა.

**— რომელი შტატი იყიდა ამერიკამ რუსეთისგან?**

— ალასკა.

**— რა საკითხს მიუძღვნა ილია ჭავჭავაძემ 1871 წელს დაწერილი პუბლიცისტური წერილი „გამოცანები“?**

— მამათა და შვილთა ბრძოლას.

**— რომელი ქართველი მეფე იყო სტუმრად რომის იმპერატორ ანტონიო პიუსთან?**

— ფარსმან II.

**— ერეკლე II, დავით აღმაშენებელი, ვახტანგ გორგასალი — ჩამოთვლილთაგან რომელი მეფის ძეგლი არ დგას თბილისში?**

— ერეკლე II-ის.

**— დაასრულეთ ევრიპიდეს ცნობილი გამონათქვამი — „სამი რამ ყოველთვის უნდა ახსოვდეს ხელმწიფეს: ერთი, რომ იგი მმართველია ერისა, მეორე — კანონისა და სამართლის თანახმად უნდა მართავდეს და მესამე — მმართველობა მისი...“**

— ვერ დავასრულებ.

**— „...მმართველობა მისი საუკუნო არ არის“.**

**თამარ კვინიკაძე**

# რომაული ჩაცმულობა

**130** **რომაელთა ტანსაცმელი არ იკერებოდა.** ქალებსა და მამაკაცებს გრძელი ქსოვილი მთელ სხეულზე ჰქონდათ შემოხვეული და ქინძისთავებით, ბროშებით ან ქამრებით დამაგრებული. ქალების უმეტესობას ეცვა თხელი პერანგი — ტუნიკა, უსახელო გრძელი კაბა — სტოლა და სქელი მოსასხამი — პალა. მამაკაცებს ეცვათ მუხლამდე დაშვებული უსახელო ტუნიკა — იგივე კოლობიუმი, ზემოდან კი მოსხმული ჰქონდათ ტოგა.

▲ **მეწამული სამოსის ტარება მხოლოდ მდიდრებს შეეძლოთ. რომაელი სენატორების ტოგას მეწამული ზოლი დაჰყვებოდა.**

▼ **რომაელებს, შეძლებისა და მდგომარეობის მიუხედავად, ძალიან უყვარდათ მუსიკის მოსმენა.**

**131** **რომაელთა ტანსაცმელი ერთმანეთისგან იმის მიხედვით განსხვავდებოდა, თუ რამდენად მნიშვნელოვან პერსონას ეცვა იგი.** რიგით მოქალაქეებს სადა, თეთრი ტოგები ემოსათ; მთავრობის წარმომადგენლებს, რომლებსაც სენატორებს უწოდებდნენ, — მეწამულზოლიანი ტოგები, რომლის ერთი ბოლო მარცხენა მხარზე ჰქონდათ გადადებული, მეორე კი მარჯვენა ხელზე. მდიდარ მამაკაცებსა და ქალებს ძვირფასი შალის ან აბრეშუმის ტანსაცმელი ეცვათ, უბრალო მოქალაქეებს კი უხეში ქსოვილის.

**132** **ტანსაცმელი მისი პატრონის სადაურობასაც მიანიშნებდა.** რომაელთა მიერ დაპყრობილ მიწებზე სხვადასხვა კულტურისა და რასის ადამიანები ცხოვრობდნენ და განსხვავებული სტილის სამოსი ეცვათ. მაგალითად, ეგვიპტელი მამაკაცები პარიკებს ატარებდნენ და ტილოს გრძელ ქსოვილს თეძოზე იხვევდნენ, ჩრდილოეთ ევროპაში კელტ ქალებს მატყლის კუბოკრული შალი ჰქონდათ მოსხმული, მამაკაცებს კი განიერი შარვლები ეცვათ.

**▼ რომაული სანდლების ლანჩები ლურსმნებით იყო დაჭედილი, დიდხანს რომ არ გაცვეთილიყო.**



## ჩაიცვი რომაელივით!

შეგიძლია შენც ჩაიცვა ტოგა!
აიღე ზეწარი ან პლედი და ქვემოთ მოყვანილი მითითებები შეასრულე!

ზეწარი თეთრი უნდა იყოს, რადგან რომაელები ამ ფერს ამჯობინებდნენ.

ზეწრის ერთი ბოლო მარცხენა მხარზე გადმოიფინე, დარჩენილი ნაწილი კი ზურგზე მოისხი.

ზეწრის მეორე ბოლო გადმოიტანე სხეულის წინ, ისე, რომ შიგ გაეხვიო. ახლა უკვე თითქმის რომაელი ხარ!

დასასრულ, ზეწრის მეორე ბოლო მარჯვენა ხელზე გადაიდე, და რომაული ტოგაც მზად არის!

**133** **რომაული ფეხსაცმელი ფეხით მოსიარულეთათვის იყო განკუთვნილი.** ჯარისკაცები და მოგზაურები იცვამდნენ ყაითნიან ფეხსაცმელს, რომლის ტყავის ძირი ლურსმნებით იყო დაჭედილი. სახლში სატარებლად რომაელები ფლოსტებს ამჯობინებდნენ. გლეხებს ეცვათ ხარის ტყავის სანდლები, რომლებსაც კოჭებზე თასმებით იმაგრებდნენ და მათ კარბატინები ეწოდებოდა. ყველა რომაული ფეხსაცმელი ღია იყო, მხოლოდ მოგვიანებით დაიწყეს დიდგვაროვნებმა დახურული ფეხსაცმლისა და ჩექმის ჩაცმა.

© Miles Kelly © გამომცემლობა პალიტრა L, 2012

# გარეგნობაზე ზრუნვა

**134** **ვარცხნილობა მოდის მიხედვით იცვლებოდა.** თავისუფალი ქალები გრძელ თმას ატარებდნენ, რადგან მოკლედ შეჭრილი მონობის ნიშანი იყო. მოგვიანებით ქალების უმეტესობა კისერთან მჭიდროდ შეკრულ, გადატკეცილ თმას ატარებდა. რომაელ მამაკაცებს მოკლე თმა ჰქონდათ და სუფთად გაპარსული პირი, თუ, რა თქმა უნდა, მოხუცები არ იყვნენ.

◄ **მდიდარი ქალები დიდ დროს უთმობდნენ თმის მოვლას. სპილოს ძვლისგან დამზადებული თმის სარჭები სხვადასხვა ვარცხნილობისთვის გამოიყენებოდა.**

**135** **რომაელები სახის კანს გულმოდგინედ უვლიდნენ.** მოდური იყო ფერმკრთალი, გლუვი კანი. ქალები და მამაკაცები ლაქების დასაფარავად სახეზე იწებებდნენ ქსოვილისგან მრგვალად გამოჭრილ პაწაწინა წრეებს, რომელსაც „სპლენია“ ეწოდებოდა, და უამრავ კოსმეტიკურ საშუალებასაც მიმართავდნენ. სახის პუდრად იყენებდნენ დაფქულ ცარცს ან ტყვიის თეთრას, ღაწვების შესაფაკლად — ოხრას, პომადად — მცენარის წვენს, ხოლო თვალის კონტურისთვის — ნაცარსა და სურმას.

**136 ქერა თმა დიდად ფასობდა.** რომაელთა უმეტესობას მუქი წაბლისფერი თმა ჰქონდა. ბევრს აღფრთოვანებდა ქერა თმა, რადგან ის იშვიათი ხილი გახლდათ. რომაელი ქალები თმის გასაუფერულებლად იყენებდნენ ძმარსა და თუთქს (საპნის ადრეული სახეობა, რომელსაც შარდისა და ნაცრისგან ამზადებდნენ).

**137 დალაქთან სტუმრობა შესაძლოა მტკივნეულიც ყოფილიყო.** მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მაკრატლები და სამართებლები. თმის შესაკრეჭად და წვერის გასაპარსად დალაქები გალესილ ქვას, ძირითადად, კაჟს, მოგვიანებით კი ბრინჯაოს იყენებდნენ. როცა მოდაში სუფთად გაპარსვა შემოვიდა, დალაქები იძულებული შეიქნენ, მამაკაცებისთვის წვერი ღერა-ღერა ამოეგლიჯათ!

**უპასუხე კითხვებს**

**თუ რომაელივით ჩაცმა დაგჭირდება, როგორ სამოსს აირჩევ? გამოიყენე ამ და წინა გვერდზე მოყვანილი ინფორმაცია, რათა დაგეხმაროს იმ სამოსის დახატვაში, რომლის ჩაცმასაც მოისურვებ. როგორ ვარცხნილობას გაიკეთებდი? მდიდარი მმართველი გინდა იყო თუ კელტი მეომარი ან ჯარისკაცი?**

**138 რომაელებს მოსწონდათ სასიამოვნო სურნელი.** კანის გასასუფთავებლად და დასარბილებლად ზეითუნის ზეთს იყენებდნენ და სუნამოს იპკურებდნენ. სუნამოს დასამზადებელი ინგრედიენტები სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოჰქონდათ: სამხრეთ ევროპიდან შემოდიოდა ყვავილები, სანელებლები — ინდოეთსა და აფრიკიდან, ხოლო სურნელოვანი ფისი და ძვირფასი მერქანი — არაბეთიდან.

**139 რომში საკარცხელს სხვადასხვა ცხოველის (მათ შორის სპილოს) ძვლის ან ძვირფასი ხისგან ამზადებდნენ.** საკარცხელს ხვეული თმის გასასწორებლად, ზოგჯერ კი ვარცხნილობის სამშვენისადაც იყენებდნენ. წვრილკბილა საკარცხელს კი სხვა, ნაკლებად სასიამოვნო დანიშნულებაც ჰქონდა — მკბენარის მოსაცილებლად ხმარობდნენ.

# აბანოები

**140 რომაელები საზოგადოებრივ აბანოებში დასასვენებლად დადიოდნენ.** ეს უზარმაზარი შენობები არა მარტო დასაბანი, არამედ საზოგადოების თავშეყრის ადგილიც იყო. აბანოებში, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ფიტნეს-ცენტრებში, ერთმანეთს ხვდებოდნენ მეგობრები. აქ შეეძლოთ ეჭიდავათ, გაეკეთებინათ მასაჟი, გაეკრიჭათ თმა, ეკითხათ წიგნი, წაეხემსებინათ ან დამტკბარიყვნენ ხელოვნების ნიმუშებით, რომლებიც იქვე, ქანდაკებათა გალერეაში იყო გამოფენილი. იქვე იყიდებოდა ნელსაცხებლები და სუნამოები.



◄ თითქმის ყველა უბანში იყო საზოგადოებრივი აბანო. მათ იმპერატორები ან მდიდარი ოჯახები აშენებდნენ და რომის მოქალაქეებს ჩუქნიდნენ. საუკეთესო იყო კარაკალას აბანოები (დაახლოებით 215 წ.), სადაც ერთდროულად 1600 კაცს შეეძლო დაებანა.

**141** **ქალები და მამაკაცები ცალ-ცალკე ბანაობდნენ.** ქალები აბანოში დილაობით დადიოდნენ, როცა მამაკაცები სამუშაოდ იყვნენ წასული. მამაკაცები კი აბანოში ნაშუადღევს მიდიოდნენ.

**დაუჯერებელია!**
**მართალია, რომაელებს ძალიან უყვარდათ ბანაობა, მაგრამ მხოლოდ ცხრა დღეში ერთხელ მიდიოდნენ აბანოში!**




◄ **რომაულ აბანოში ბანაობა ხუთ სხვადასხვა სტადიას მოიცავდა, რაც აბანოს შენობის სხვადასხვა ადგილას ხდებოდა**

**142** **ბანაობა მარტივი არ ყოფილა.** მობანავე ხუთ სხვადასხვა აუზში იბანდა: ტანსაცმლის გახდის შემდეგ შედიოდა ცხელ ოთახში, ანუ ორთქლის აბანოში, სადაც მცირე ხანს დაჰყოფდა ხოლმე; მერე გადაინაცვლებდა ცხელ, მშრალ ოთახში, სადაც მონა საფხეკითა და ზეითუნის ზეთით ჭუჭყს მოაცილებდა. შემდეგ ასევე ცოტა ხნით გრილწყლიან აუზში ჩაიყურყუმელავებდა, მერე კი ნელთბილში გადაინაცვლებდა. სულ ბოლოს ცივწყლიან აუზში ჩახტებოდა.

# გართობა

**143** **რომაელებს უყვარდათ მუსიკა და ცეკვა.** მოხეტიალე მუსიკოსები ქუჩებში და ზოგჯერ წვეულებებზეც უკრავდნენ. უბრალო ხალხის საყვარელი ინსტრუმენტები იყო სტვირი, ფლეიტა, ციმბალი, კასტანიეტები და საყვირი. მდიდარი და განათლებული მოქალაქეები კი ამ საკრავებს უკადრისობდნენ. დიდგვაროვანები არჩევდნენ ქნარს, რომელიც უფრო ლამაზ ხმას გამოსცემდა. ქნარით ხშირად პოეტებსა და მომღერლებს უწევდნენ აკომპანემენტს.

► მოხეტიალე მუსიკოსები ქუჩაში უკრავენ

▼ რომაულ პიესებში ყველა როლს მამაკაცები ასრულებდნენ. ქალის როლის შემსრულებლებს ნიღბები ეკეთათ და ქალის კაბები ეცვათ. ქალებს მსახიობობა ეკრძალებოდათ, გამონაკლისს მხოლოდ მიმები წარმოადგენდნენ.



**მოქმედების სხვადასხვა ადგილის საჩვენებლად სცენა რთული მექანიზმის მეშვეობით ტრიალებდა.**

**სცენა ანუ „პულპიტუმი“**

**144** **რომაელი თეატრის მოყვარულები ტრაგედიებს კომედიებს ამჯობინებდნენ.** კომედიას ბედნიერი დასასრული ჰქონდა და ეს საზოგადოებას ამხიარულებდა, ტრაგედია კი სულის შემძვრელი სანახაობა იყო. ხალხს ძალიან უყვარდა მიმები — წარმოდგენა, სადაც გამოდიოდნენ აკრობატები და მეფოკუსეები, სიმღერისა და ცეკვის თანხლებით კი წარმოადგენდნენ სატირულ სცენებს ყოველდღიური ცხოვრებიდან.

**145** **წარმოდგენები რელიგიური დღესასწაულების შემადგენელი ნაწილი იყო.** ანტიკურ მითებზე აგებული დრამები, ძირითადად, დიდაქტიკური ხასიათის გახლდათ. მოგვიანებით პიესები ყველანაირ თემაზე იწერებოდა, თვით მიმდინარე მოვლენებზეც. ზოგჯერ პოლიტიკოსები თავად უკვეთდნენ დრამატურგს პიესას, რათა ხალხისთვის თავიანთი ჩანაფიქრი მხატვრულად მიეწოდებინათ. მოქალაქეებს ბილეთებს უფასოდ ურიგებდნენ, რათა მათი გული მოეგოთ და ხმებიც მოეპოვებინათ.

**146** **თეატრს უზარმაზარი, კარგად ნაგები შენობა ეთმობოდა.** ერთ-ერთი ყველაზე კარგად შენახული რომაული თეატრი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, სამხრეთ საფრანგეთში, ორანჟში მდებარეობს. აქ 10 ათასი მაყურებლისთვის იდგა სკამი და ისე იყო დაპროექტებული, რომ აუდიტორიას სულ უკანა რიგებშიც კი კარგად ესმოდა მსახიობის ხმა.

**147** **რომაელ მსახიობებს ნიღბები ეკეთათ.** ნიღბები აუდიტორიას ეხმარებოდა, შორიდანაც კარგად დაენახათ მთავარი გმირების გრძნობები. ხის ნიღბები ფერადი საღებავებით იყო შეფერილი. ნიღბებს ადამიანთან შედარებით დიდი ნაკვთები და გაზვიადებული გამომსახველობა ჰქონდა. ზოგი ბედნიერ ადამიანს გამოსახავდა, ზოგიც შეშინებულსა და ზოგიც ნაღვლიანს.

**148** **რომაელთა საყვარელი გასართობი იყო თამაშები, რომლებიც გაწაფვასა და იღბალს მოითხოვდა.** მოზრდილებიცა და ბავშვებიც ხალისით თამაშობდნენ კამათლებითა და კოჭებით, რაც თითების სწრაფ მოძრაობასა, ბედსა და სხარტ აზროვნებაზე იყო დამოკიდებული. ბავშვები გასართობად თამაშობდნენ, მოზრდილები კი სანაძლეოზე — ვინ მოიგებდა.

**დაუჯერებელია!**

**წარმოდგენებში მხოლოდ მამაკაცები თამაშობდნენ. ზოგიერთი ტელევარსკვლავივით პოპულარული იყო. ქალებს სცენასთან ახლოს ჯდომა აეკრძალებოდათ, თუკი რომელიმე მათგანი ვარსკვლავისთვის პაემანის დანიშვნას შეეცდებოდა.**

შეადგინა ვანო კაჭახიძემ

1 კლდეში ნაკვეთი ქალაქი

2 1118 წლის „ ... ბრძოლა“

3 თურქეთის პრეზიდენტი

4 ისრაელის არმია

5 პალესტინის ისლამური მოძრაობა

6 ძვირფასი ნივთები

7 აპრილის ძვ. ქართული საზელწოდება

8 ქალაქი საქართველოში

9 ქვეითი ჯარის წყობა კვადრატის სახით

10 ლაშქარი

11 ვაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქი

12 ისტორიული მხარე ალმ. საქართველოში

13 ნოეს ერთ-ერთი ვაჟი

14 კოლხეთის მმართველი ძვ.წ. I ს.

15 მთავრის უმაღლესი ტიტული ძვ. ინდოეთში

16 მონარქი

17 სრული მონური დამოკიდებულება

18 პირველი ქალი

19 მოსამართლე მუსლიმებში

20 ძველებური იალქნიანი გემი

21 მდინარე საქართველოში

22 პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი

23 ჩრდილოეთ-ატლანტიკური ალიანსი

24 კიევის ერთ-ერთი დამაარსებელი

25 ფიცარნაგი სიკვდილით დასჯისთვის ძველად

*წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:*
*1. ნობელი; 2. ბედუინი; 3. ვენა; 4. კადაფი; 5. ფინეთი; 6. უგო; 7. ვაშინგტონი; 8. ალბიონი; 9. ნიაგარა; 10. მანილა; 11 გრუმი; 12. სეიმი; 13. სათა; 14. აბისინია; 15. მარკა; 16. ნარა; 17. აითი; 18. ვირჯინია; 19. კანონი; 20. ომალო; 21. თორა; 22. ბერნი; 23. ნამაზი; 24 მიტარბი. სურათზე: ნიკოლა სარკოზი.*